ალბა
აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, №51, დეკემბერი, 2020 წელი

2020 წლის 26 ოქტომბერს აფხაზეთის ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარის (1919 -1921), საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის დაბადებიდან 140 წელი შესრულდა. გვ. 3

„ხმოვან საზღვრებად“ ქცეული მავთულხლართები გაუჩინარებული სოფლების სახელებს და კოორდინატებს გადასცემს

გვ. 8,10

17 ენაზე გამოცემული „ბალადა ვეფხვისა და მოყმისა“,როგორც გზავნილი მსოფლიოს

გვ. 7

ქირსამზა – ქირსეთუთა, ქრისტეშობისთვე (აფხაზების საშობაო - საახალწლო მისტერიები)

გვ. 16

რას გვიყვება ნიკო ნიკოლაძის არქივში დაცული ფოტოები აფხაზეთზე

გვ. 18-19

ჩანართი მოამზადეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტებმა

გვ. 11-14

გიორგი შარვაშიძის პრემიას ახალი ლაურეატები ჰყავს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან არსებული გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის კომისიამ გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის 2020 წლის ლაურეატები გამოავლინა. გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატები გახდნენ: სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - სპექტაკლისთვის „მთვარის მოტაცება“; ხუტა კვარაცხელია - ფერწერული ტილოებისთვის; ირაკლი შამათავა - მოთხრობების კრებულისთვის - „გამშვები პუნქტი“; შოთა ზოიძე - ლექსების კრებულისთვის - „გულზე დასაყრელი მიწა“.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია ყოველწლიურია და ენიჭება ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების დარგებში შექმნილ ნაწარმოებს (ნაშრომს), რომელმაც მხატვრულ და სხვა ღირსებათა გამო, აღიარება მოიპოვა, განმსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის მაღალი იდეალებით და წარმოადგენს შენაძენს ქართული და აფხაზური ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების დარგებში.

სოხუმის უნივერსიტეტის პოპულარიზაციას მიეძღვნა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტების წარმომადგენლებს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და აფხაზეთის საჯარო სკოლების დირექტორებს შორის ვიდეოკონფერენცია გაიმართა. შეხვედრაზე განიხილეს ამ სკოლების მე-11 და მე-12 კლასელებთან ღია კარის დღეების ჩატარების საკითხი.

ფაკულტეტის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოპულარიზაციის აუცილებლობაზე. აფხაზეთის საჯარო სკოლების დირექტორებმა კი აღნიშნეს, რომ საამისოდ აუცილებელია, აბიტურიენტებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაცია დროულად და ამომწურავად მიეწოდოთ. შეხვედრაზე შეთანხმდნენ ღია კარის დღის ჩატარების ფორმატსა და თარიღებზე. ითქვა, რომ მსგავსი შეხვედრები სოხუმის უნივერსიტეტის წინსვლა-განვითარებას ხელს შეუწყობს და ამასთანავე აბიტურიენტებს სწორი არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

დიმიტრი ჯაიანის ხსოვნას დრო ვერაფერს დააკლებს...

ეკატერინე გადილია

სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ისტორიულ შენობას ცნობილი ქართველი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახალხო არტისტის, კოტე მარჯანიშვილისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატის დიმიტრი ჯაიანის სახელი მიენიჭა და მემორიალური დაფა გაიხსნა. დამსწრეთ მონიტორის ეკრანიდან თავად დიმა ჯაიანი ესაუბრებოდა ქვეყნის ბედსა თუ უბედობასთან გადაჯაჭვულ საკუთარ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

საზეიმო შეკრებაზე სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი როლანდ ნიჟარაძე, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი დავით ფაცაცია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, რეგიონული თეატრების მეექვსე საერთაშორისო ფესტივალის მხატვრული ხელმძღვანელი, მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე და სხვ. შეკრებას დიმიტრი ჯაიანის ოჯახის წევრები და თეატრალური სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გამომსველებმა ვრცლად ისაუბრეს დიმა ჯაიანის, როგორც პიროვნებისა და ხელოვანის დამსახურებაზე ქვეყნისა და თეატრალური ხელოვნების წინაშე. განსაკუთრებული ხაგასმით ითქვა დიმა ჯაიანის უდიდეს წვლილზე დევნილობის ჟამს დაშლის პირას მდგარი მშობლიური სოხუმის თეატრის გადარჩენისა და განვითარებისათვის ბრძოლაში.

ამ თვალსაზრისით სიმბოლური იყო ის გარემოება, რომ სწორედ მეორე დღეს სენაკის მუნიციპალიტეტშივე, ნოქალაქევის ისტორიულ ციხე-ქალაქში, რეგიონული თეატრების მეექვსე საერთაშორისო ფესტივალი სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლით „მთვარის მოტაცება“ (რეჟისორი გოჩა კაპანაძე) გაიხსნა.

სპექტაკლი აცოცხლებს სცენებს კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „მთვარის მოტაცება“,რომლის ინსცენირებაც თამაზ გოდერძიშვილს ეკუთვნის. სპექტაკლის რეჟისორს გოჩა კაპანაძესა და ინსცენირების ავტორს კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან საგანგებოდ აქვთ ამოკრებილი ისეთი ფრაგმენტები, რომლებშიც ნათლად ჩანს მთავარი სათქმელი: ქართველი ერისთვის დამახასიათებელი ისტორიული და სულიერი მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის აუცილებლობა საყოველთაო გლობალიზაციის ჟამს. გმირები დიდი სულიერი წინააღმდეგობისა და ტკივილების მეოხებით ცდილობენ საკუთარი პიროვნული თვისებებისა და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებას.

რეგიონული თეატრების მეექვსე საერთაშორისო ფესტივალში ქართული რეგიონული თეატრალური დასები: დმანისიდან, თელავიდან, გორიდან, ქუთაისიდან, ზუგდიდიდან და ბათუმიდან მონაწილეობდნენ.

ფესტივალი 2015 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით დაფუძნდა. მისი ორგანიზატორია კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი „დღეს“ (დამფუძნებელი მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე). ფესტივალის მხარდამჭერია ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და სენაკის მუნიციპალიტეტის მერია.

„სიყვარულს უშენებია“

ახალგაზრდა მწერალთა კონკურსის გამოძახილი

მაია შონია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და საქართველოს მწერალთა კავშირის თანამშრომლობით წლეულს პირველად ჩატარდა ახალგაზრდა მწერალთა კონკურსი - „სიყვარულს უშენებია”. კონკურსს ორგანიზებას უწევდა სამინისტროს ხელოვნებისა და მიმდინარე ღონისძიებების სამსახური. კონკურსის იდეის ავტორების აზრით, ის ხელს შეუწყობს ქართული ლიტერატურის განვითარებას, ლიტერატურაში ახალი სახეების, ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორების აღმოჩენას. ამასთანავე ახალგაზრდა თაობამ მხოლოდ გადმოცემით იცის აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შესახებ. არადა, ეს ის თაობაა, რომელმაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პრობლემის გადაჭრაში, რისი ერთ-ერთი საუკეთესო გზაც სწორედ კალამია.

კონკურსში მონაწილე ახალგაზრდა პოეტებმა (16-დან 35 წლამდე) წარმოადგინეს ლექსები მშვიდობის, სიყვარულისა და პატრიოტიზმის თემებზე. ჟიურიმ მათგან შვიდი საუკეთესო ავტორი - როი აბუსელიძე, სულხან წულუკიძე, ამირან ჯანჯღავა, ოთარ ფალიანი, ბექა ახალაია, ივდითი კვიტია და ქეთევან ნათელაძე გამოარჩია და ისინი დიპლომებითა და ფულადი პრემიით დააჯილდოვა.

დაჯილდოების ცერემონიას, რომელიც დაბა წყნეთში, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლის ეზოში გაიმართა, უძღვებოდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ირმა კეკელიძე და სამინისტროს კულტურისა და კულტურული ღონისძიებების სამსახურის უფროსი კახაბერ ძაძამია.

ახალგაზრდა პოეტებს გამარჯვება მიულოცეს და წარმატება უსურვეს: ვაკის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნოდარ ტურძელაძემ; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა როლანდ ნიჟარაძემ; მინისტრის მოადგილემ მარინა შენგელიამ; საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ ბაღათერ არაბულმა; აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მრჩეველმა, პოეტმა მანონ ბულისკერიამ; პოეტმა, ფილოლოგმა ქეთევან შენგელიამ და ჰ. გონაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლა №29-ის დირექტორმა მარინე მამისაშვილმა.

პროექტის მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ქ. თბილისის მერია; ჰ. გონაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლა №29.

შემდეგ კი კონკურსში გამარჯვებულ თუ წარმოდგენილ ლექსებს თავი მოუყარეს ამავე სათაურის კრებულში „სიყვარულს უშენებია“,რომელიც ახლახან გამოვიდა. გთავაზობთ კონკურსში გამარჯვებულ ავტორთა რამდენიმე ლექსს ამ კრებულიდან.

გვ. 21

არზაყან ემუხვარი - 140

არზაყან ემუხვარი – ქართულ-აფხაზური ერთიანობის სიმბოლო

ნატო მარშანია

„საქიროა და აუცილებელია საქართველო - აფხაზეთის შედუღება და ყოველნაირი მათი განცალკევების საბაბის ძირშივე მოსპობა... ამისთვის საქართველოს მოღვაწეებმა უნდა დიდი სიფრთხილით მოეპყრონ აფხაზეთს, რომელიც საქართველოს დასავლეთის დიდი მნიშვნელოვანი კარია“...

არზაყან ემუხვარი
პრაღა,1935 წელი

2020 წლის 26 ოქტომბერს აფხაზეთის ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარის (1919 -1921), საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის დაბადებიდან 140 წელი შესრულდა. „ვინც საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიას იცნობს, მისთვის შეუძლებელია მათი განცალკევების თუნდაც უბრალო წარმოდგენა",- ასეთი რწმენით იცხოვრა და იღვაწა აფხაზეთის მთავრობის პირველმა თავმჯდომარემ არზაყან ემუხვარმა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში არზაყან ემუხვარმა დიდი როლი ითამაშა ქართველთა და აფხაზთა ერთიანობის განმტკიცების საქმეში. ის იყო 1919 წლის თებერვალში დემოკრატიული წესით არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს პირველი თავმჯდომარე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

საყოველთაო აღიარებით, 1918-1921 წლებში სწორედ არზაყან ემუხვარის ძალისხმევით მოხერხდა, არც მეტი არც ნაკლები, საქართველოს ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიის სახით მოქცევა. სწორედ მისი თავმჯდომარეობით 1919 წ. 20 მარტს სახალხო საბჭომ მიიღო აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ, რომლის საფუძველზე აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ნაწილი გახდა. 1919 წ. მაისიდან დიმიტრი ემუხვარი აფხაზეთის მთავრობის (კომისარიატის) თავმჯდომარეა. 1921 წლიდან, საქართველოსა და მათ შორის აფხაზეთის იძულებით გასაბჭოების შემდეგ კი ემიგრაციაშია დევნილ ქართველ მთავრობასთან ერთად.

არზაყან ემუხვარი დიდი ხნის განმავლობაში სათავეში ედგა ქართველთა კოლონიას ჩეხეთში.

იგი 1939 წელს მიიწვიეს პარიზში, რომ უფრო ახლოს გაცნობოდა განმათავისუფლებელ მოძრაობას და უშუალო მონაწილეობა მიეღო მასში. აქ მას დახვდნენ სიყრმის მეგობრები აკაკი ჩხენკელი, კონსტანტინე კანდელაკი და სხვ. ყველასთვის მოულოდნელად რამდენიმე დღის შემდეგ ის გარდაიცვალა სისხლის მოწამვლის დიაგნოზით, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

არზაყან ემუხვარმა ემიგრაციაში ოჯახის წაყვანა ვერ შეძლო, რადგან მისი მეუღლე, მარიამ ჩიკვაიძე მალარიით იყო დაავადებული და მას გემზე ვერ აიყვანდა, თან უმცროსი შვილი – გივი ჯერ მხოლოდ 8 დღის იყო, უფროსი კი – 12 წლის. არზაყანმა ქუთაისის სასულიერო სემინარია დაამთავრა, მარიამს იქ შეხვდა, ერთმანეთი შეუყვარდათ და დაქორწინდნენ. ემიგრაციაში წასასვლელად გამზადებულ არზაყანს უმცროსი ვაჟისთვის ცხვირზე წამოურტყამს ხელი და უთქვამს: შენ ვინ დაიბადე, კომუნისტების მეფეხუროო...

შემდეგ კი არზაყანი სევდიან წერილებს სწერდა მონატრებულ ოჯახს. არზაყანის უფროსი ვაჟი ვლადიმერ ემუხვარი გამორჩეულად კეთილშობილი, არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით შემკული, ფართო განათლების მქონე და იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება 1937 წელს დააპატიმრეს და 1938 წლის მარტში ერთადერთი ბრალდებით – არზაყან ემუხვარის შვილი იყო - დახვრიტეს!

არზაყან ემუხვარის გამორჩეულ პიროვნული თვისებებისა და სამშობლოს წინაშე მისი დიდი ღვაწლის წარმოსაჩენად საკმარისია გავეცნოთ მისი მეგობრების გამოსათხოვარ წერილებს:

არზაყან ემუხვარი(მარცხნიდან), ეკატერინე(ეშა) ემუხვარი- აქირთავასი, მარტა ემუხვარი, გრიგილ ჩიკვაიძე და იულია აქირთავა-ჩიკვაიძისა

მიხეილ უბირია, აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომისარი:

„არზაყანი სოციალისტი, იმავე დროს ღრმა ნაციონალისტი იყო ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მტკიცე შეუდრეკელი მოღვაწეობა ამ ორივე მიმართულებით, ჰარმონიულად შეფარდებული, - აი შინაარსი და მიზანი მისი ცხოვრებისა. ვერავითარმა ციხემ, დევნილობამ, დამარცხებამ ის ვერ შეარყია. რამდენი იერიში მიიტანეს მასზე, მის აფხაზობასა და შთამომავლობაზე რუსიფიკატორებმა და მათმა შეგირდებმა - აფხაზეთის ინტელიგენციის პატარა ნაწილმა - ეგრეთ წოდებულმა დიდი წყლის თეორეტიკოსებმა, რომლებიც ამბობდნენ: ჯობია, რომ დიდი რუსის წყალმა წაგვიღოს, ვიდრე პატარამო. ამათ ერთხელ და სამუდამოდ გასცა მან შემდეგი პასუხი: „მე არ მინდა აფხაზეთი წაიღოს არც დიდმა და არც პატარა წყალმა, მე მინდა მისი ეროვნული აღორძინება, კულტურულ-ეკონომიური განვითარება. ეს კი შეიძლება მხოლოდ მისი ისტორიული, ბუნებრივი, ორგანულის ფარგლებში“.

არზაყანის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი იყო, ავტონომიური აფხაზეთის ყოფნა თავისუფალი გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში. ავტონომია არა ავანტურისტული მიზნებით - ირედენტის მოსამზადებლად რუსი მოხელეების კონცეფციით, ანდა გაყოფის განზრახვით - ეს ხომ სწორედ რუსის ზღვაში გაქრობა იქნებოდა, არამედ ავტონომია იმიტომ, რომ აფხაზეთს თავისი განსაკუთრებული პირობების მიხედვით შეეძლოს ხელშეუშლელად სრული ჰარმონიული განვითარება - ეროვნულ, კულტურულ, ეკონომიური. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საქრთველოს ფარგლებში. მხოლოდ ამ გზით შეუძლია აფხაზეთს შეინარჩუნოს თავისუფლება და ამავე დროს პირდაპირი გზით შეითვისოს ევროპული კულტურა და ეს იმიტომ, რომ აფხაზეთი ორგანული ნაწილია საქართველოსი - შთამომავლობით, ისტორიულად, ეკონომიკით და ჩვეულებით.

არზაყანი არ იყო გარეგნულად „ბრწყინვალე“ პოპულარობის, ეფექტის კაცი. არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი, ყოყოჩობა, წინა რიგებში წამოსკუპება, მხოლოდ ახლო მეგობრებს, დიდი ხნის კარანტინის მერე გაუხსნიდა თავის უხვ, კეთილშობილ გულს. სავსე ადამიანური სიყვარულით, ღრმა სოციალურ-ეროვნული გრძნობით და მაღალი იდეალიზმით, ვისაც ეღირსა ერთხელაც ამნაირად ჩაეხედა არზაყანის მომხიბლავ გულში, არ შეეძლო არ დარჩენილიყო სამუდამოდ მისი მეგობარი და პატივისმცემელი.

არზაყანი ემიგრაციაში წასვლიდან წელიწადნახევარი სტამბოლში ცხოვრობდა. მას ჰქონდა უფლება და საშუალებაც საფრანგეთს წასულიყო, მაგრამ პრაღა არჩია - არ მინდა მთავრობას ზედმეტი ტვირთი ავკიდოო. როგორც ყველა ემიგრანტი, ძალიან შევიწროვებული იყო ნივთიერად. თავის პატარა ოთახს, ტანისამოსს ისე უვლიდა, რომ ბევრ ქალსაც არ შეეძლო. ყველაფერში აფხაზურად კოხტა, სუფთა, სპეტაკი იყო. ალბათ სულიერი სიწმინდე ითხოვს ფიზიკურ სისუფთავესაც. ფუფუნებაში ის არასდროს ყოფილა. ემიგრანტული და რევოლუციური ცხოვრების დროს კი არა, როცა ის აფხაზეთის ავტონომიის მთავრობის თავმჯდომარე იყო, ოჯახი მშიერი დაურჩებოდა, რომ მისი ძმა არ დახმარებოდა.

უკანასკნელი ორი წლის (1936-1937) განმავლობაში მას შეუწყვიტეს ცოლ-შვილთან წერილობითი კავშირიც. წერილს უკან უგზავნიდნენ, ადრესატმა ვერ მიიღოო. სამშობლოსა და ცოლ-შვილს მოშორებულმა, ემიგრანტული ცხოვრების უკუღმართ პირობებში, ახლანდელ საყოველთაო ქაოსის და გზა-კვალ აბნეულობის დროს არზაყანმა შეინარჩუნა სულიერი სიმტკიცე, რწმენა, ოპტიმიზმი. მას არ მოსდებია არავითარი ემიგრანტული ტალახი - „სმენოვეხურ“,სენი დიდი კაცობის და სხვა. დარჩა ისევ ის ძველი არზაყანი, კლდესავით ჩუმი და მაღალი. კლდესავით მტკიცე და წმინდა. სულიერად თუ არ გატეხილა, რა გასაკვირია, რომ დაიქანცა ფიზიკურად. როცა გახდებოდა ავად, ამბობდა ხოლმე: „მე აქ როდი მოვკვდები, ჩემი ძვლები თვითონ უნდა ჩავიტანო თავისუფალ სამშობლოშიო.“ ვერ ეღირსა სამშობლოს. არზაყანის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი იყო ავტონომიური აფხაზეთი თავისუფალ, გაერთიანებულ საქართველოში“.

აკაკი ჩხენკელი, დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი:

„მე არ ვიცი, რა უფრო გძაგდა შენ ცხოვრებაში: ბოროტი, უსამართლო საქმე, თუ ულამაზო, უშნო საქმე. მე მგონია მეორე და ეს იყო რაც შენ განსხვავებდა ბევრი სხვებისაგან, ერის ღირსებისა და სახელის დაცვაში შეუპოვარი იყავი.

შენ 15-16 წლის იყავი, მე ხომ უფროსი ვიყავი შენი და არც მეგონა ჩემზე წინ ჩახვიდოდი საფლავში. **ჩვენ ორივემ გავქუსლეთ ბედიისკენ,** მისი ნანგრევების სანახავად, ის ხომ მოსაზღვრეა ოქუმის საზოგადოების, სადაც ჩვენ დავიბადეთ და აღვიზარდეთ. ავედით შესანიშნავ გორაზე და იქედან გადაგვეშალა დიდებული სურათი: ერთის მხრივ სამეგრელო, მეორეს მხრივ აბხაზეთი, აბჟუა, მესამეს მხრივ მთები, მეოთხეს მხრივ შავი ზღვა. აქ გაჩნდა რამდენიმე აბხაზი და შენ მიუბრუნდი და ეუბნები მათ: იცით, ვინ ააშენა ეს დიდებული ტაძარი? მეფე ბაგრატ მე-3-მ, მაგრამ მანვე ააშენა ტაძარი ქუთაისში. იცით რას ეძახოდნენ მას? მეფე აბხაზეთისა და საქართველოსი! და ამ წუთს ისე ასწიე შენი თავი, რომ აბხაზებიც მიგიხვდნენ და მათაც ასწიეს ამაყად თავი! აი, ერთი ნიმუში შენი პროპაგანდისა, თუ ამას პროპაგანდა დაერქმევა.

შენ უთხარი ჩემს ცოლს: *„სამშობლოს განთავისუფლების იმედი რომ არ მქონდეს, არ ვიცოცხლებდიო და აი, სწორედ, განთავისუფლებული სამშობლო მიგიკრავს შენ გულში!“*

კონსტანტინე კანდელაკი, დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრი:

,,ძვირფასო არზაყან შენ უკუაგდე თბილი გზა რუსის მოხელის და რუსის კულტურულტრეგერის, რომელსაც შენ გიმზადებდნენ და თავიდანვე აირჩიე ეკლიანი გზა ხალხთან ყოფნის, რევოლუციონერის, პატრიოტის - საქართველოში ისე, როგორც აფხაზეთში.

და როცა ერთიც და მეორეც, რუსეთის უღლიდან განთავისუფლდნენ, შენ იყავი ერთი საუკეთესო მიმრქმელი თავისუფალ აფხაზეთის თავისუფალ საქართველოს წიაღში.

ავტონომიური აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს, შენ წილად გხვდა მრავალ არეულობის - ადგილობრივ შოვინისტების თუ გაბოლშევიკებული ხულიგნების, რუსების თუ ოსმალოების ინტრიგების წინააღმდეგ ბრძოლა და მისი დაძლევაც.

შენი ავტორიტეტი, პატივისცემა შენი პიროვნების დიდი იყო არა მარტო აფხაზობაში, განურჩევლად მდგომარეობისა და მიმართულებისა, არამედ იქაურ მრავალტომიან საზოგადოებაში.

მე არ ვიცი, ვინ იყო შენში უფრო ძლიერი: ის კეთილშობილი დედა, რომლის მკერდზე აღიზარდე აფხაზეთში, თუ დედა ქართლისა, რომლის ყოფა-ცხოვრებას, რომლის ბედსა და უბედობას სიყრმიდანვე შენ ეზიარე?

ვისი გული უფრო მძლავრად ფეთქავდა შენში: თავისუფლების მოყვარე აფხაზის თუ თავდადებული ქართველის?

ერთისაც და მეორისაც.

როგორც საქართველოს ეროვნული მთავრობის წევრი, მისი სახელით მე თავს ვიხრი შენი ხსოვნის, შენი თავადადებული და ნაყოფიერი მოღვაწეობის წინაშე, ღრმად დარწმუნებული, რომ შენი მშობელი ერი, მთელი საქართველო, პატივით და სიყვარულით მოიგონებს მუდამ შენს სახელს, როგორც შენი სიყრმის მეგობარი და ამხანაგი, სხვა შენ მეგობრებთან ერთად, შენს კეთილმოსილ ხსოვნას საუკუნოდ გულში ვატარებთ“ (იხ. „დამოუკიდებელი საქართველო“,პარიზი, 1939, №155, გვ. 3-4).

ხოლო ყველა სიტყვისა და მოგონების გვირგვინი შეიძლება ეწოდოს ქართველი კლასიკოსი მწერლის **კონსტანტინე გამსახურდიას** წერილს, რომელიც მან არზაყან ემუხვარის შვილს მისწერა.

დიდი კონსტანტინე წერდა:

„ჩემო პატარა ემხვარო!

ჩემს ნაწარმოებში „მთვარის მოტაცებაში“ შენი მამის პროტოტიპად მთავარი გმირი რომელშიდაც მე ჩემი სიყრმის მეგობარი კეთილი აფხაზი არძაყან იგივე დიმიტრი ემხვარი გამოვხატე, რომელთანაც გავატარე პარიზში ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილი დღენი. ენგურის დიდ ზვირთებთან ბრძოლაში დავამარცხე, ვინაიდან მისი მიზნების განხორციელება არ ძალმიძდა. გიჟი ენგურის ზვირთებთან შეკაჟება ეს მისი იდეების შებრძოლება იყო მის იდეალისა და არსებული მიმდინარეობისა. მომიტევეთ...

კონსტანტინე გამსახურდია
1934 წ. თბილისი
(სტილი დაცულია).

მართლაც, კლასიკოსი მწერლის სიყრმის მეგობარი და „მთვარის მოტაცების“ მთავარი გმირის, თარაშ ემუხვარის პროტოტიპი, არზაყან ემუხვარი ერთ-ერთი დიდსულოვანი და კეთილშობილი რაინდია ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიაში.

მასწავლებელთა ღვაწლის დაფასების მიზნით!

ნინო გრიგოლია

5 ოქტომბერს მსოფლიოს 100–ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება მასწავლებლის დღე და მიზანი ყველგან ერთია: მასწავლებელთა ღვაწლის დაფასება და მათთვის მადლობის გადახდა საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთვის ამ მხრივ არც წლევანდელი წელი ყოფილა გამონაკლისი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა როლანდ ნიჟარაძემ მასწავლებლებს თავიანთი პროფესიული დღე მიულოცა და აღნიშნა:

„მასწავლებლობა ოდითგან ერთ-ერთ ყველაზე საპატიო და საპასუხისმგებლო პროფესიად იყო მიჩნეული. „ყველაზე დიდი ინვესტიცია მომავალი თაობის აღზრდაში ჩადებული ინვესტიციაააო“,- ამბობენ ხოლმე. მე კი დავამატებდი: ამ ინვესტიციის წარმატება მასწავლებლის გარეშე წარმოუდგენელია.

ამ საკითხზე საუბრისას მინდა გამოვყო აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების პედაგოგების დამსახურება. პირველნი - აქ, დევნილობაში მოზარდებს აფხაზეთის სიყვარულსა და იქ დაბრუნების რწმენას უნერგავენ; მეორენი კი - იქ არსებულ ურთულეს ვითარებაში, ბავშვებს საქართველოს ერთიანობის იდეით მუხტავენ და აკრძალულ ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას აშკარად თუ მალულად ასწავლიან... ეს ქვეყნის გამთლიანებისთვის დაუღლელი ბრძოლაა და ამ ბრძოლაში ყველამ ერთად უნდა გავიმარჯვოთ!

მსოფლიო პანდემიამ სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მასწავლებლები, ისინი წარმოუდგენელ შრომას დებენ ახლა უკვე დისტანციურ სწავლებასა და მის სრულყოფაში.

შექმნილ რთულ ვითარებაში განსაკუთრებით გაგვახარა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში განთავსებული აფხაზეთის მეათე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის სოფიო გოგოხიას წარმატებამ - ის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2020 წლის გამარჯვებული გახდა. ვულოცავთ ამ დიდ გამარჯვებას პედაგოგსა და მთელ მის სკოლას, სადაც მისი დირექტორის, პედაგოგიური საქმიანობის დიდი გამოცდილების მქონე, აფხაზეთიდან დევნილი, ნუგზარ ჯომიდავას თავკაცობით მოსწავლეებისთვის განსაკუთრებული გარემოა შექმნილი. ეს ჯილდო ჩვენის სხვა სკოლებისთვისაც დიდი სტიმულია და იმის მანიშნებელი, რომ შრომა დაუფასებელი არასდროს რჩება.“

გარდა ამისა, მასწავლებლის საერთაშორისო დღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილეები მარინა შენგელია და ირმა კეკელიძე, სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი ნინო ლობჟანიძე აფხაზეთის დამსახურებულ მასწავლებელს, ქ. გაგრის №1 საშუალო სკოლის პედაგოგს ალექსანდრა (საშურა) შენგელაიასა და ქ. სოხუმის სოფელ იაშთხვის საშუალო სკოლის პედაგოგს, ეროვნული მოძრაობის აქტიურ წევრს მურმან ზაქარაიას ეწვივნენ.

მარინა შენგელიამ და ირმა კეკელიძემ მადლობა გადაუხადეს მათ მომავალ თაობებზე ზრუნვისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელები და საჩუქრები გადასცეს.

ალექსანდრა (საშურა) შენგელაიამ აფხაზეთში ცხოვრებისა და მუშაობის წლები სიყვარულითა და ნოსტალგიით გაიხსენა და იქ დაბრუნების დიდი იმედი გამოთქვა. აფხაზეთში დაბრუნების იმედით იყო გამსჭვალული მურმან ზაქარაიას სიტყვებიც. ადამიანისა, რომელმაც დევნილობამდე თუ დევნილობის შემდეგ თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ეროვნული იდეალების ერთგულებასა და აფხაზეთში დაბრუნებისათვის ბრძოლას შეალია. მან აღნიშნა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელს ქ. სოხუმის სოფელ იაშთხვის საშუალო სკოლისთვის გადაცემულ სიგელად აღიქვამს და მას უძღვნის.

ალექსანდრა (საშურა) შენგელაია:
მადლიერი ვარ, რომ გაგრაში დავიბადე

ალექსანდრა (საშურა) შენგელაია - მშობლიური კუთხის, აფხაზეთის დიდი პატრიოტის თამაზ ნადარეიშვილის დედა - არაერთი ქართველი, აფხაზი და სხვა ეროვნების ახალგაზრდის აღმზრდელი და დამკვალიანებელია. ის 1927 წელს გაგრაში დაიბადა და იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. და რა იყო მერე, ამაზე თავად მას მოვუსმინოთ:

ალექსანდრა (საშურა) შენგელაია:

- დედა - მერი შერვაშიძე, ცნობილი მერი შერვაშიძის სეხნია და ახლო ნათესავი იყო, მამა - ვარლამ შენგელაია - პოლკოვნიკი, 1924 წლის აჯანყების მონაწილე, 1937 წელს დახვრიტეს. მამა თბილისში მუშაობდა და ბარნოვის ქუჩაზე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.

დედაჩემი ფეხმძიმედ იყო ჩემზე და არც აპირებდა გაგრაში წასვლას, მაგრამ ამ დროს ბებიაჩემმა თეოლინამ, კახიანის გვარის, გამორჩეული თვისებების ქალმა, დედაჩემს წერილი მისწერა: - ბავშვი გაგრაში უნდა დაიბადოს და ჩამოდიო! მართლაც, დედაჩემი ჯერ სოხუმში ჩავიდა, მაშინ თბილისიდან გაგრამდე რკინიგზა გაყვანილი არ იყო, იქიდან კი გემით გაემგზავრა გაგრაში, სადაც დავიბადე. ამის გამო მთელი ცხოვრება მადლიერი ვარ ბებიაჩემის, თბილისი ძალიან მიყვარს, მაგრამ გაგრა მირჩევნია.

- და მადლობელი ხართ, მიუხედავად იმ ტრაგედიისა, რაც გადაიტანეთ?

- დიახ, მიუხედავად ყველაფრისა! ბაბუაც სულ სთხოვდა მამას, მე უკვე ავად ვარ, დავბერდი, ჩამოდი და სახლს მიხედეო. მართალია, ბაბუას გასაბჭოების პერიოდში ბევრი რამ წაართვეს, მაგრამ დიდ პატივს სცემდნენ და მაინც მიწების დიდი ნაწილი დაუტოვეს. მერე ეს მიწები ბებიამ და მამამ ნათესავებსა და ნაცნობებს დაურიგეს. ამიტომაც ჩვენი მეზობლების დიდი ნაწილი ჩვენი ახლობლები იყვნენ. მეზობლად ასევე ცხოვრობდნენ აფხაზები, რომლებთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა და ის პერიოდი თბილად მახსენდება.

- გაგრაში სად მუშაობდით?

- ქ, გაგრის №2 საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ 1949 წელს ჩავირიცხე თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. ინსტიტუტი 1954 წელს დავამთავრე და იმავე წელს განაწილებით გაგრაში დავბრუნდი. რუსთავში მიშვებდნენ, მაგრამ ახლობელი დამეხმარა, რომ ჩემი განაწილების ფურცელზე „აფხაზეთი“ მიეწერა. გამიმართლა და მუშაობა დავიწყე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ქ, გაგრის №2 საშუალო სკოლაში, რომელიც მქონდა დამთავრებული. 24 წლის ვიყავი და ჩემი მასწავლებლები ახლა უკვე ჩემი კოლეგები იყვნენ. ჩვენი სკოლის მესამე სართულზე ქართული სკოლა (ქ. გაგრის №1 საშუალო სკოლა) იყო განთავსებული. იმ სკოლის მასწავლებლებმა თანდათან ისე დამმოძღვრეს, რომ მალე მათთან სამუშაოდ გადავედი. 1954 წელი იდგა და სკოლის დირექტორად ახალი დანიშნული იყო მიხეილ არახამია. პენსიაზე გასვლამდე იქ ვიმუშავე. დედა მწოლიარე ავადმყოფი მყავდა, მისთვის უნდა მომევლო და ამიტომაც, როგორც კი საპენსიო ასაკმა მიწია, მუშაობა მივატოვე. თუმცა, სკოლიდან მირეკავდნენ, მოსწავლეებმა აჯანყება მოაწყვეს, საშურა ვარლამის ასული დაგვიბრუნეთო და იძულებული გავხდი, დავბრუნებულიყავი...

- როგორ გახსენდებათ ბოლო დღეები გაგრაში?

- თამაზი სოხუმში იყო, მე კი მერაბსა და მის ოჯახთან ერთად გაგრაში ვიყავი. მძიმე ჟამი იდგა: რომ გვეგონა ჩვენები უტევდნენ, თურმე პირიქით ყოფილა... გაგრის დაცემა წარმოუდგენელი საშინელება იყო. სინამვილეში რა მოხდა? როდესაც მიხეილ მარინაშვილმა თქვა, ამის შესახებ ყველაფერს ვიტყვიო, ის მოკლეს.

- გაგრაში გყავდათ აფხაზი და სხვა ეროვნების მეზობლები, კოლეგები, მოსწავლეები. რამენაირი ურთიერთობა თუ შემოგრჩათ მათთან?

- გაგრელ მეზობლებთან - შამბებთან, გვარამიებთან, ხიშბებთან... - კონტაქტი დღემდე გვაქვს. ყველაფერი ვიცით მათზე, ხანდახან ტელეფონითაც ველაპარაკებით.

ჩვენ თავის დროზე ბევრი აფხაზი გადავარჩინეთ. ისინიც დაგვეხმარნენ გაგრიდან მშვიდობით გამოსვლაში. ჩვენმა მეზობელმა ლუდა გვარამიამ, რომელსაც სახლი დავუტოვეთ, ბევრი სახსოვარი ნივთი ჩაზიდა სარდაფში, შეინახა და მერე ნელ-ნელა გამოგვიგზავნა კიდეც, რაც ახლა ჩვენი ოჯახის უძვირფასესი რელიკვიაა. განსაკუთრებით ფასდაუდებელია საუკუნეზე მეტი ხნის ფოტოალბომი, რომელიც ჩვენი დიდი წარჩინებული წინაპრების - ნადარეიშვილების, შენგელაიების, შერვაშიძეების და სხვათა ფოტოებს და ამ ფოტოებში ჩატეულ გასაოცარ ისტორიებს ინახავს. ალბომი ჩემი რძლის, მერაბის მეუღლის ირას დედამ ლიდამ ჩამოგვიტანა. ვხედავთ, მოაქვს რაღაც მძიმე. რა მოგაქვს ასეთი მძიმე-მეთქი, ვეკითხები, - ეს თქვნი კნიაზები არიანო, - მიპასუხა. ისე გამიხარდა, თითქოს მთელი გაგრა ეჩუქებინოთ.

- თქვენი უმთავრესი სათქმელი-სატკივარი დღეს რა არის?

- რა თქმა უნდა, ჩემი თამაზი, რომელიც აფხაზეთს შეეწირა...

ესაუბრა ***ნატო კორსანტია***

სოფიო გოგოხია:

ჯილდო პასუხისმგებლობას ზრდის...

მაია შონია

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მდებარე აფხაზეთის მეათე საჯარო სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის სკოლაში სიარული ჩვეულებრივი რუტინა დიდი ხანია არ არის. სკოლაში მისვლა განსაკუთრებულად უხარიათ და ამას მათ მიერვე შექმნილი გარემო განაპირობებს. ტრადიციული გაკვეთილების დაწყებისა და დასრულების დროს აქ თითქმის ვერავინ ამჩნევს, რადგან სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების გარდა, სკოლა აღსაზრდელებს უამრავ ალტერნატივას სთავაზობს. მწირი შესაძლებლობები და რესურსები აქ არ არსებობს. ამ თავისუფალ და საინტერესო გარემოს სკოლის დირექტორი, აფხაზეთიდან დევნილი, პედაგოგიური საქმიანობის დიდი გამოცდილების მქონე ნუგზარ ჯომიდავა ქმნის (ის აფხაზეთში სოფელ მერხეულის სკოლის დირექტორი იყო). თუმცა პედაგოგების მონდომების, შემოქმედებითი უნარებისა და აქტიურობის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. მათ შორის გამორჩეული ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი სოფიო გოგოხია კი მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2020 წლის გამარჯვებული გახდა.

სოფიო გოგოხიამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგიის ფაკულტეტი 2002 წელს დაამთავრა. მასწავლებლობა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო და ამ სფეროში საქმიანობის 19-წლიანი გამოცდილებაც დაუგროვდა. ოჯახის შექმნის შემდეგ საცხოვრებლად ჩხოროწყუში გადასულმა მუნიციპალიტეტის რესურსცენტრში დაიწყო მუშაობა. პარალელურად პედაგოგის ადგილს ელოდა. პირველი შემოთავაზება სწორედ აფხაზეთის მეათე საჯარო სკოლისგან მიიღო და არც დაფიქრებულა, ისე დაუბრუნდა საყვარელ საქმეს. უკვე 8 წელია ამ სკოლის პედაგოგია და ამ ხნის განმავლობაში სკოლაში შექმნილი განსაკუთრებული გარემოსა და დიდი ცვლილებების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და ორგანიზატორია.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსი სწორედ ასეთი პედაგოგების მონაწილეობას ითვალისწინებს. კონკურსი საქართველოში 2017 წლიდან ტარდება. აკრედიტაცია საქართველომ განათლებისა და უნარების გლობალურ ფორუმზე სწორედ ამ წელს მიიღო. საერთაშორისო ფორუმზე საქართველოდან წარმოდგენილი იყო კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველო“. ყოველწლიურად კონკურსს კოალიცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან პარტნიორობითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ატარებს. ჯილდოს მფლობელს 10 000 ლარი გადაეცემა და გლობალური ჯილდოს მონაწილე ხდება. კონკურსში ჩართვამდე და ჯილდოს მოპოვებამდე გასავლელი გზა გრძელი და რთულია. აპლიკაციის შევსებისას პედაგოგმა განვლილი პროფესიული ცხოვრებიდან გამომდინარე არც ისე იოლად გადასალახი კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს. შემდეგ რჩეულ ათეულში უნდა აღმოჩნდეს. საუკეთესო კი მათ შორის ვლინდება.

სოფიო გოგოხიამ ჯილდოს შესახებ აკრედიტაციის გავლის დღიდან იცოდა, თუმცა აპლიკაციის შევსება მხოლოდ ნლეულს, ბევრი ფიქრის, სხვათა გამოცდილების გაზიარებისა და მოსწავლეთა მხარდაჭერით გადაწყვიტა. მისთვის კარგი მაგალითი აღმოჩნდა კონკურსის ათეულში მოხვედრილი ამავე სკოლის პედაგოგი მიხეილ ცქვიტაია. სწორედ მისმა წარმატებამ განაპირობა ის, რომ მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსმა 2020 წელს სტარტი აფხაზეთის მეათე საჯარო სკოლიდან აიღო. ეს სიმბოლური ცერემონია ყოველ წელს სხვადასხვა ადგილას ტარდება. სკოლას წინა წლის გამარჯვებულები ესტუმრნენ, მოსწავლეებს საჩუქრები გადასცეს და სოფიო გოგოხიას აპლიკაციის შესავსებად დამატებითი სტიმული მისცეს.

სოფიო გოგოხია სწავლების სამივე საფეხურშია ჩართული. ის ასწავლის როგორც მე-3, ისე მე-8 და მე-11 კლასელებს. მერვე კლასი მისი სადამრიგებლო კლასიცაა. თავისუფლებაა როგორც მთელ სკოლაში, ისე ტრადიციულ გაკვეთილებზეც. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები ხან ჩვეულებრივ რეჟიმში, ხანაც უჩვეულო დროსა და გარემოში ტარდება. ეს მეთოდი მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზეც აისახება. მათი უმეტესობა წარმატებით აბარებს ეროვნულ გამოცდებს და სახელმწიფო გრანტის მოპოვებაც არ უჭირთ. მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს შორის სოფიო გოგოხიას ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტებია.

სკოლაში მოქმედებს კლუბები, რომელშიც არა მხოლოდ აფხაზეთის მეათე საჯარო სკოლის, არამედ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სხვა სკოლების მოსწავლეებიც აქტიურად არიან ჩართულნი. არჩევანი კი ძალიან დიდი აქვთ - კინოკლუბი, ლიტერატურული კლუბი, მუსიკალური კლუბი „მუსინექცია“,სამოქალაქო განათლების კლუბი, მითოლოგიისა და ლათინურის კლუბები, სპორტული კლუბი, ეკოლოგიის კლუბი „მწვანე რეინჯერები“,„ვეფხისტყაოსნის“ კლუბი. მოსწავლეები „კლუბურ“ ცხოვრებას გაკვეთილების შემდეგ იწყებენ. აქ მათ თავიანთი უნარ-ჩვევების გამოვლენისა და ინტერესების დაკმაყოფილების ყველა პირობა აქვთ. არც ნიშნები იწერება და არც 45-წუთიან გაკვეთილზე ყოფნას ჰგავს. აკეთებენ იმას, რაც მოსწონთ. და მოსწონთ მათ მიერვე შერჩეული ფილმების ყურება, შემდეგ დისკუსიების მოწყობა, განხილვა, რეცენზიების ერთობლივად წერა, ზოგიერთი ფილმიდან სცენის განსახიერებაც კი. კინოკლუბის წევრები კინოფესტივალებსაც ესწრებიან, „სინედოკთან“ თანამშრომლობენ. თუ პანდემიამ ხელი არ შეუშალა, სამდღიანი მინიფესტივალის ჩატარებასაც გეგმავენ. კლუბში უყურებენ და განიხილავენ ისეთ ფილმებს, როგორიცაა „მკვდარ პოეტთა საზოგადოება“,„ძნელად აღსაზრდელები“,„ბიჭი ველოსიპედით“ და ა. შ. მსჯელობენ თემებზე, რომლებიც მათაც ეხებათ, როგორიცაა ბულინგი, სისტემა და ბავშვი, განსხვავებულის მიღება. „ჩვენ არ გვაქვს მულტიკულტურული გარემო, სადაც ამას რეალურად აღვიქვამთ. არ გვყავს არც განსხვავებული რელიგიის ან კანის ფერის ადამიანი, მაგრამ საიდანღაც ხომ უნდა ვისწავლოთ ეს ყველაფერი, რადგან ახალგაზრდებს მოუწევთ მსგავს გარემოში ცხოვრება, როდესაც სასწავლებლად წავლენ. ამიტომაც ვცდილობთ ამ თემებზეც ვნახოთ ფილმები“,- ამბობს სოფიო გოგოხია.

წასაკითხი წიგნების სიის ჩამოწერა, როგორც პედაგოგი გვიხსნის, არ ამართლებს. სულ სხვა განცდაა მასწავლებლის მიერ ხელიდან ხელში „შემთხვევით“ მიწოდებული წიგნის წაკითხვა და შემდგ მისი ლიტერატურულ კლუბში წარდგენა თხრობით, წერილობით, ნახატის ან ვიდეოს სახით. კლუბს საკუთარი ბიბლიოთეკა აქვს, სადაც მხოლოდ სოფიო გოგოხიას პირადი ბიბლიოთეკიდან 120 წიგნზე მეტია მიმოქცევაში. წიგნები მოსწავლეებსა და კურსდამთავრებულებსაც მოაქვთ. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში 300-ზე მეტი წიგნის შემოტანა და გაცემაა აღნუსხული. პროექტი „ხელიდან ხელში“ კი მე-7 წელია წარმატებულია.

„მუსინექციის“ კლუბში გაწევრიანებულები მღერიან, ცეკვავენ, მუსიკალურ საკრავებზე უკრავენ, ერთმანეთს საყვარელ შემსრულებლებსა თუ ჯგუფებს აცნობენ. ზოგჯერ საინტერესო შემსრულებელს ან ჯგუფის წევრს ხვდებიან კიდეც, მათ მუსიკას და მუსიკაზე საუბრებსაც უსმენენ. სპორტკლუბი ძირითადად სკოლაში არსებული ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის გუნდების გულშემატკივართაგან შედგება. სამოქალაქო განათლების კლუბის მიერ დაგეგმილმა ნაგვის ურნების პროექტმა კი რეალური შედეგი გამოიღო. მას ადგილობრივი თვითმმართველობიდან გამოხმაურება მოჰყვა და გარდა იმისა, რომ ნაგვის ურნები დაიდგა, 400 ათასი ლარის ღირებულების გზაც გაიყვანეს. კლუბის წევრები არაერთ აქციასა და პროექტში მონაწილეობენ და ახალ და მუდმივად ცვალებად გარემოსთან სწრაფად ადაპტირებას სწავლობენ. სამოქალაქო განათლების კლუბი ერთ-ერთი პირველია, რომელიც სკოლაში დაარსდა. მას გამოეყო ეკოლოგიის კლუბი, რომელმაც ამ მიმართულებით ბევრი პროექტი განახორციელა. ყველა ეს კლუბი აქტიურად თანამშრომლობს „სტრატეგიული განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრთან“.

როგორც სოფიო გოგოხია აღნიშნავს, არიან მოსწავლეები, რომლებიც ყველაფერს ერთნაირად სწავლობენ. ზოგიერთებს საყვარელი საგნები აქვთ ამორჩეული. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ტრადიციულ გაკვეთილებზე არც ისე ბედნიერად გრძნობენ თავს, მაშინ როცა კლუბებში ძალიან აქტიურობენ. სწორედ ამიტომაც სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს სწავლებისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის ალტერნატიულ გზებსა და მეთოდებს. ინტერნეტის ეპოქაში ბავშვებს ინფორმაციის მოპოვება არ უჭირთ, მაგრამ უპირატესობას მაინც უშუალო ურთიერთობებს ანიჭებენ. სოფიო გოგოხია ამას ასე ხსნის: „სკოლა აქცენტს კლუბებზე და თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებაზე აკეთებს. ეს არ არის ბრტყელი სიტყვები. მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც გვიხარია შეკრება და დროის როგორც გვინდა, ისე გამოყენება - კინოს ყურება, კითხვა, ხატვა, როკ-ენ-როლის ცეკვა, ჩაის ან ყავის დალევა. ასე შეიქმნა უამრავი კლუბი, რომელიც ფასდაუდებელი სივრცეა იმისთვის, რომ, რასაც გაკვეთილებზე ვერ ვახერხებთ, აქ ავინაზღაუროთ. ამ პროცესში ბევრი მასწავლებელია ჩართული. ვერც კი გადმოვცემ, ამით რამხელა საქმე კეთდება. ამგვარი რეალური ურთიერთობების მნიშვნელობა პანდემიამ კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა. რისი ფასიც არ ვიცოდით, ან ნაკლებად ვიცოდით, ახლა გავიგეთ“.

COVID-19-თან დაკავშირებული მოვლენების გამო სასწავლო პროცესი და კლუბების ფუნქციონირება ონლაინრეჟიმში გრძელდება, რამაც მოსწავლეები და მასწავლებლები ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. ბავშვების დიდი ნაწილი, ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნიკის უქონლობის გამო, სასწავლო პროცესს, პრაქტიკულად, გამოეთიშა. თუმცა გზა აქაც მოიძებნა. სოფიო გოგოხიამ სკოლის კურსდამთავრებულებთან ერთად წამოიწყო აქცია, რომლის ფარგლებშიც ძველი კომპიუტერები შეგროვდა, შეკეთდა და პროგრამული უზრუნველყოფის შემდეგ მოსწავლეებს დაურიგდათ. ზოგმა ზედმეტი კომპიუტერიც კი გაიმეტა. ზოგს ინტერნეტის ფული გადაუხადეს და ასე ჩართეს „ზუმსა“ თუ „თიმსის“ სასწავლო პროგრამაში. კიდევ ბევრი მოსწავლეა სასწავლო პროცესს მიღმა დარჩენილი. ამიტომ აქცია გრძელდება და მასში ადამიანების ჩართვის კეთილ ნებას ჯერ კიდევ ელიან. „ზოგმა კომპიუტერი წლის ბოლომდე გვათხოვა. ვიღაცას ორი ჰქონდა და ერთი გაიმეტა. ეს არ არის მხოლოდ ჩხოროწყუს პრობლემა. ბავშვებს ყველგან უჭირთ. ამ დროს სახელმწიფო სტრუქტურებს აქვთ მოძველებული ტექნიკა, რომელსაც ვერ გვაძლევენ იმის გამო, რომ ვერ ჩამოწერეს. არადა კომპიუტერებს ნესტი ჩასდის და ფუჭდება. ჩვენ რომ ეს ტექნიკა მოგვეპოვებინა, გაცილებით მეტს გავწვდებოდით“,- ამბობს სოფიო გოგოხია.

სასწავლო პროცესში მისი სამი შვილიდან ორი უკვე ჩართულია. ამბობს, რომ ოჯახის მხარდაჭერის გარეშე ამდენს ვერ შეძლებდა. კითხვას, არსებობს თუ არა ისეთი რამ, რაც არ გამოდის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ 2020 წლის საუკეთესო მასწავლებლად აღიარებული სოფიო გოგოხია ასე პასუხობს: „გმირის პათოსით გიწევს საუბარი. ადამიანი იფიქრებს, საკმარისია რამეს მოკიდო ხელი და ყველაფერი გამოგდის. ასე არ არის. ბავშვებს ყველაზე მეტად არა სკოლის ტერიტორიაზე, არამედ ტყეში, ღრეში, ლაშქრობაზე, მუზეუმში, თეატრში, ოპერაში ყოფნა უნდათ. წელიწადში რამდენჯერმე ამასაც ვახერხებთ, მაგრამ ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, მშობლის ჯიბეზეა დამოკიდებული. ექსკურსიები ძალიან საფრთხილოა. საკუთარი პასუხისმგებლობით მთაში 32 ბავშვის წაყვანა წარმოუდგენელია. ამას როდის გავბედავ, არ ვიცი. ბავშვებს კი სწორედ ეს აკლიათ. კიდევ ბევრი ოცნება აქვთ. მაგალითად, ღამით სკოლაში დარჩენა უნდათ. ესეც ვერ შევუსრულე. ბანაკი გვაქვს ოცნებად, მაგრამ ძვირია და ამასაც ვერ ვბედავთ“.

სოფიო გოგოხია ფიქრობს, რომ ამ და კიდევ სხვა ბევრი ოცნების ახდენაში მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელის სტატუსი დაეხმარება. „ეს ჯილდო პასუხისმგებლობას იმდენად ზრდის, ხანდახან მეჩვენება, რომ ვეღარ გავუძლებ - არაფერი არ უნდა შეგეშალოს. მაგრამ იმედი მაქვს, დამეხმარება კიდეც, მაგალითად, პროექტის შეტანისას ნდობის მოპოვებაში. ამ დროს ცნობადობის გაზრდა მნიშვნელოვანია. გამომცემლობა „დიოგენემ“ წიგნები გვაჩუქა. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი დაინტერესდა ჩვენი სკოლით და ონლაინლექციებს შეგვპირდნენ. ასეთი შემოთავაზებები სხვა შემთხვევაში, ალბათ, არ გვექნებოდა. რაც მთავარია, სკოლის შენობის საკითხი მინდა ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდეს. მით უმეტეს, რომ სკოლის მოსწავლეების 40 პროცენტზე მეტი და მასწავლებლების ნაწილი დევნილები არიან. საბავშვო ბაღის შენობა, სადაც ახლა ვართ, ჩვენს საკუთრებაში არ არის. ჩვენი კიდევ ერთი ოცნებაა, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მომავალი ფინალი აფხაზეთში ჩატარდეს“.

აფხაზური ეთნოგრაფიული ტერმინოლოგია
- გადარჩენილი ისტორიული მეხსიერება

მაია შონია

„წინამდებარე ლექსიკონს ქართველი და აფხაზი ხალხების მშვიდობიან მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას ვუძღვნით",- ასე იწყებს „აფხაზურ-ქართულ ეთნოგრაფიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის" ავტორი სალომე ბახია-ოქრუაშვილი თავისი წიგნის შესავალ ნაწილს. უნიკალური ეთნოლოგიური მასალა, რომელსაც მეცნიერი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში აგროვებდა და რომლის მოპოვებაც, არსებული რეალობიდან გამომდინარე, დღეს უკვე შეუძლებელია, უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას ინახავს აფხაზეთისა და აფხაზურ-ქართული ურთიერთობების ისტორიიდან. მეცნიერმა დისერტაციებისთვის მასალების მოპოვების პარალელურად დაგროვილი აფხაზური ეთნოგრაფიული ტერმინოლოგიის ერთ ლექსიკონად გამოცემა რამდენიმე წლის წინათ გადაწყვიტა. ეს ამ ტიპის ლექსიკონის გამოცემის პირველი ცდაა. ლექსიკონში 20-წლიანი მუშაობის შედეგად დაგროვილი 1500-მდე ეთნოგრაფიული ტერმინია თავმოყრილი. რაც ყველაზე საინტერესოა, აფხაზური ტერმინების გადმოსაცემად ქართული ანბანია გამოყენებული. სიტყვებს ქართული განმარტებები ახლავს. მასალა, რომელიც წლების განმავლობაში, ველზე, აფხაზ მთხრობელებთან საუბრების შედეგად არის მოპოვებული, უკვე არსებულ ლექსიკონებთან და სამეცნიერო ნაშრომებთან შეჯერდა.

გამოცემაში ასახულია ყოფითი, მითოლოგიური, სამეურნეო, სოციალური, ნათესაობითი, რელიგიური და სხვა ტერმინები და მათი განმარტებები. წიგნი მკითხველს წარმოდგენას უქმნის აფხაზთა ტრადიციული წეს-ჩვეულებების, მათი კულტურისა და მსოფლმხედველობის შესახებ. აქ გადმოცემული მასალა ამ კულტურისა და ტრადიციების მეხსიერებაში შენახვასაც ისახავს მიზნად. ავტორი წიგნის შესავალში აფხაზთა წარმომავლობისა და მათი საქართველოში განსახლების შესახებაც საუბრობს. ამ საკითხის ახსნას აფხაზ ხალხში შემორჩენილი ზეპირსიტყვიერი ძეგლებისა და ეთნოლოგიური მასალის მოხმობით ცდილობს. სალომე ბახია-ოქრუაშვილი მიიჩნევს, რომ აფხაზთა წარმომავლობა ჩრდილოეთ კავკასიის ტომებთან არის დაკავშირებული. „ისინი ჩრდილოეთ კავკასიელი ტომების ჩამოსახლებისა და თავდაპირველად ქართველ მოსახლეობასთან ასიმილაციის, ხოლო XV საუკუნიდან ქართველებთან ინტეგრაციის შედეგად არიან ჩამოყალიბებულნი. ეთნონიმი „აფხაზი" ქართველების მიერაა შერქმეული",- ამბობს მეცნიერი.

ლექსიკონის რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე, რომელმაც აფხაზური ტერმინების ნაწილი ახსნა და სალექსიკონო მასალის მართლწერის საკითხებშიც მიიღო მონაწილეობა, ნაშრომს ასე აფასებს:

„წიგნის მთავარი ღირსება არის ის, რომ სამეცნიერო მიზნითაა გამოცემული და განკუთვნილია აფხაზეთის ისტორიითა და ეთნოლოგიით დაინტერესებული მეცნიერებისა და სტუდენტებისათვის. ლექსიკონში აფხაზური ტერმინები ქართული ანბანითაა დაწერილი. ამის მიზანი იყო ის, რომ ქართველებს, რომლებმაც, სამწუხაროდ, თითქმის არ იციან აფხაზური ენა, გაადვილებოდათ წიგნის წაკითხვა და გამოყენება. ლექსიკონში ჯერ მოცემულია მიახლოებითი გამოთქმები, რადგან ქართულ ენაში არ არის აფხაზურისთვის დამახასიათებელი ყველა ბგერა. შემდეგ, ფრჩხილებში, უკვე ზუსტად, ქართული სამეცნიერო ტრანსკრიფციითაა გადმოცემული სიტყვის ჟღერადობა. ამას მოსდევს ტერმინის განმარტება. ლექსიკონში წარმოდგენილია ბევრი დარგი და აფხაზი ხალხის ეთნიკური წარმომავლობის ამსახველი ტერმინოლოგია. მათ შორისაა ნასესხები სიტყვებიც. აფხაზურ ენაში ყველაზე მეტი სიტყვა ნასესხებია ქართული და მეგრული ენიდან, შემდეგ თურქულიდან, ჩერქეზულიდან და რუსულიდან. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით რუსული წარმომავლობის სიტყვები საინტერესო არაა. აფხაზურ ენას უშუალო ურთიერთობა არც ბერძნულ ენასთან ჰქონია. მასში ბერძნული წარმომავლობის სიტყვები ქართულიდანაა შესული. ენაში ნასესხები სიტყვების არსებობა ბუნებრივია. ქართულ ენაშიც მრავლად გვხვდება ასეთი ტერმინები. მაგრამ ამჟამად აფხაზური ენა მძიმე მდგომარეობაშია, რადგან მასზე რუსული ზეწოლა ძალიან ძლიერია.

აფხაზებს 500 წელი მოუხდათ ქართულ სივრცეში ცხოვრება, ამიტომაც არის ამ ენაზე ქართულის გავლენა ყველაზე დიდი. აფხაზურში გვხვდება ნასესხები გვარები, ადამიანთა საკუთარი სახელებიც კი, ცხოვრების ბევრი დარგის ამსახველი სიტყვები. სწორედ ეს საკითხებია განმარტებული ლექსიკონში. განმარტებულია როგორც სიტყვის მნიშვნელობა და წარმომავლობა, ასევე ის მოვლენაც, რასაც თავად სიტყვა ასახავს. მაგალითად, ქორწინებასთან დაკავშირებული სიტყვები - დაწინდვა, გათხოვება და ა. შ. ნაშრომი მაღალი ხარისხისაა და ძალიან მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით. სალომე ბახია-ოქრუაშვილი კი ერთადერთი ქართველი ეთნოლოგია, რომელიც მუდმივად ჩადიოდა აფხაზეთში და ამ საკითხებს იკვლევდა. მას მოვლილი აქვს აფხაზეთის თითქმის ყველა სოფელი. მასალა მოპოვებულია კონფლიქტამდე პერიოდში. მსგავსი კვლევა თავად აფხაზებსაც არ ჩაუტარებიათ. ეს ამ ტიპის პირველი გამოცემაა, რომელიც, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ითარგმნოს ინგლისურად და რუსულად. აფხაზურად თარგმნა შედეგს არ მოიტანს, რადგან ეს ენა სამეცნიერო თვალსაზრისით თავად აფხაზებისთვისაც კი ნაკლებად გამოსადეგია.

წიგნს ახლავს ძალიან საინტერესო წინასიტყვაობა, სადაც საუბარია აფხაზების წარმომავლობაზე. ავტორი ცალსახად ამბობს, რომ აფხაზები ამ ტერიტორიაზე არ ცხოვრობდნენ და ჩრდილოეთ კავკასიიდან არიან ჩამოსულები. მე ამ აზრს აბსოლუტურად ვიზიარებ. ქალბატონი სალომე კი არის მაღალი დონის მეცნიერი, რომლის ცოდნა სათანადოდ არ არის გამოყენებული. მას ისეთი ცოდნა აქვს, რაც დღევანდელი ახალგაზრდებისთვის, სამწუხაროდ, მიუღწეველია, თუნდაც იმის გამო, რომ შეუძლებელია აფხაზეთში ჩასვლა და ამ მასალის მოპოვება. აქვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას მხარდაჭერისა და წიგნის გამოცემისთვის. რომ არა ასეთი თანადგომა, ეს წიგნი კიდევ დიდხანს არ დაიბეჭდებოდა. ძალიან დასაფასებელია, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ეს საკითხი პრიორიტეტად მიიჩნიეს".

სალომე ბახია-ოქრუაშვილი:

„აფხაზეთში 70-იან წლებში დავდიოდი. თითქმის ყველა რაიონი და სოფელი ფეხით მაქვს მოვლილი და ყველა სახლში ვარ შესული. მოპოვებული მასალა უნიკალურია, თუნდაც იმიტომ რომ ასეთი რამ არავის გაუკეთებია. ეს ტერმინები აფხაზებსაც კი არა აქვთ შესწავლილი. აფხაზური ტერმინების ქართული ანბანით გადმოცემა იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ რუსული ანბანი აფხაზურ ენას არ ერგება. გარკვეული ბგერები ქართულს უფრო შეესაბამება. ეს წიგნი ძალიან მნიშვნელოვანია აფხაზებისთვისაც, რადგან ისინი უნდა მიხვდნენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მიწის ნაწილი წაგვგლიჯეს, ჩვენ უფრო ვზრუნავთ მათზე, ვიდრე რუსები. თუ ვინმე დამაფინანსებს, მზად ვარ, გამოცემა რუსულადაც ვთარგმნო. ამ ლექსიკონამდე გამოვეცი „აფხაზთა ეთნოლოგია",„აფხაზთა ეთნიკური პრობლემები",„აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი". გამოკვლევები მაქვს ასევე ოსებზე, ინგილოებზე, დვალებზე. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზ მეცნიერებთან, რომლებთანაც ომამდე ინტენსიურად ვკონტაქტობდი, ახლა გაწყვეტილი მაქვს კავშირი, ისინი ამ ნაშრომს აუცილებლად მიიღებენ. მე ამ წიგნს გავაგზავნი სოხუმში, ისევე როგორც სხვა გამოცემები გავაგზავნე."

სიღრმის ძიებაში

ანა ჩომანია, წარმოშობით სოხუმელი, თბილისში დაიბადა. წარჩინებით (მედალზე) დაამთავრა ქ. თბილისის გ. რამიშვილის სახელობის №20 საჯარო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თავისუფალ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე 100 პროცენტიანი გრანტით. პარალელურად ჩააბარა ქ. ფრანკფურტის იოჰან გოეთეს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე და აქაც მოიპოვა გრანტი სრული დაფინანსებით. ანამ არჩევანი გოეთეს უნივერსიტეტზე შეაჩერა და ამჟამად მისი სტუდენტი-ბაკალავრია. გთავაზობთ ცნობილი გერმანელი მწერლის პატრიკ ზიუსკენდის ერთი მოთხრობის ანასეულ თარგმანს.

პატრიკ ზიუსკენდი

ერთმა ახალგაზრდა შტუტგარტელმა ქალმა, რომელიც საკმაოდ კარგად ხატავდა, თავისი პირველი გამოფენის შესახებ რეცენზია წაიკითხა. კრიტიკოსი, რომელიც არათუ რამე ცუდს გულისხმობდა, არამედ პირიქით, მისი დახმარებაც კი სურდა, წერდა: „თქვენი ნამუშევრები სასიამოვნო დასათვალიერებელია და თქვენს ნიჭზე მეტყველებს, მაგრამ სამწუხაროდ, ისინი სიღრმისეული არაა".

ახალგაზრდა ქალმა ვერაფერი გაიგო და მისი შენიშვნა მალე გადაავიწყდა, მაგრამ მომდევნო დღეს გაზეთში ისევ იხილა იმავე კრიტიკოსის შეფასება, რომელშიც ის ამბობდა: „ახალგაზრდა ხელოვანი უდაოდ ძალიან ნიჭიერია და მისი ნამუშევრები ერთი შეხედვით დიდ მოწონებას იმსახურებს, თუმცა, სამწუხაროდ, გვეუფლება გრძნობა, რომ მათ სიღრმე აკლია".

ქალი დაფიქრდა. მან ყველა თავისი საქაღალდე გაჩხრიკა და ყველა ნახატი გადაათვალიერა, ისინიც კი, რომლებზეც ჯერ ისევ მუშაობდა. შემდეგ გაბრაზებულმა საღებავების ქილები დაამტვრია, იატაკი მოწმინდა და სასეირნოდ გავიდა.

იმავე დღეს მხატვარი საღამოზე იყო მიწვეული. ჩანს, სტუმრებს კრიტიკა დაეზეპირებინათ და მხოლოდ იმაზე საუბრობდნენ, თუ როგორი ნიჭიერი იყო ის და რაოდენ შთამბეჭდავი იყო მისი ტილოები, მაგრამ ასევე ნათლად ესმოდა უკან მდგომთა ლუღლუღი: „მისი ნახატები სიღრმეს მოკლებულია. სამწუხაროდ, ეს სიმართლეა. ცუდი არაა, მაგრამ ..."

მთელი კვირის განმავლობაში ახალგაზრდა ხელოვანი არაფერს ხატავდა. ის იჯდა ჩუმად თავის ბინაში, ღრმად ჩაფიქრებული და თავში მხოლოდ ერთი კითხვა უტრიალებდა: „მაინც რას უნდა ნიშნავდეს ეს სიღრმე? და რატომ არ გამაჩნია მე ის?"

მეორე კვირას ქალი ცდილობდა, რამე დეხატა, მაგრამ ხან მხოლოდ უგერგილო ნახაზები მოსდიოდა თავში, ხან კი საერთოდ ვერაფერზე ფიქრობდა. საბოლოოდ კი ისე კანკალებდა, რომ საღებავში ფუნჯის ჩაწებაც კი არ შეეძლო. დაღლილმა და იმედგაცრუებულმა ტირილი დაიწყო და ხმამაღლა ყვიროდა" „მართალია, მე არ ვარ ღრმა".

მესამე კვირას მან დაიწყო ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობაზე დაკვირვება, სხვა მხატვრების ნამუშევრების შესწავლა და მუზეუმებსა და გალერეებში სიარული. ის კითხულობდა წიგნებს ხელოვნების თეორიაზე, დადიოდა მაღაზიებში და გამყიდველებს ყველაზე ღრმა ნაწარმოებებს სთხოვდა.

გამოფენაზე, სახელად „ევროპული ხელოვნება 500 წლის განმავლობაში",იგი გადაეყარა მოსწავლეთა ჯგუფს, რომელსაც ხელოვნებათმცოდნე ხელმძღვანელობდა. მას იგი ლეონარდო და ვინჩის ტილოსთან წააწყდა და ჰკითხა" „მაპატიეთ, შეგიძლიათ მითხრათ, არის თუ არა ეს ტილო ღრმა?" კაცმა გაიცინა და უპასუხა: „თუ ჩემი დაცინვა გადაწყვიტეთ, მაშინ უფრო ადრე უნდა ამდგარიყავით, მოწყალეო ქალბატონო". ამის გაგონებაზე ბავშვებმა გულიანად გადაიხარხარეს. განაწყენებული ქალი სახლში მისვლისთანავე მწარედ ატირდა.

მხატვარი უფრო და უფრო უცნაური ხდებოდა. თავის სამუშაო ოთახს თითქმის არ ტოვებდა, მიუხედავად იმისა, რომ არც მუშაობა შეეძლო. ის იღებდა აბებს, რათა არ დაძინებოდა, თუმცა არც კი იცოდა, რისთვის სჭირდებოდა სიფხიზლე. დაღლილი მხოლოდ სკამზე იძინებდა, რადგან საძინებელში გასვლის ეშინოდა. დიახ, მას შიშს გვრიდა ძილის სიღრმე. მალე სმა დაიწყო და მთელი ღამე შუქს ანთებულს ტოვებდა. ის აღარ ხატავდა. როდესაც ბერლინიდან ნახატებით მოვაჭრემ დაურეკა და რამდენიმე ტილოს შესყიდვა შესთავაზა, ქალმა ტელეფონში დაუყვირა: „თავი დამანებეთ! მე არ გამაჩნია არანაირი სიღრმე". დროგამოშვებით პლასტელინისაც აწვალებდა, მაგრამ არაფერი განსაკუთრებული არ შეუქმნია. მხოლოდ თითის ნვერებს ჩააფლობდა ხოლმე ან გუნდას ფორმას აძლევდა. თანდათან გარეგნულადაც მოეშვა, თავს არ უვლიდა, ჩაცმას ყურადღებას არ აქცევდა და მისი ბინაც სულ გაორდა.

მეგობრები მხატვარზე დარდობდნენ და ამბობდნენ: „მას მზრუნველობა სჭირდება. ის ახლა ან ადამიანური, ან ეკონომიკური, ან შემოქმედებითი სახის კრიზისშია. თავიდან უმოქმედობაც დასაშვებია, მაგრამ თუ ძალიან შეტოპავს, აუცილებლად რამე უნდა მოვიმოქმედოთ, ოღონდ, ის ამას ალბათ იუხერხულებს". საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის ვახშამზე ან წვეულებაზე დაეპატიჟებინათ. მიწვევებზე უარის სათქმელად ყოველთვის სამუშაოს იმიზეზებდა, თუმცა უკვე დიდი ხანია არაფერი დაეხატა, უბრალოდ იჯდა ოთახში, გაჰყურებდა ჰორიზონტს და პლასტელინს ათამაშებდა.

ერთხელ ისეთ სასოწარკვეთამდე მივიდა, რომ მიწვევის მიღება გადაწყვიტა. ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ის ძალიან მოსწონდა, სახლამდე მიაცილა და მასთან დაწოლის სურვილი გამოთქვა. ქალი უარზე არ იყო, რადგან მასაც მოსწონდა ახალგაზრდა, მაგრამ წინასწარ გააფრთხილა, რომ ის არ იყო ღრმა. კაცი დაფრთხა და მისგან თავი შორს დაიჭირა.

ქალი, რომელიც ჯანმრთელობას არასდროს უჩიოდა, შესამჩნევად დაუძლურდა. გარეთ არ გადიოდა და არც არავის იღებდა, უმოძრაობის გამო გასუქდა, ხოლო ალკოჰოლისა და აბებისაგან მალე დაბერდა.

სამი წელი მემკვიდრეობით მიღებული 30 000 მარკით ცხოვრობდა. ამ ხნის განმავლობაში ის ერთხელ ნეაპოლშიც გაემგზავრა, თუმცა არავინ იცის, რისთვის. ვინც მასთან დალაპარაკებას ეცდებოდა, ყველა მხოლოდ გაურკვეველ პასუხს იღებდა.

როდესაც ფული სრულად დახარჯა, თავისი ნახატები დაჩეხა და დააქუცმაცა. შემდეგ სატელევიზიო ანძაზე ავიდა და 139 მეტრის სიმაღლიდან შორს სიღრმეში გადაეშვა. ვინაიდან იმ დღეს ძლიერი ქარი ქროდა, იგი არ დავარდნილა ანძის ქვეშ, ფისიან ადგილზე. მისი სხეული ქარმა ტყისკენ წაიღო და ნაძვნარში ჩაადგო. მხატვარი მაშინვე გარდაიცვალა.

ეს ამბავი ყვითელმა პრესამ აიტაცა. თვითმკვლელობა, საინტერესო ტრაექტორია, ფაქტი, რომ ეს ყველაფერი იმედის მომცემ ხელოვანს ეხებოდა, ღირებულ ინფორმაციად იქცა. მხატვრის ბინა იმდენად კატასტროფულ მდგომარეობაში იყო, რომ მას უამრავი ფოტო გადაუღეს: ათასობით დაცლილი ბოთლი, ყველგან ნგრევის ნიშანი, დაფხრეწილი ნახატები, კედლებზე აკრული პლასტელინის გუნდები და კუთხეში დაგროვილი ფეკალური მასები.

რამდენიმე დღის შემდეგ ზემოთ ხსენებულმა კრიტიკოსმა ფელეტონი გამოაქვეყნა, რომელშიც ის გაოცებას ვერ მალავდა. „ისევ და ისევ - წერდა ის - ეს აწ უკვე წარსულს ჩაბარებული, შემაძრწუნებელი ამბავი, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ არ ეყო ახალგაზრდა, ნიჭიერ პიროვნებას ძალა საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად. ხალხის მხარდაჭერას და ინიციატივებს არაფერი ძალუძთ, როდესაც საქმე შემოქმედებითი კრიზისით გამოწვეულ დეპრესიას ეხება. თუმცა საბოლოოდ ყველა ტრაგიკულ დასასრულში ჩანს ინდივიდუალური საწყისი. მხატვრის გულუბრყვილო ნამუშევრები თავიდანვე მეტყველებდა მის სისუსტეზე და თავნებობაზე. ეს სპირალური ფორმის, ემოციურად დატვირთული და შერეული ტექნიკით შესრულებული ნახატები გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ადამიანს აუჯანყდეს საკუთარ თავს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, სწორედ ამ სიღრმის უაზრო ძიება".

გერმანულიდან თარგმნა
ანა ჩომანიამ.

„ბალადა ვეფხვისა და მოყმისა“

როგორც გზავნილი მსოფლიოს

ნატო კორსანტია

„ბალადა ვეფხვისა და მოყმისა" ქართული ზეპირსიტყვიერების შედევრია. სათქმელი კი, რასაც ბალადა ეფუძნება, რაც დრო გადის, უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ კონფლიქტებით დასერილი მსოფლიოსთვისაც.

ახლახან ეს შედევრი საქართველოს მწერალთა კავშირისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომლობით მსოფლიოს 17 ენაზე (არაბული, ბერძნული, ესპანური, თურქული, იაპონური, ინდური, ინგლისური, იტალიური, რუსული, სპარსული, უკრაინული, ფრანგული, აზერბაიჯანული, გერმანული, სომხური, ებრაული და ჩინური) გამოიცა. თარგმანის მიზანია მსოფლიომ გაიცნოს პოემის მთავარი გმირი ვაჟკაცის გამზრდელი დედა, როგორც ტოლერანტობის, სულგრძელობის, ქართველი ქალის გაუტეხელი ბუნების სიმბოლო. გამოცემის იდეის ავტორია ნომადი ბართაია, მწერალი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; რედაქტორი - მაყვალა გონაშვილი, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე; მხატვარი - ნუგზარ მგალობლიშვილი, მხატვარი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; წიგნი გამოიცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს - მინისტრი როლანდ ნიჟარაძე - მხარდაჭერით. მოვუსმინოთ მათ, თუ რას ფიქრობენ პოემის გამოცემის არსსა და მნიშვნელობაზე.



ნომადი ბართაია:

- „ბალადა ვეფხვისა და მოყმისა“-ს მსოფლიოს ჩვიდმეტ ენაზე გამოცემის იდეა რამდენიმე წლის წინათ დამებადა. ამ ფაქტით მსოფლიოსთვის მინდოდა გვეთქვა, რომ ქართველების სახით არსებობს ზეჰუმანური ერი, რომლის წიაღშიც იშვა ასეთი ბალადა და რომლის ავტორია ხალხი. მსოფლიო ლიტერატურაში ბევრი ვეძებე მსგავსი ნიმუში, მაგრამ ვერსად ვიპოვე. ეს ფაქტი ჩვენს განსხვავებულობას უსვამს ხაზს, იმასაც, რომ ჩვენ რაოდენობრივად ვართ მცირენი, მაგრამ სულიერად ძალიან დიდები ვართ.

თითქმის სამი წელი ვუყრიდი თავს ლექსის თარგმანებს, რაშიც ცნობილი მთარგმნელები მეხმარებოდნენ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ გაურკვეველი იყო, გამოიცემოდა თუ არა იგი. თუმცა გულის სიღრმეში მჯეროდა, რომ ამას ოდესმე, თუნდაც ჩემი ხარჯით, აუცილებლად შევძლებდი. მოგვიანებით, რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა გულთან ახლოს მიიტანა ეს ამბავი და წიგნმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მზის სინათლე იხილა. სასიხარულოა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობამ პრიორიტეტულად მიიჩნია მისი გამოცემა.

ახლა საჭიროა ყველა ქვეყნის საელჩომდე მივიდეს წიგნი, რათა მათი ხელშეწყობით მსოფლიომ გაიგოს, როგორი კულტურული წარსულის, აზროვნების, ტრადიციების ერი ვართ. მომავალში ვფიქრობ, გაეროსთვის, გაეროს ექვს ენაზე (მით უმეტეს, რომ ექვსივე ენაზე უკვე თარგმნილია) ცალკე გამოიცეს იგი.

მაყვალა გონაშვილი:

- „ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს“,- ბრძანებდა ტიციან ტაბიძე. ყველაზე უკეთ ერის ხმა, მრავალ ეპოქათა ქარტეხილებგამოვლილი ხმა, ადამიანთა სმენას ხალხური პოეზიიდან ეფინება. ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი ასეთი შედევრია „ბალადა ვეფხვისა და მოყმისა“ - ტკივილის, სიყვარულის, გმირობის, მიმტევებლობის, სულგრძელობის უმშვენიერესი ლექსი. განა ბევრია მსოფლიო ლიტერატურის უძირო ზღვაში ასეთი სულისშემძვრელი და ამაღლებული ამბავი: შვილმკვდარი დედა სამძიმრად ვეფხვის დედასთან მიდის, მისი ტკივილისა და ცრემლის თანაზიარი ხდება.

იყო, არის და ვაი, რომ ისევ იქნება დედამიწაზე ომი და კაცთაკვლა, დაუნდობლობა და სიძულვილი... მაგრამ ესეც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ: „წუთისოფელი ასეა, ღამე დღეს უთენებია, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. ეს ქართველი კაცის სულიდან მზესავით ნუგეშად ამოსული სიტყვებია. სიყვარული, მიმტევებლობა, იმედი, აი, სამება, რაც გადაარჩენს ფიქრარეულ კაცობრიობას.

ჩვიდმეტ ენაზე თარგმნილი „ვეფხვის და მოყმის ბალადა“ - ჩვიდმეტი წერილი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაგზავნილი, როგორც ნიშანი ქართველი ადამიანის სულგრძელობისა და მიმტევებლობის, როგორც ნუგეში მსოფლიოს ყველა ქვეყნის დედებისთვის, როგორც სურვილი მშვიდობისა და სიკეთის.

როლანდ ნიჟარაძე:

- ამ წიგნის გამოცემის იდეით თავიდანვე დავინტერესდი. ქალი, მათ შორის ქართველი ქალი, ანტიკური ხანიდან მოყოლებული ყოველთვის აქტიურად იყო ჩაბმული ცხოვრების ყველა სფეროში - დიპლომატიაში, სარწმუნოებაში, ქვეყნის მართვასა და განვითარებაში... ქართველმა ხალხმაც უთუოდ ამ ყველაფრის გათვალისწინებით შექმნა ასეთი უკვდავი პოემა, რომლის გმირი ქალის ვაჟკაცური ქმედება საუკუნეებს აკვირვებს. ბრძენი და მამაცი ქართველი ხალხის მიერ შექმნილი, მარადიულ ფასეულობებზე დაფუძნებული ეს შედევრი მთელმა მსოფლიომ უნდა იცოდეს.

აფხაზეთის ომისა თუ ზოგადად 90-იანი წლების შემდგომი ძნელბედობების ჟამს ჩვენი თანამედროვე ქალები, თავიანთი წინაპრების მსგავსად, ღირსეულად შეეჭიდნენ და გაუმკლავდნენ თავს დამტყდარ პრობლემებს. ამიტომაც პროექტის ფარგლებში აფხაზეთიდან დევნილი ქალების ღვაწლის დაფასებაც მოვიაზრეთ. ასე შეიქმნა მნიშვნელოვანი სათქმელის მომცველი პროექტი „ეპოქა ქალის“,ქალისა, რომელიც სწორედაც რომ მოყმის დედის სულისკვეთების გამგრძელებელი იყო და იქნება.

რა თქმა უნდა, ვისურვებდი აფხაზებმაც წაიკითხონ გულისყურით და აღიქვან სიბრძნითა და სიკეთით სავსე ბალადა. ოღონდ წაიკითხონ აუცილებლად მშობლიურ ენაზე. რადგან ენა ის განძია, რომელიც ნებისმიერი სიბრძნის აღქმას უფრო აადვილებს.

ნუგზარ მგალობლიშვილი:

- უპირველესად ვიტყვი, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის წინადადება, ვყოფილიყავი ამ წიგნის მხატვარი და უფრო ახლოს შევხებოდი ამ ხალხურ შედევრს, ჩემთვის დიდი პატივი იყო. ამავე განწყობით შევუდექი წიგნის გაფორმებასაც. ცხადია, მთავარი აქცენტი უნდა გაკეთებულიყო დედაზე, რომლის აღსარებაზეცაა - „იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა ტირისა“ - აგებული პოემის სიუჟეტი. ეს გასაოცარი აღსარება ამბობს, რომ ჩვენს უძველეს ერს ძველთაგან მოსდგამს სულგრძელობა, მიმტევებლობა, ტოლერანტობა, რომელსაც თითქოს ახლა სხვები გვკარნახობენ...

ნახატზე, რომელიც გამოცემის ყდაზეა, მოყმის დედას მთვარის სახით თავზე ადგას ნათელი. ავტორი ამბობს კიდეც, „დრონ იყვნეს შუაღამისანიო“. ასე რომ თვითმხილველი იმ ყველაფრისა, რაც მოხდა, იყო სამყაროს ერთ-ერთი მნათობი მთვარე.

მოყმის დედის ხასიათში დევს ქართული ბუნება, ქართული სული, საოცარი ჰუმანიზმი: სამძიმრის სათქმელად ვეფხვის დედასთან წასვლა. და ხშირად ვფიქრობ ხოლმე, დღეს რა გვემართება ამგვარი განძის მქონეთ-მეთქი.

მე დავხატე ასევე წიგნის ტიტული, რომელსაც „დედის ვედრება“ ვუწოდე, რაც მთელი სამყაროს დედების ვედრებასაც გამოხატავს მშვიდობისა და ერთიანობისათვის.

საყმაწვილო თხზულება

„დელფინ ფანის ამბები“ აფხაზეთზე

მაია შონია

სალომე კაპანაძემ შვილიშვილებისთვის აფხაზეთის გაცნობა ძილის წინ მოყოლილ ზღაპრებად გადაწყვიტა. ლილესა და ნიცასთვის შექმნილ დელფინ ფანის საოცარ თავგადასავალს ახლა უკვე მათი თანატოლებიც წაიკითხავენ. „დელფინ ფანის ამბები" თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის ნიმუშად იქცა, რომელიც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში გამოიცა. წიგნი ლილესთან დამეგობრებულ დელფინ ფანზე და სოხუმსა და გაგრაში განვითარებულ მათ თავგადასავალზე გვიყვება მეგობრისთვის თავდადების, მშვიდობის, ადამიანების გარესამყაროსთან ურთიერთობის მნიშვნელობაზე ხაზგასმით. პატარებს ამ ყველაფრის აღქმაში დალი მუხაძის ილუსტრაციები ეხმარება.

სალომე კაპანაძემ ეს ზღაპარი დაწერა „უსოხუმო სოხუმელთათვის და სოხუმიან სოხუმელთათვისაც. რაკიღა სათქმელი განზოგადებულია და მზიანი ქალაქი, როგორც მხატვრული და რეალური ფონი, ასეთი კოლორიტულობით წარმოისახება, აფხაზი ბავშვები ისეთივე ცნობისწადილით გაეცნობიან დელფინ ფანის ამბებს, როგორც ქართველი თუ სხვა ეროვნების ბავშვები. ამიტომაც აქვს ამ გულშიჩამწვდომ წიგნს არა მარტო ლიტერატურულ-კულტურული, არამედ პირწმინდად პოლიტიკური დანიშნულებაც, საერთოდ კი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა - ხელახლა გასდოს სულიერი ხიდი ქართველ და აფხაზ ყმანვილებს შორის, რომელნიც თავიანთ მშობლიურ ენაზე გაეცნობიან დელფინ ფანის საგულისხმო ამბებს, იმ ენაზე, რომელსაც გადაყლაპვას უქადის რუსეთი და რომლის გადარჩენის ხელშემწყობნიც ისევ ჩვენ თუ ვართ - ქართველები“,- ამბობს კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე.

გამოცემის შესახებ კითხვებს სალომე კაპანაძე პასუხობს:

- „დელფინ ფანის ამბების“ ერთ წიგნად გამოცემის იდეა იმ ზღაპრებით დაიწყო, რომელსაც შვილიშვილებს უყვებოდით. თუმცა წიგნში ისეთ თემებსაც შეეხეთ, ჩნდება კითხვა, ხომ არ მიიჩნევთ, რომ ეს მხოლოდ საბავშვო ლიტერატურა არ არის?

- საბავშვო ლიტერატურაში ყოველთვის იგულისხმება ის, რისი გააზრებაც დიდობაში უფრო ღრმად გვიწევს. ბავშვობაში უნდა ჩაეყაროს საფუძველი მორალურ-ეთიკურ ფასეულობებს. ეს ყველაზე სანდო პლატფორმაა იმ პასუხისმგებლობის ფორმირებისთვის, რომელიც არამარტო ადამიანების, არამედ სამყაროს მკვიდრთა წინაშე უნდა გვქონდეს. ბავშვობაში რადიარდ კიპლინგის „მაუგლი“ პირველი წიგნი იყო, რომელიც წავიკითხე. კიპლინგის ამ საოცარ ნარატივში იმდენი სიმბოლური განაზრებებია სამყაროს ერთიანობის განცდაზე, სიკეთის უპირატესობაზე, რომ დღემდე მომყვება ეს შთაბეჭდილებები და განსაზღვრავს ჩემი აზროვნების წესს. ძალიან მინდა, ჩემი შვილიშვილების თაობას ამ თვალსაზრისით მგრძნობელობის მაღალი რეგისტრი ჰქონდეთ და ჰუმანიზმით, შემწყნარებლობით შეიარაღდნენ, როცა აფხაზეთზე დაიწყებენ ფიქრს. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ საბავშვო მწერლობა, ზოგადად კულტურა, გენეტიკური მეხსიერების გაცოცხლებისთვის შეუცვლელი საშუალებაა. ამ ფიქრებში იშვა ძილისპირული ამბები ადამიანებზე შეყვარებულ დელფინზე, რომელიც სოხუმელ გოგოს, ლილეს დაუმეგობრდება. ჩემმა ტყუპებმა, ლილემ და ნიცამ, იციან, რომ სოხუმი მზიანი ქალაქია, იქ ადამიანებს და ზღვის ბინადართ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, რომ ისინი მხოლოდ კეთილი სიტყვებით მიმართავდნენ ერთმანეთს. დაგეთანხმებით, ტექსტში დიდები ადვილად ამჩნევენ ქვეტექსტებს, რეალურად პოლიტიკური კონტექსტი ჩაფიქრებული არ მქონია. სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება მარადიული მოდელია, სამწუხაროდ, თანმდევია ჩვენი არსებობის და უნივერსალურად ერგება ხოლმე მწერლის სათქმელს. როცა როსტომ ჩხეიძე ტექსტის პოლიტიკურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს, ვფიქრობ, იმ გზავნილს გულისხმობს, რომელიც ამ წიგნში ჩავდე. დიალოგს მშვიდობის ენაზე ჩემთვის ალტერნატივა არ აქვს.

- თქვენთვის, როგორც ავტორისთვის, რა არის მთავარი და მნიშვნელოვანი სათქმელი, რასაც ამ წიგნით ამბობთ?

- ნაწარმოების მთავარი იდეა კონცენტრირებულია აფხაზეთის მშვიდობიანი წარსულისა და მომავლის, თანაგრძნობისა და კეთილი საქმეებისთვის თავდადების ირგვლივ. ამბავი ვითარდება სოხუმსა და გაგრაში. მასში ჩართულია ისეთი პასაჟები, რომელიც მოზარდს მიაწოდებს ინფორმაციას აფხაზეთის ტოპონიმიკაზე, მის კოლორიტულ ადგილებსა და სოხუმელების მშვიდობიანი თანაცხოვრების ისტორიაზე. თუმცა არსად არ ვახსენებ ეროვნებას. წიგნი განკუთვნილია აფხაზი და ქართველი ბავშვებისთვის. მისი მთავარი გზავნილია მშვიდობა და თანადგომა. რაც მთავარია, მან ხელი უნდა შეუწყოს მოზარდებში მშვიდობის კულტურის განვითარებას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის არაძალადობრივი იდეის ფორმირებას. ***- როგორც ვიცით, წიგნი აფხაზურად ითარგმნა. ვინ თარგმნა და რა გამოხმაურებას ელოდებით ენგურს გაღმიდან?***

- წიგნი ითარგმნა სოხუმში, რაშიც „ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ინსტიტუტი“ დაგვეხმარა. გასაგები მიზეზების გამო გვარებს ვერ ვასახელებ, მაგრამ მათ შეფასებას ვერ დავმალავ, შემომითვალეს, კარგა ხანია ასეთი სიამოვნებით არ გვიმუშავია თარგმანზე და სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული წიგნის გავრცელებითო. სახელმწიფოს კი ნამდვილად ვერ დავემდურები. პროექტმა გაიმარჯვა კონკურსში და წიგნი დაფინანსდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ,,კულტურის ხელშეწყობის პროგრამიდან". რაც შეეხება მის პოპულარობას, ამაზე საუბარი ნაადრევია, რადგან ჩვენი პანდემიური რეალობიდან გამომდინარე, ჯერჯერობით წიგნის გავრცელება არათუ ენგურს გაღმა, გამოღმაც ვერ ხერხდება.

- „დელფინ ფანის ამბებისთვის“ ილუსტრაციები მხატვარმა დალი მუხაძემ შექმნა. რა როლი შეასრულა მისმა ნახატებმა გამოცემის სრულყოფაში და თუნდაც სათქმელის გადმოცემაში?

- საბავშვო წიგნის მხატვარი, ფაქტობრივად, თანაავტორია. დალი მუხაძე მრავალმხრივი შემოქმედია. ძალიან მინდოდა, ბოლომდე ეგრძნო მნიშვნელობა იმ ილუსტრაციების, რომლის თემატიკას, გამომდინარე იქედან, რომ აფხაზეთიდან ვარ, თავად ვთავაზობდი. ანუ ძალიან მინდოდა, რომ წიგნის ილუსტრირების დროს აქცენტი ჩვენს კოლორიტულ ადგილებზეც გაგვეკეთებინა. ასეთი მიდგომა წიგნისთვის ერთობ ემოციური გამოდგა. დალიმ სერიოზულად იმუშავა. სანამ ლილეს, ფანის და მის მეგობრებს ნახატებში გააცოცხლებდა, ყოველდღე ონლაინ მოგზაურობდა სოხუმსა და გაგრაში. მეუბნებოდა, რომ უნდა ეგრძნო ქალაქი. არ შეიძლება დალის ხორცშესხმული ლილე და ფანი არ შეგიყვარდეს.

„ხმოვან საზღვრებად“ ქცეული მავთულხლართები

რომელიც გაუჩინარებული სოფლების სახელებს და კოორდინატებს გადასცემს

ნატო კორსანტია

- ირაკლი, რას იტყვით, საიდან მოდიხართ და რა გზით იარეთ დღემდე? რამ განსაზღვრა თქვენი არჩევანი, რატომ მაინცდამაინც დიზაინი?

- მე მგონი მთელი ცხოვრება ერთსა და იგივე საქმეს ვაკეთებ, უბრალოდ სხვადასხვა კონტექსტში. ამას სახელიც სხვადასხვა ჰქვია. ამ გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილება - სხვა ყველაფერი გვერდზე გადამედო და დრო და ენერგია მთლიანად დამეთმო იმისთვის, რასაც ამა თუ იმ სახით ისედაც სულ ვაკეთებდი. ჰოლანდიაში გადმოსვლა და სწავლის დაწყება ამაში ძალიან დამეხმარა.

ჩემთვის საინტერესოა სივრცეები, სადაც იდეების განხორციელებას ხელოვნური ბარიერები არ ექმნება და შეკითხვა დაესმის ყველაფერს, იქნება ეს არსებული სისტემები, აზროვნება თუ ტრადიცია. ასეთი სივრცე დღეს ხელოვნების, დიზაინის და მეცნიერების/ტექნოლოგიის თანხვედრაზეა შექმნილი. ჩემი საქმიანობაც მათ კვეთაზე გადის და საჭიროებისამებრ სამივედან იკვებება. ამ შედარებით ახალ სფეროში შემოქმედებითი აზროვნება, დიზაინმეთოდოლოგია და სამეცნიერო ცოდნა ერთმანეთს ავსებს. როდესაც ამა თუ იმ პროექტზე ვმუშაობ, არ ვფიქრობ იმაზე ეს ხელოვნებაა, დიზაინია თუ თუნდაც აქტივიზმი. რეალურად ალბათ სამივეა, მაგრამ მთავარია არა ის, რა ჰქვია, არამედ რას აკეთებ.

- თქვენ მას მერე გაგიცნოთ საზოგადოებამ, რაც ოკუპაციის თემაზე შექმნილი თქვენი სადიპლომო ნამუშევარი - „ხმოვანი საზღვრები“ გახმაურდა. რამდენად გახდა ამ ნამუშევრის საფუძველი ის გარემოება, რომ თქვენ აფხაზეთიდან ხართ?

- Voicing Borders - ჩემი სადიპლომო პროექტი იყო 2019 წელს ეინდჰოვენის დიზაინის აკადემიაში სწავლისას. ამ თემაზე მუშაობა ერთი წლით ადრე გადავწყვიტე, დაახლოებით იმ დროს, როდესაც აგვისტოს ომის 10 წლის თავზე მაშინდელი მოვლენები ისევ გამიცოცხლდა მეხსიერებაში.

როდესაც პროექტზე მუშაობა დავიწყე, ბევრი რამ საკვლევი მქონდა. მთავარ მასალად წლების წინათ ნანახი, ცხინვალის რეგიონში წაშლილი სოფლების სატელიტური ფოტოები გამოვიყენე და ბევრ მკვლევარსა და წყაროს მივმართე, რომ მოვლენების ნათელი სურათი აღმედგინა. საბოლოო ნამუშევარი ინტერაქტიული ინსტალაციაა, რომელიც ორი კომპონენტისგან შედგება. ის ერთი მხრივ, მოუთხრობს მნახველს ამ რეგიონში მომხდარ მოვლენათა შესახებ და მეორე მხრივ, მათ მიმართ ჩემს მიდგომას გამოხატავს.

პირველი კომპონენტი ინტერაქტიული რუკაა, რომელშიც ოცამდე გაუჩინარებული სოფლის ადგილმდებარეობა და სტრუქტურაა დოკუმენტირებული. ის აძლევს მნახველს საშუალებას გაეცნოს ამ მასალას უკომენტაროდ. ეს მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან აუდიტორიის უმრავლესობას ამ სოფლების ბედზე არ სმენია და იმისთვის, რომ შემდეგი ნაბიჯი გადამედგა, ჯერ ეს უნდა შემეცვალა.

„ჩემი ცხოვრების პირველი თავი სოხუმით იწყება და იქ გაგონილი პირველი გასროლებით მთავრდება. კარგ ნაწარმოებში დასაწყისი და დასასრული ხშირად წრეს კრავს. იმედია, ჩემს ცხოვრებაშიც ასე მოხდება... ოღონდ ამჯერად გასროლების გარეშე",- ამბობს დიზაინერი ირაკლი საბეკია ამ ინტერვიუს ბოლოს. და ვიდრე ეს რეალურად მოხდებოდეს, გადავწყვიტე, მასთან ინტერვიუ სწორედ მისი ამ შთამბეჭდავი ფრაზით შეკრულიყო.

ირაკლი საბეკიას მიერ ოკუპაციის თემაზე შექმნილი სადიპლომო ნამუშევარი - „ხმოვანი საზღვრები" მისი ცხოვრების ერთ-ერთი თავის ნაწილია. მან ეს პროექტი 2019 წელს ეინდჰოვენის (ნიდერლანდების სამეფო) დიზაინის აკადემიაში სწავლისას შექმნა. იდეა კი აგვისტოს ომის 10 წლის თავმა შთააგონა. თუმცა მაპროვოცირებელი ალბათ მის ქვეცნობიერში უფრო ღრმად ჩამარხული ისტორია იყო, ანუ აფხაზეთი/სოხუმი, საიდანაც მისი ცხოვრების „პირველი თავი" იწყება... „ხმოვანი საზღვრები" უჩვეულო ნამუშევარია, რომელიც ოკუპაციის ერთ-ერთი მთავარ იარაღს - მავთულხლართებს რადიოგადამცემად გარდაქმნის, იმის საწინააღმდეგო დანადგარად, რისთვისაც არის გავლებული. და ის ახლა პროტესტის ნიშნად, ცხინვალის რეგიონში „გაუჩინარებული სოფლების სახელებსა და კოორდინატებს" მორზეს ანბანით გადასცემს ცივილიზებულ მსოფლიოს. ...ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მნახველს სათითაოდ აღმოაჩინოს გაუჩინარებული სახლები, ქუჩები, სამეზობლოები ...და ვიზუალურად ერთმანეთს დაუპირისპიროს წარსული და აწმყო...

ირაკლი საბეკია სწორედ ამ ყველაფერზე გვესაუბრება:

მეორე კომპონენტის მიზანია თვითონ ოკუპაციის ფენომენს დაუპირისპირდეს და ჩვენში მისი როგორც ურყევი სტრუქტურის აღქმაზე მოახდინოს ზეგავლენა. ეს იყო მცდელობა შევხებოდი და შემეცვალა ის, რაც თითქოს ხელშეუხებელია, არა მხოლოდ მიწაზე, არამედ ცნობიერებაშიც. ჩემი მიდგომა სწორედ ამ პოზიციით დაიწყო. თუ ოკუპაცია მოვლენაა, რომელსაც ვერ ვმართავ და ვერაფერს ვუპირისპირებ, მაშინ იქნებ შევძლო მისი რომელიმე კომპონენტის საჩემოდ შემობრუნება. როგორც ქარი, რომლის ენერგიასაც ვერ ვმართავთ, მაგრამ შეგვიძლია სასარგებლოდ გამოვიყენოთ. რა მოხდება თუ ავიღებთ რამეს, რაც ოკუპაციის ნაწილია და მისსავე საწინააღმდეგო ფუნქციას მივანიჭებთ. ასე გადაიქცა ოკუპაციის იარაღი და თან სიმბოლო - მავთულხლართი მისსავე საწინააღმდეგო პროტესტის გახმიანების საშუალებად.

ინსტალაციაში - მავთულხლართის ბარიერს სპეციალურად ამ ნამუშევრისთვის შექმნილი გადამცემი უერთდება და გარდაქმნის მას ანტენად, რომელიც რადიოსიხშირეზე გაუჩინარებული სოფლების სახელებს და კოორდინატებს გადასცემს.

- როგორც ამბობთ, ოკუპაციის ერთ-ერთი მთავარ იარაღს - მავთულხლართს თქვენ დაიკისრეთ რადიოგადამცემის მისია, იმის საწინააღმდეგო მისია, რისთვისაც არის გავლებული. გვიამბეთ, ტექნიკურად როგორ ხდება ეს და რა პრინციპს ემყარება?

- ამა თუ იმ ფენომენის ელემენტარულ კომპონენტებამდე დაყვანა და რეალობის ამ ახალი საწყისიდან გადაწყობა, არსებულის გადააზრების და მის მიმართ დამოკიდებულების შეცვლის მეთოდია. ნებისმიერი გამტარი (როგორც ჩანს) ანტენაა, თუ მის თვისებას სწორად გამოიყენებ. მაგრამ ამ პროექტის მთავარი სამიზნე არა მეტალის მავთულია, არამედ აუდიტორიის ცნობიერება, სადაც ეს გარდასახვა ოპრესიული რეალობის მონოლითში ბზარს აჩენს. ბზარი კი ნგრევის დასაწყისია.

- პროექტორის წინ მდგარი მაყურებელი საკუთარი ჩრდილის ფონზე ხედავს გაუჩინარებული სოფლების ადგილმდებარეობებს, რაც ჩრდილს გარეთ არ ჩანს. ანუ შეგიძლია, შენი ჩრდილის მეშვეობით აღმოაჩინო ის სოფლები, რომლებიც „მიწისაგან პირისა აღგვილა". ამ შემთხვევაში ჩრდილი მხოლოდ ტექნიკური გადაწყვეტის საშუალებაა თუ მას რამე სიმბოლური დატვირთვაც აქვს?

- ჩრდილის გამოყენება საინტერესო იყო ჩემთვის, რადგან ეს მოვლენა ისედაც განუწყვეტლივ ჩვენს გარშემოა. მასთან ურთიერთობა ინტუიციურია და ყველამ ვიცით, რას უნდა ველოდოთ მისგან, მაგრამ ჩემს პროექტში ეს ლოგიკა დარღვეულია. თუ ინსტალაციაში დადგები, შენი ჩრდილი გიჩვენებს იმას, რაც „ისე" არ ჩანს. ამ გზით შეგიძლია აღმოაჩინო, თუ სად მდებარეობდა სოფლები, რომლების კვალიც ახლა აღარ არსებობს და ერთმანეთს დაუპირისპირო წარსული და აწმყო. სიმბოლური დატვირთვის გარდა, ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მნახველს სათითაოდ აღმოაჩინოს გაუჩინარებული სახლები, ქუჩები, სამეზობლოები... ეს მეთოდი უფრო პირადულია, აქ მნახველი თვითონ ხდება ინსტალაციის ნაწილი და მასში ნაჩვენები მასალის მკვლევარი და გამომძიებელი.

- გაუჩინარებული სოფლების სახელები და კოორდინატები ჰუმანური მსოფლიოს გასაგონად სამხილივით ხმიანდება, რაც თავისთავად, კონფლიქტებით დასერილი მსოფლიოსთვისაცაა. როგორ ფიქრობთ, კულტურის ენის როლი კონფლიქტების მოგვარებაში მხოლოდ იდეალისტთა მოგონილია? ამ მიმართულებით თუ აპირებთ მუშაობის გაგრძელებას?

- ხელოვნება ცვლის ჩვენს ხედვას და გვანახებს იმას, რასაც ყოველდღიურობაში გათქვეფილები ვერ ვამჩნევთ და არ ვითვალისწინებთ. ანალოგიებით, სიმბოლოებით, ქმედებებით ის ცდილობს, შემოიტანოს ჩვენი მხედველობის არეში იდეები და ისტორიები, რომლებიც დამკვიდრებულ ნარატივში ვერ თავსდება. ის აანალიზებს ჩვენს უშუალო სივრცეში მომხდარ მოვლენებს და რეაგირებს მათზე.

ჩემს სადიპლომო ნამუშევარში მე ვაზიარებ იმ ტკივილს, რომელსაც თვითონ ვგრძნობ ამ დანაკარგის და ადამიანთა ტანჯვის გამო. ხოლო რეაქცია არის ჩემი ქმედება, რომელიც აჩვენებს, რომ ასეთ „გამოუვალ“ ვითარებაშიც კი შემოქმედებისთვის არ არსებობს საზღვრები და მას აქვს უნარი გარდაქმნას და გააუვნებელყოს ისეთი მტკიცე სტრუქტურაც კი, როგორიც ოკუპაციის ხაზია. ეს იდეა ეხმიანება ადამიანების ბუნებრივ მისწრაფებას სამართლიანობისა და თავისუფლებისკენ და ამით აკავშირებს ერთმანეთთან.

ოთხმოცდაათიანებიდან დღემდე საქართველოში მიმდინარე მოვლენები ჩემთვის ყოველთვის დარჩება ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობრივ და პრობლემატურ თემად და ბუნებრივია, რომ ჩემი პრაქტიკის გარკვეული ნაწილი მას მუდამ დაეთმობა. ამ მიმართულებით შემდეგი ნამუშევრის თემაც ნელ-ნელა ყალიბდება. ის შეეცდება უფრო ახლოს მივიდეს და ახლა უკვე ადამიანური მასშტაბიდან შეხედოს იმას, რაც, Voicing Border-მა თანამგზავრის ხედით აჩვენა და მავთულხლართით გააჟღერა.

- ინსტალაცია „ხმოვანი საზღვრები“ გამოიფინა ბრიუსელში, ჰააგაში, როტერდამსა და ეინდჰოვენში... მილანის კვირეულის გამოფენა კი მსოფლიო პანდემიამ ჩაშალა. კიდევ რაში შეგიშალათ ხელი პანდემიამ და ხომ არ აპირებთ ამ გლობალურ განსაცდელს რამეთი გამოეხმაუროთ?

- 2020 წელს ამ პროექტის რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოფენა გაუქმდა ან გადაიდო, მაგრამ ეს გლობალური პროცესის ნაწილია და ამის გამო დაღონება არ ღირს. ამ ახალ სინამდვილეში ბევრმა რამემ დაკარგა აქტუალობა და ბუნებრივია, რომ ძველი „კალენდარი“ ბევრმა კულტურულმა სივრცემ გააუქმა. ეს ხელოვნებისა და დიზაინისთვის გარკვეულწილად კარგიცაა. ძველის ჩამოშლა ადგილს ათავისუფლებს ახლისთვის, ეს პერიოდულად საჭიროა კიდეც.

ასე მგონია, რომ მოვლენებზე დაუყოვნებლივ რეაგირება ხელოვნების მოვალეობა არ არის. საამისოდ უფრო რაციონალური სფეროები უკეთ არიან აღჭურვილი. ჩვენ უნდა გავერკვეთ მოვლენების არსში ადამიანისთვის და გვქონდეს ცნობიერი და არა რეფლექსური რეაქცია. ამისთვის კი დროა საჭირო. დარწმუნებული ვარ, მომავალში ეს მოვლენები ბევრი ნამუშევრის თემა გახდება სხვადასხვა სფეროში. დღეს, მე ისეთივე მონაწილე ვარ ამ ყველაფრის, როგორც სხვები არიან. მომავალში ვნახოთ.

- ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენს თავს „პოსტსაბჭოთა ნანგრევებში“ გაზრდილს უწოდებთ. რა გასწავლათ ამ რეალობამ, ეს მხოლოდ უსიამოვნო მოგონებებია თუ გარკვეული გამოცდილებაც, „ჭირსა შიგან გამაგრების“ უნარი და ბრძოლის ჟინი რომ გაგიმძაფრათ. ან იქნებ ჰოლანდიაში ცხოვრების წლები სულაც არ ითხოვდა ამას...

- ძნელია თქვა, რა მოგცა წარსულმა, იმიტომ, რომ მოცემასთან ერთად, ბევრი წაგართვა. ვცდილობ, არ დავაბრალო ესა თუ ის ამბავი სხვა რამეს და გავაგრძელო მოძრაობა. გამოვიყენო ის, რაც იყო, ვიკვებო ამ გამოცდილებით და შევქმნა რამე ახალი.

ერთ-ერთი, რაც ადრეული ასაკიდან ბევრმა ცვლილებამ მასწავლა, ალბათ არის ის, რომ ჩემს გარშემო არსებულ სისტემებს, იქნება ეს საზოგადოება, სახელმწიფო თუ სხვა, ნაკლებად ხისტად აღვიქვამ და მუდმივად კითხვის ნიშანს ვუსვამ. როცა მეუბნებიან, რომ რაღაცა „არ შეიძლება“,მინდა ვიცოდე, რატომ? ეს მეხმარება ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც.

ჰოლანდიაში ცხოვრებას რაც შეეხება, სირთულე არც აქ ყოფნას აკლია, უბრალოდ განსხვევება იმაშია, რომ საქართველოში გიწევს ბევრ რამეს ებრძოლო, აქ კი მხოლოდ საკუთარ თავს.

- ოქტომბერში თქვენი ინსტალაცია „ხმოვანი საზღვრები“ წარმოდგენილი იყო ბრიუსელის ხელოვნების ცენტრ „ბოზარში“. რითი იყო გამორჩეული ეს გამოფენა და რა გამოცდილება შეგძინათ? რამდენად ესმოდათ თქვენი სათქმელი?

- „ბოზარში“ გამოფენაზე ჩემი პროექტი გამოიფინა, როგორც STARTS Prize 2020-ის ნომინანტი. ეს ჯილდო ავსტრიული ფესტივალის - „არს ელექტრონიკა“,„ბოზარის“ და

გვ. 10

ამ წერილის ავტორი შალვა ბერიანიძე ჯერ (2018 წელს) აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სტაჟიორი იყო, შემდეგ კი თითქმის ორი წელი საზოგადოებასთან ურთიერთობის სმმართველოს სპეციალისტი. აქ მუშაობის დროს გახდა იგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულებით. შემდეგ ერასმუსის პროგრამით მოხვდა გლაზგოს უნივერსიტეტში (შოტლანდია, დიდი ბრიტანეთი), სრული დაფინანსებით. გლაზგოს უნივერსიტეტში შალვა გლობალური შესაძლებლობების ელჩად აირჩიეს და ჩართულია უნივერსიტეტის სოციალური მედიის არხების მართვასა და მათი კონტენტის შექმნაში.
ის თავის წერილში, ამ ყველაფერთან ერთად, როგორც აფხაზეთის დიდი გულშემატკივარი, განსაკუთრებული ემოციით გვიყვება გლაზგოს უნივერსიტეტის ერთ-ერთ სტუდენტზე, აფხაზეთიდან დევნილ მარიამ გოგუაზე. შალვას თქმით, მარიამს აფხაზეთი თავისი იდენტობის განუყოფელ ნაწილად მიაჩნია და ოცნებობს, საკუთარი სიტყვა თქვას აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში. შალვამ ბრიტანეთში წასვლის წინ, აფხაზეთის პოპულარიზაციის მიზნით, საგანგებოდ შეიძინა მისი ერთ-ერთი პუბლიკაციის გმირის - წარმოშობით სოხუმელი ნიკა მიქავას შექმნილი ტანსაცმლის ბრენდ „ლაკოაჟის" მაისური წარწერით - GAGRA და სწორედ იმ მაისურით გაემგზავრა.

შალვა ბერიანიძე

აქ ვერ დაიჩივლებ!

რადგან დაჩივლების დროც არ არის...

წვიმა – ყოველდღიურობის ნაწილი

აქამდე უცხო ქვეყანაში ორ თვეზე მეტ ხანს არ მიცხოვრია. ახლა, უკვე ოთხი თვეა, რაც დიდ ბრიტანეთში ვარ და ალბათ დროისა და დამოუკიდებლად ცხოვრების დამსახურებითაც, ბევრ ისეთ დეტალზე დავფიქრდი, რომლებსაც აქამდე ნაკლებ ყურადღებას ვუთმობდი.

ჩემი საცხოვრებელი ბინის ერთ-ერთი ფანჯარა რობერტსონის პარკს გადაჰყურებს, სადაც მწვანე ბალახი, მომცრო ტბა, საბავშო სკვერი და თითქმის ცამდე აწვდილი ხეები ეკოლოგიურად სუფთა სივრცეს ქმნის. პარკში ყოველდღე უამრავი ბავშვი იყრის თავს, ზოგი მარტო მოდის, ზოგიც მეგობრებთან, მშობლებთან ან ბებია-ბაბუებთან ერთად. ბავშვებს ყველაზე ნაკლებად აღელვებთ კორონავირუსით გამოწვეული რეალობა თუ სხვა რამ. ისინი თავიანთი ბავშვობით ტკბებიან და რა სასიამოვნოა, ყოველ დილით მათი ყიჟინა რომ მაღვიძებს.

მორიგი წვიმიანი დღეა, ფანჯრის მინას წვიმის წვეთები ისე ეცემა, რომ დარაბის მიღმა არაფერი ჩანს. მხოლოდ მხიარული ხმები და ყიჟინა ისმის. ვფიქრობ, ალბათ ისევ ბავშვები თამაშობენ პარკში-მეთქი... არ მიკვირს, რომ წვიმაში გარეთ არიან, აქ წვიმა ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც უნდა შეეგუო. ვუსმენ ხმებს, თვალებს ვხუჭავ და ჩემს ბავშვობაში ვიკარგები...

ფანჯრიდან დანახული ბავშვობა

...მე საქართველოში დავიბადე და ამას ყველგან ამაყად ვიტყვი. თუმცა ბავშვობის გახსენება ყოველთვის ტკივილს მაყენებს, რადგან ის დაემთხვა საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდს, რაც აფხაზეთის ომით იყო გამოწვეული. ტრაგიკული მოვლენები, შიშველი იარები და მერე მათი მოშუშების უმძიმესი დღეები... ჩვენთვის, ბავშვებისთვის კი არავის ეცალა და ჩვენც ეზოში სათამაშო მანქანებისა და ფერად-ფერადი სათამაშოების ნაცვლად, ომისდროინდელი ცარიელი ვაზნებითა და კონდახის ტარებით ვთამაშობდით.

... თვალებს ვახელ, ჩემ წინ ისევ სველი მინაა, რომელსაც წვიმა წურწურით ჩამოსდის, ვერ ვხვდები ამ ყველაფერზე ახლა რატომ ვფიქრობ და პასუხისთვის ისევ თვალებს ვხუჭავ...

...ომისდროინდელი ვაზნებით თამაში მალევე დასრულდა და საქართველოს ისტორიაში ყველაზე მძიმე პოლიტიკური კრიზისი დაცხრა. ისევე, როგორც უმეტესი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალ თაობას, ასევე ჩვენც სკოლაში შთაგვაგონებდნენ კაპიტალისტური ინდივიდუალიზმის უპირატესობას, რომლის თანახმადაც უნდა დაგვევიწყებინა ერთობის, გუნდურობის, სხვაზე ზრუნვისა და თანადგომის განცდა.

...თვალებს სწრაფად ვახელ და თითქოს ახლაღა ვხვდები, რომ მაშინ კარგად ვერ ვაცნობიერებდი ვერც კაპიტალიზმს და ვერც ინდივიდუალიზმს; არ მესმოდა, რას ნიშნავდა გუნდურობა, ერთობა თუ კონკურენტუნარიანი გარემო. ერთი ეპიზოდი მახსენდება, როცა ჩემს სკოლაში აფხაზეთის ომში მამებდაღუპული მოსწავლეებისთვის ჰუმანიტარული დახმარება - ფერადი ფანქრები, სახატავი ქაღალდები და სხვ. - დაარიგეს, ერთ-ერთმა ჩემმა თანაკლასელმა გულუბრყვილოდ დაიჩივლა, მამაჩემი მაინც და მაინც ომში უნდა მომკვდარიყო, რომ ეს ყველაფერი ჩემთვისაც მოეცათო?! ამის გამგონემ კი ცრემლები ვერ შევიკავე და ავტირდი.

სკოლის პერიოდი ორსეზონიან ფილმს მაგონებს: აი პირველ სეზონში ნაკლებად მდიდრულად რომ აცვიათ მსახიობებს და ფილმის ბიუჯეტის სიმცირეს აშკარად რომ გრძნობ, ხოლო მეორეში ამჩნევ, რომ მსახიობები უფრო სოლიდურად გამოიყურებიან, უფრო ძვირფასი მანქანებიც ჰყავთ და და ა. შ.... ანუ გრჩება განცდა, რომ რეჟისორს პირველმა სეზონმა წარმატება მოუტანა და ბიუჯეტიც ბევრად გაეზარდა.

ეს განცდა ექნება ალბათ ყველა იმ მოზარდს, ვინც 2000-იან წლებში მივიდა სკოლაში. კარგად მახსოვს, პირველი ხუთი კლასი შეშის ღუმელთან ვთბებოდით. ბევრჯერ შეშაც წაგვიღია სახლიდან, ,,ფონდის ფულს" ვაგროვებდით და კიდევ რა ვიცი, რა აღარ... შემდეგ ჩვენთან ერთად თანდათან სკოლაც შეიცვალა, გარემონტდა, გალამაზდა და გათბობის საკითხიც მოგვარდა, ,,მაგრა, ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვინმეს განა?!" როცა გვეგონა, რომ ,,ცარიელ ვაზნებსა" და ტყვიების ქარ-ცეცხლს ვერასდროს ვნახავდით ჩვენს ქვეყანაში, სწორედ მაშინ დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი და განსხვავებით აფხაზეთის ომისგან, ახლა უკვე ,,სავსე ვაზნებიც" და ომის მონაწილეებიც საკუთარი თვალით ვნახეთ. საქართველოს ამ მოკლე პერიოდში მომხდარი ორი ომის ჭრილობების მოსაშუშებლად ზუსტად იმდენი დრო დასჭირდა, რამდენიც მე დაბადებიდან ყმაწვილობაში შესვლამდე. ამიტომაც მიმაჩნია, რომ მე და ჩემი თაობის მოზარდებმა, ვინც შეძლებული ოჯახის შვილები არ ვიყავით, ბავშვობა გამოვტოვეთ. ჩვენ ვართ ის დაჩაგრული თაობა, რომელმაც ბავშვობაში ვერ გაიხარა და რომელსაც ბავშვური უდარდელი ემოციები დააკლდა...

დაუჯერებელი ამბავი, ანუ ახდენილი ოცნება

წვიმამ შედარებით გადაიღო, ბავშვების ყიჟინაც შეწყდა... ალბათ ყველამ თავის სახლს მიაშურა. მე კი დავდივარ ცარიელ ოთახში და ვცდილობ მეცადინეობას შევუდგე. ვჯდები მაგიდასთან და... ნაცვლად იმისა, სემინარისთვის მოვემზადო, წერას ვიწყებ...

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ნახსენებ ინდივიდუალიზმს ბოლომდე არ ვიზიარებ, მოხდა ისე, რომ სკოლის დასრულების შემდეგ ცხოვრება დამოუკიდებლად უნდა გამეგრძელებინა. ვოცნებობდი, მესწავლა ისეთ ქვეყანაში, სადაც მხოლოდ შეძლებული ოჯახების შვილები სწავლობდნენ დიდი თანხის საფასურად. მე კი მინდოდა იქ უფასოდ, ჩემი მონდომებისა და შესაძლებლობების წყალობით მესწავლა. თანდათან მომავლის დაგეგმვის ძალა და საკუთარი თავის რწმენა გამიჩნდა. სწორედ ამ დროს მივხვდი, რომ დამოუკიდებელი და თავისუფალი ვიყავი.

ეს კი არ მოხდებოდა, რომ არა ჩემი ოჯახი. 12 წლის ვიყავი, როდესაც მე, ჩემი ძმა და მამა იმ რეალობის წინაშე აღმოვჩნდით, რომ დედა სხვა ქვეყანაში სამუშაოდ წავიდა. ...და დაიწყო უდედო დღეები და დაუსრულებელი ოცნება დედის ხელახლა ხილვისა. სწორედ ამ პერიოდში დავიწყე ლექსების წერაც, რაც დარდისა და ნაღვველის განელებაში დამეხმარა. რაც უფრო ვშორდებოდი ბავშვობას, მით უფრო ვაცნობიერებდი, რომ ,,ზურგის ქარი" ყოველთვის არ უბერავდა და საკუთარ თავზე გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა ამეღო, პრიორიტეტები უნდა განმესაზღვრა და ჩემი თავი, სადღაც შორს, მომავალში დამენახა.

შემდეგ სულ ვირჩევდი გზებს, რომლებსაც ჩემს მიზნებთან მივყავდი და ეს გზები არ იყო მარტივად გასავლელი. განათლების მიღება იმ გზათაგან ერთ-ერთი უმთავრესი იყო. ამ ყველაფრისთვის განსაკუთრებულად მადლიერი ვარ ჩემი მშობლების: დედისა, რომელიც უკვე მეთორმეტე წელია ემიგრანტია და სიშორის მიუხედავად, ყოველთვის ჩემს გვერდითაა და როცა ვეცემი, ფეხზე მაყენებს. რა თქმა უნდა, მადლიერი ვარ მამისა, ვინც მე და ჩემი ძმა, უდედოდ გაგვზარდა და თავისი ქცევებით გვასწავლა, როგორ უნდა გვიყვარდეს.

ვწერ და თითქოს ხელი ვერ ასწრებს იმ აზრების ფურცელზე დროულად გადატანას, რომლებიც კალმის წვერზე ანგელოზებივით ცეკვავენ. ასეთი განცდა ბოლოს მაშინ მქონდა, როცა ლექსებს ვწერდი... ვაკვირდებდი ჩემს ბრიტანულ ცხოვრებას და ვცდილობ პარალელი გავავლო ჩემს იტალიურ გამოცდილებასთან, როცა საერთაშორისო ორგანიზაცია ,,აისეკის" გაცვლითი პროგრამით 2017 წელს 6 კვირის განმავლობაში იტალიაში ვიყავი. დროის ამ მონაკვეთში მქონდა შესაძლებლობა, რომ ერთ-ერთ სკოლაში IX, X, XI და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან ჩამეტარებინა სემინარები კულტურის, განათლებისა და ევროპის კავშირის შესახებ. ეს იყო დღეები, რომელმაც პირველი საერთაშორისო გამოცდილება შემძინა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ამავე ორგანიზაციის ერთ-ერთ ადგილობრივ კომიტეტში ერთი წელი მოხალისედ ვიმუშავე, როგორც ადამიანური რესურსების ვიცეპრეზიდენტმა. ერთი წლის განმავლობაში მქონდა შესაძლებლობა, ურთიერთობა დამემყარებინა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მცხოვრებ თანატოლებთან, რამაც უფრო მეტად გამიფართოვა თვალსაწიერი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართ. სწორედ ამის შემდეგ გადავწყვიტე, სწავლა ამ მიმართულებით გამეგრძელებინა.

2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში, როგორც ერთ-ერთმა წარჩინებულმა სტუდენტმა სახელმწიფო სტაჟირება გავიარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, სადაც მერე თითქმის ორი წელი, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტმა, ვიმუშავე ისეთ უფროსთან, ვისაც ჩემი უფრო მეტად სჯეროდა, ვიდრე მე საკუთარი თავის. 2019 წელს ჩავაბარე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრანტი გავხდი. ამ დროს კიდევ უფრო იმძლავრეს ოცნებებმა, რომელთა ნაწილის ახდენა უკვე შევძელი და ერასმუსის პროგრამით მოვხვდი გლაზგოს უნივერსიტეტში (შოტლანდია, დიდი ბრიტანეთი), რაც სრულ დაფინანსებას ითვალისწინებდა და ჩამოვედი კიდეც დიდ ბრიტანეთში.

ედინბურგსა და გლაზგოში

შოტლანდიაში ჩამოსვლას მთელი რიგი გამოწვევები ახლდა თან. ჯერ იყო და კორონავირუსის გამო სამგზავრო ბილეთების ფასი საგრძნობლად გაიზარდა, მერე ის, რომ საჭირო უამრავი დოკუმენტის მოწესრიგებასა და შევსებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა. პირდაპირი რეისის არარსებობის გამო ამსტერდამის აეროპორტში ჩავედი. იქ ბარგმა დაიგვიანა და თითქმის 28 საათი აეროპორტში დავყავი. თუმცა საბოლოოდ მაინც ჩამოვაღწიე გლაზგომდე.

დიდი ბრიტანეთის მიწაზე პირველად ფეხი ედინბურგში დავდგი. აეროპორტიდანვე ვიგრძენი ამ საოცარი ქალაქის არომატი და მქონდა ისეთი განცდა, თითქოს ქალაქმა საკუთარი შვილივით მიმიღო. აეროპორტიდან ავტობუსის ცენტრალურ სადგურამდე იმ მომრგვალებული შავი ტაქსით ვიმგზავრე, აქამდე, მხოლოდ ფილმებში, რომ მენახა. გზაში დაახლოებით 20 წუთი დაგვჭირდა და ამ ხნის განმავლობაში ავტომობილის მინიდან თვალი შევავლე ქალაქს. ვუცქერდი სახლებს, შენობებს, ბაღებს, ხალხს და ვრწმუნდებოდი, რომ უნდა მეცხოვრა აბსოლუტურად განსხვავებულ გარემოსა და სივრცეში. მოყვითალო, სიძველისა და ნესტისგან დალაქავებულ შენობებს აშკარად ეტყობოდა თანამედროვეობის კვალი. საცხოვრებელი ბინების აივნები იმდენად პატარა იყო, ვირწმუნე, არც აქ უყვართ ,,გუნდურობა"-მეთქი. ასე რომ, წინ დიდი გამოწვევები მელოდა...

გლაზგოში გვიან ღამით ჩამოვედი. პანდემიის გამო, ქალაქი ისეთივე დაცლილი და უფერული დამხვდა, როგორადაც მსოფლიოს უმეტესი ქალაქები გამოიყურებიან. კორონავირუსმა მსოფლიო შეცვალა და ჩვენც ამ შეცვლილ მსოფლიოს ვეგუებით. 14-დღიანი თვითიზოლაციის შემდეგ პირველად გავედი ქალაქში. ე. წ. ,,კულტურული შოკი" არ მიმიღია, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ქალაქი ზედმიწევნით ასახავს უძველესი კულტურისა და თანამედროვე ცხოვრების დეტალების ნაზავს. შენობებზე აშკარად ჩანს კავშირი ხელოვნებასა და თანამედროვე საზოგადოებას შორის. ამასთანავე, ჩემი აღტაცება გამოიწვია გოთიკურმა არქიტექტურამ, რამაც შეუძლებელია, გულგრილი დაგტოვოს.

როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობაში, ოკეანესთან სიახლოვის გამო, უფრო ხშირად წვიმს და ზამთრის ცივი ამინდებიც ადრეულად დგება, ვიდრე საქართველოში. თუმცა ამის მიუხედავად თუ გაგიმართლა და მზის ჩასვლას დარი დაემთხვა, მაშინ ეს პეიზაჟი აუცილებლად გაგაოცებს. რამდენიმე დღის წინ, ნეკროპოლზე ყოფნისას შევესწარი მზის ჩასვლას, რამაც ერთი-ორად რომანტიულ განწყობაზე დამაყენა. თუნუქისა და კრამიტის მოგრძო სახურავები ულამაზესად ირეკლავდა მზის სხივებს, ამას ემატებოდა გლაზგოს საკათედრო ტაძრის მწვანე სახურავის ანარეკლი, რაც ნამდვილად შთამბეჭდავ სანახაობას ქმნიდა. ცაც ისე უსასრულოდ ვრცელი და ფერადოვანი იყო, რომ უთუოდ გაგახსენებდა გალაკტიონის სიტყვებს: ,,შეხედე რა ცაა, ესაა, რაცაა!"

სასწავლო პროცესი გლაზგოს უნივერსიტეტში

დიდ ბრიტანეთში ჩამოსვლამდე ვიცოდი, რომ სწავლა მხოლოდ ვირტუალურად იქნებოდა შესაძლებელი და ასეც არის. ლექციებიც და სემინარებიც ონლაინ გვიტარდება. მიუხედავად ამისა,

გვ. 10

აქ ვერ დაიჩივლებ!

რადგან დაჩივლების დროც არ არის...

მე-9 გვერდიდან

მაინც კმაყოფილი ვარ, რადგანაც კომუნიკაცია მაქვს საერთაშორისო სტუდენტებთან და პროფესორებთან, რაც ვფიქრობ, უთუოდ მნიშვნელოვანია ჩემი განვითარებისთვის.

გლაზგოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს, რომ სტუდენტებს არაფერი დაგვაკლდეს, იქნება ეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ურთიერთობა თუ სხვა საჭირო რამ. მიუხედავად ონლაინსწავლებისა, სტუდენტებს შესაძლებლობა გვაქვს, ვისარგებლოთ უნივერსიტეტის ისტორიული ბიბლიოთეკით, რომელიც მე-18 საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ბიბლიოთეკად არის აღიარებული. ბიბლიოთეკაში სასწავლო პროცესის წარმატებულად გავლისთვის საჭირო ყველა პირობაა შექმნილი და მეც თითქმის მთელ დღეს აქ ვატარებ.

გარდა ამისა, ამირჩიეს გლაზგოს უნივერსიტეტის გლობალური შესაძლებლობების ელჩად. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩართული ვარ გლაზგოს უნივერსიტეტის სოციალური მედიის არხების მართვასა და მათი კონტენტის შექმნაში, რაც განკუთვნილია საერთაშორისო სტუდენტებისთვის, რომლებიც ახლა აქ არიან ან ჩამოსვლას აპირებენ. თუ არ ვცდები, პირველი ქართველი სტუდენტი ვარ, ვინც აქ ამ პოზიციაზეა. ვიმედოვნებ, რომ ეს სამომავლოდ სხვა ქართველი სტუდენტებისთვის გაკვალული გზა იქნება. ამასთანავე ვცდილობ, აქტიური კომუნიკაცია დავამყარო სტუდენტებთან, წარმოვაჩინო მშობლიური უნივერსიტეტი და მისი პოპულარიზაცია გავწიო.

გლაზგოს უნივერსიტეტი დიდი ტრადიციების ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტია, რომელიც ბევრი რამით დაგამახსოვრებს თავს. ერთხელ გლაზგოს უნივერსიტეტის მუზეუმს (Hunterian Museum) ვესტუმრე და იქ აღმოვაჩინე, რომ გლაზგოს უნივერსიტეტის დაარსებიდან (1451) XIX საუკუნის შუა ხანებამდე ყველა სტუდენტი ზეპირ გამოცდას აბარებდა. ისინი სხდებოდნენ ,,შავი ქვის სკამზე", რომლის ზედა ნაწილზეც მოთავსებული იყო ქვის საათი. გამოცდის დაწყებისთანავე აკადემიური საბჭოდან მოწვეული პირი ქვიშის საათს გადაატრიალებდა და ვიდრე ქვიშა მთლიანად ჩამოიცლებოდა, სტუდენტს შეკითხვისთვის უნდა ეპასუხა. დროის გასვლის შემდეგ, ზედამხედველი დაიძახებდა - ,,დრო ამოიწურა, შემდეგი სერ!" (Fluxit, ad alium, Domine!). ,,შავი ქვის სკამი" დღესაც გამოიყენება „Cowan"-ის მედლის მოსაპოვებლად, რაც კლასიკური და საპატიო კურსდამთავრებულთათვისაა განკუთვნილი.

მეგობრები ხშირად მეკითხებიან, რამდენად განსხვავდება გლაზგოს უნივერსიტეტი საქართველოს უნივერსიტეტების სასწავლო პროცესისგან. ვიტყოდი, რომ ,,ახალ ველოსიპედს" არსად იგონებენ, თუმცა გამოვყოფდი რამდენიმე ნიშანს, რის გაზიარებასაც ვისურვებდი საქართველოში.

სტუდენტების სეგმენტი - საქართველოსგან განსხვავებით, აქ სტუდენტების უმრავლესობამ იცის, რატომ აბარებს უნივერსიტეტში. გააზრებული აქვს, რომ მხოლოდ დიპლომით და ფულით ვერ იყიდის წარმატებას. ამდენად, უნდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის ერთ სიამოვნებად ღირს ასეთ სტუდენტებთან დისკუსია და მსჯელობა ნებისმიერ საკითხზე, რაც უფრო მეტად ამაღლებს მოტივაციას.

პროფესორთა დამოკიდებულება - მქონდა შესაძლებლობა, რომ ყველა თაობის პროფესორთან მქონოდა ურთიერთობა. ასაკობრივი განსხვავებისა და რანგის მიუხედავად, თითოეული მათგანი გვაძლევდა იმის საშუალებას, რომ ბრმად არ მივნდობოდით არც საკუთრივ მათ და არც სასწავლო მასალებს. პირიქით, დისკუსიის, მსჯელობისა და ძიების გზით, ჩვენ შეგვეძლო ნებისმიერი აზრისა თუ იდეის გამოთქმა და მისი ფაქტებით დამტკიცება.

შეფასების სისტემა - ეს არის ის, რამაც ყველაზე მეტად გამაოცა. დავიწყოთ იმით, რომ თითოეულ საგანში, ერთ წიგნს ერთ კვირაში ვამუშავებდით და ნამდვილად ზღვა მასალას ვეცნობოდით (თვალები ახლაც მტკივა). აქ სტუდენტი ფასდება არა იმ ცოდნის შემოწმებით, რასაც წაიკითხავს, არამედ პრაქტიკული დავალების საფუძველზე, ანუ კურსის ბოლოს მომზადებული პრაქტიკული დოკუმენტით, რომელიც შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელებას გულისხმობს. კიდევ უფრო გაოცებული დავრჩი, როდესაც ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტზე პროფესორისგან ორი დოკუმენტი მივიღე. პირველი მოიცავდა ორ გვერდს, სადაც დეტალურად იყო ჩამოწერილი ჩემ მიერ მომზადებული ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეები; მეორე კი წარმოადგენდა ჩემი ნაშრომის ასლს, რომლის თითოეულ გვერდზე ლექტორს თავისი კომენტარები დაერთო.

ახლა ფინალური გამოცდების პერიოდია, რამდენიმე კვირაა ნორმალურად არ მიძინია. ვცდილობ, ბრიტანული განათლება გააზრებულად მივიღო. იმდენად შრომატევადია ეს ყველაფერი, რომ ასე მგონია, ყველა ის გამოცდა, რაც ბაკალავრიიდან მოყოლებული დღემდე მქონია, ერთად მაქვს ჩასაბარებელი. თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს, კიდევ კარგი კარანტინია და დიდად არ მწყდება გული, გარეთ გასვლას რომ ვერ ვახერხებ. ცოტაც და გამოცდები დასრულდება და ღრმად ამოვისუნთქავ. მანამდე კი აქ ვერ დაიჩივლებ, რადგან დაჩივლების დროც არ არის.

ქართველები გლაზგოში და „შეხვედრა აფხაზეთთან"

ბევრჯერ მითქვამს, რომ სამშობლო შეუცვლელია. თუმცა ამ სიტყვებში ყველაზე მეტად მაშინ ვრწმუნდები ხოლმე, როცა ნოსტალგია შემომიტევს. გლაზგოში იმდენად განსხვავებულია ყველაფერი, რომ შეუძლებელია რამემ საქართველო მოგაგონოს. თუმცა, გავიცანი ქართველები, რომლებიც წლებია აქ ცხოვრობენ და მათთან ჩვენებური ხინკალიც კი მივირთვი. გარდა ამისა, გლაზგოს უნივერსიტეტში ქართველი სტუდენტებიც სწავლობენ, რომელთაგან გამოვარჩევდი მარიამ გოგუას.

მე და მარიამი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ-ერთ საგანს ერთად გავდიოდით და ჩვენი ნაცნობობაც აქედან დაიწყო. როცა გლაზგოში ჩამოვედი, მარიამმა მომწერა, რომ ისიც აპირებდა ჩამოსვლას, ოღონდ სრული სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტში სწავლას გულისხმობს.

პანდემიის გამო, მარიამი ჩამოსვლისგან თავს იკავებდა, რადგანაც ონლაინსწავლება იძლეოდა იმის საშუალებას, რომ საქართველოდან გაეგრძელებინა სწავლა. მე მას ავუხსენი, რომ აქ ყოფნას სულ სხვა ხიბლი აქვს და ჩამოსვლა სჯობდა. მარიამი ასეც მოიქცა. რამდენიმე კვირაში ერთმანეთს შევხვდით და აღმოვაჩინე, რომ მარიამი აფხაზეთიდან დევნილია და უფრო მეტად გამიხარდა, რომ მან ასეთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

მართალია, მარიამის სამაგისტრო პროგრამა სამხრეთ ევროპის კვლევებს ითვალისწინებს, მაგრამ მას დიდი სურვილი აქვს, რომ სამომავლოდ სწორედ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცეს. მარიამს უნდა, თავისი წვილი შეიტანოს ამ კონფლიქტის მოგვარებაში. იგი მართალია, აფხაზეთში არ დაბადებულა და იქ ნამყოფიც არ არის, მაგრამ იქ ჩასვლასა და მშობლიური მხარის მონახულებაზე ოცნებობს, რადგანაც მისი ოჯახის წევრები ყოველდღე აფხაზეთს ახსენებენ და მის ღირშესანიშნაობებზე საუბრობენ. მარიამის მამა აფხაზეთში, კერძოდ დრანდაში ცხოვრობდა, საიდანაც ომის პერიოდში იძულებით წამოვიდა, ხოლო დედა - ენგურისპირა სოფელ ხურჩაში დაიბადა. ბევრი ჩვენი თანატოლისგან განსხვავებით, რომელიც მშობლებისგან მემკვიდრეობით მიღებულ დევნილობის სტატუსს არ აღიარებს და მიაჩნია, რომ ამ რეალობას მისთვის მხოლოდ სტრესი მოაქვს, მარიამს სჯერა, რომ ყოველივე ეს მისი იდენტობის ნაწილია და ამაზე უარს არასოდეს იტყვის. მას გული წყდება, რომ თბილისში დაიბადა და არა აფხაზეთში. მისმა ამგვარმა პოზიციამ კიდევ უფრო მეტად დამაფიქრა და დადებითად განმაწყო მის მიმართ.

მარიამმა საუბრისას აგრეთვე ახსენა, თუ როგორი დიდი შრომისა და წვალების შედეგად შეძლო მიზნის მიღწევა. საუბრის ბოლოს მე და მარიამი შევთანხმდით, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩვენს ცოდნასა და გამოცდილება სხვებსაც გავუზიარებთ. თუმცა მანამდე მან, თავისი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სწავლა, გლაზგოს უნივერსიტეტის შემდეგ, ერთი სემესტრი მადრიდის ავტონომიურ უნივერსიტეტში უნდა გააგრძელოს და ბოლოს დაასრულოს რომის უნივერისტეტში, სადაც ხარისხს დაიცავს.

მე და მარიამი - ორივენი ვფიქრობთ, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ აქ თუ სხვაგან შეძენილი ცოდნითა და გამოცდილებით ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის შენების პროცესში ჩავებათ.

„ხმოვან საზღვრებად" ძველი მავთულხლართები

რომელიც გაუჩინარებული სოფლების სახელებს და კოორდინატებს გადასცემს

მე-8 გვერდიდან

ევროკომისიის ერთობლივი პროექტია და ყოველწლიურად გადაეცემა ნამუშევრებს, რომლებიც ხელოვნების და მეცნიერების ნაზავს წარმოადგენს. მოხარული ვარ, რომ სადიპლომო პროექტის ამ გამოფენაზე წარდგენის საშუალება მომეცა. ყოველთვის საინტერესოა ახალი აუდიტორიისთვის პროექტის ჩვენება. მიხარია, რომ მნახველს ესმის პროექტის არსი და ჩემი გადაწყვეტილებები მათთვის გასაგებია. ეს მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროექტი ეხება მოვლენებს, რომელიც აუდიტორიის უმრავლესობისთვის ძალიან შორეული და უცხოა. ყოველი ასეთი გამოცდილება მეხმარება ჩემს ნამუშევრებში ვილაპარაკო უნივერსალური და არა რომელიმე ერთი ჯგუფისთვის გასაგები ენით.

- თქვენ ახლახან ეინდჰოვენიდან ამსტერდამში გადახვედით საცხოვრებლად. რას უკავშირდება ეს სიახლე?

- ეინდჰოვენის აკადემიის დამთავრების მერე დაგეგმილი მქონდა ჰოლანდიის ჩრდილოეთით, ამსტერდამში ან როტერდამში გადმოსვლა. როგორც კი ყველაფერი დავამთავრე, რაც ეინდჰოვენში მქონდა დარჩენილი, წამოვედი. აქ უფრო აქტიურად ვგრძნობ თავს და მეტი კონტაქტი მაქვს მიმდინარე მოვლენებთან. სწავლის გაგრძელებაც მინდა და ამსტერდამში ყოფნა ამისთვისაც გადავწყვიტე.

ამასთანავე წლის დასაწყისში ჩემი სტუდია დავარეგისტრირე და დამოუკიდებლად მუშაობა დავიწყე. ამას ჰოლანდიის კულტურის განვითარების ფონდისგან გრანტი მოყვა და ახლა საშუალება მაქვს მთელი წელი საკუთარ პროექტებზე ვიმუშაო. ეს ჩემი სტუდიის პირველი ნაბიჯებია და, რა თქმა უნდა, ბევრი სირთულე და გამოწვევაც ახლავს, მაგრამ დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობა ყველაფერს გადაწონის. რაც უფრო წინ მივდივარ, მეტს ვიგებ იმაზე, რა არის ჩემი პრაქტიკის არსი. პროცესში სულ რაღაცას ვსწავლობ და რადგან ასეა, მგონია, რომ სწორ გზაზე ვდგავარ.

- თქვენი სამომავლო გეგმები რამდენად უკავშირდება საქართველოს? საერთოდაც, საით გაგიწევიათი, ირაკლი? ფიქრობთ, რომ გზა, რომელსაც ადგახართ, ოდესმე აფხაზეთშიც ჩაგიყვანთ?

- საქართველოსთან სულ მაქვს კავშირი, მაგრამ იშვიათად ვახერხებ ჩამოსვლას. მინდა თანდათან მეტი პროექტი და კოლაბორაცა დავაკავშირო საქართველოსთან, ეს მომცემს საშუალებას, უფრო ხშირად დავბრუნდე და თან ვიმუშაო.

აფხაზეთი ჩემს მეხსიერებაში ალბათ ძალიან განსხვავდება იმისგან, როგორც ის იმდროინდელ ზრდასრულ ადამიანებს ახსოვთ.

რაც საერთო გვაქვს, მგონი არის შეგრძნება, რომ ამ ისტორიამ ჩვენი ცხოვრება ნაწილებად დაყო. ჩემი ცხოვრების პირველი თავიც სოხუმით იწყება და იქ გაგონილი პირველი გასროლებით მთავრდება. კარგ ნაწარმოებში დასაწყისი და დასასრული ხშირად წრეს კრავს. იმედია, ჩემს ცხოვრებაშიც ასე მოხდება... ოღონდ ამჯერად გასროლების გარეშე.

მაუწყები

თერბე თევის მვიდს ძმის სიყვარულს ვერ დეევიწყებს

- მერამდენე ახალი წელი მოდის და ვინ იცის, კიდევ რამდენი მოვა უშვილოდ და უაფხაზეთოდ? - ჩაილაპარაკა ბუხრის პირას მჯდარმა ილო ბაბუამ.

მამა ცეცხლს ჩააშტერდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ვიფიქრე, ახალი წლის ღამეს რა დროს ამაზე ლაპარაკია- მეთქი, მაგრამ მერე საკუთარი თავის შემრცხვა – შენ ახალი წელი გიხარია, დარდსაც გადაავადებ იმის გამო, რომ მხიარული შეხვდე მომავალს, მაგრამ ისეთი დარდებიც ხომ არსებობენ, დროს რომ არ ემორჩილებიან – არიან და არიან ახალ წელსაც, ძველსაც, აღდგომასაც, დილასაც და შუაღამესაც, ილო ბაბუას დარდიც ასეთი იყო – მუდმივი, ჩაუნავლებელი...

14

უფლების ბოგინავა: ყველაზე უცხოდ ვგრძნობ თავს, ბერდე აფხაზეთისა

,,ჩემი ბავშვობა და სიჭაბუკე დაკავშირებულია აფხაზეთთან, რომელიც ზღვისპირეთში განსაკუთებულია თავისი ბუნებით, კლიმატით და ადამიანებთან ურთიერთობებით. მთელი სოფელი ერთი ოჯახივით ვცხოვრობდით, უბნის ბავშვები დედმამიშვილებივით ვიზრდებოდით და ეს სიყვარული დღემდე მოგვყვება.“

13

როსე ფერმატეგის რეალური საიდუმლო ენთუზიაზმია

წარმატება სუბიექტური ცნებაა. თითოეული ადამიანისთვის სრულყოფისა და განვითარების განსხვავებული დეფინიცია არსებობს. არიან ისეთები, ვისთვისაც ცხოვრების გზებზე აღმართული დაბრკოლებები არა უკან დახევის, არამედ მოტივაციის საფუძველი ხდება. უოლტერ კრაისლერმა თქვა, ,,წარმატების რეალური საიდუმლო ენთუზიაზმია“. მათთვის, ვისთვისაც მისწრაფებები და მიზნები არსებობს, წარმატების გასაღებიც ხელთ აქვთ, თუმცა მთავარია, რამდენად გაუმართლებთ – მოარგებენ თუ არა სწორ გასაღებს კლიტეს.

12

მაჭირხოლები ოღებზედეებს [ღე]უბრუნდებიან!

ზღვის სუნი ძალიან ახლოს და, ამავდროულად, ძალიან შორს...

უზარმაზარი პალმები და ბევრი, ძალიან ბევრი ადამიანი...

მამები შვილებთან და ცა – ფერადი ფრანებით აქრელებული...

ეს სურვილებია – მირაჟიდან გადმოტანილი და ათასჯერ დახატული, რეალურად კი, გაახელ თვალს და წარმოსახვითი სამყაროდან ბრუნდები იქ, სადაც დასტებად აწყვია სხვათა მოგონებები – გაცრეცილი ფოტოები, გაყვითლებული ფურცლები, ხსოვნაში ჩაბეჭდილი სახეები...

ამ ისტორიებში მრავლადაა ქუჩები, რომელიც არ გეცნობა, სანატორიუმები, რომლებშიც არასდროს დაგისვენია, აივნები, რომელთა რიკულებს არასოდეს დაყრდნობიხარ... სამაგიეროდ, გეცნობა ზღვა – მშვიდი, ლიცლიცა, ფირუზისფერი ცის ანარეკლით... ის ზღვა, რომელიც აქ, შენთან იწყება და იქ – სოხუმში მთავრდება – ერთი ცით, ერთი ფერით, ერთი სანაპიროთი და... შუქურით – ცისკიდიდან შემობღავლებული გემების იმედით, რომელიც საუკუნენახევარია დგას და ოცდაათკილომეტრიან ზღვის ბილიკს ხატავს.

ახლა ამ შუქურამ „ჩემი აფხაზეთის” და ჩვენი სტუდენტური ჩანართის გვერდზეც დაიდო ბინა, როგორც შინისკენ დაბრუნების სიმბოლომ, გზის მანათობელმა და გამკვალავმა...

ამ შუქურისკენ მოიჩქარიან გაზაფხულზე მერცხლებიც – ჩვენი მაჭირხოლები, ბუდესდაბრუნებული მახარობლები, ამ შუქურამ უნდა გაუნათოს გზა ოჯახებს, რომელთა ერდოებზე ჯერ სიცივე ბუდობს. ჯერ არ დამთბარა, ჯერ არ გაუზაფხულებიათ სახლებს, თუმცა ღირს ლოდინად – ლეგენდების მიხედვით, მერცხალი ბუდეს მხოლოდ იმ სახლთან იშენებს, სადაც ოჯახია, თავის ბუდეს კი ყოველთვის უბრუნდება.

ჰოდა, მოვა ერთ დღესაც გაზაფხული... აინთება შუქურა, ათასეული კილომეტრის აქეთ მოუძახებს ერდოგაციებული სახლების პატრონებს და ერთად დაათბობენ სახლების კედლებს, ერთად გაათენებენ დილას, აივსება ფაცხები სიხარულით, იდენს გაბუტული ძმების თვალთაგან ცრემლი და მაჭირხოლებიც დაუბრუნდებიან ოდაბადეებს!

მანამდე კი, ეს სიყვარულით გამთბარი სტრიქონები მათ, ვისაც აფხაზური ოცნებებით შემოსილი ფიქრები ათოვს!

ლიანა მარქარიანი

როცა ფარმატების რეპეტიტორი საიდუმლო ეთნუჯიეზმია

ჩატეხილი ხიდის აღდგენისათვის

<<< მე11 გვერდიდან

თამარ ჟვანიამ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრის მეოთხე კურსის სტუდენტმა გალის რაიონიდან, უკვე შეძლო სერიოზული ნაბიჯების გადადგმა რეალიზებისა და სამურზაყანოელების უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის პროცესში. თამარის 89 წლის ბაბუა დღემდე არ ტოვებს მათ საცხოვრებელ სახლს. სწორედ ამიტომ, ეროვნული ნიშნით ჩაგვრამ, კორუფციამ, განათლების, გამოხატვისა და გადაადგილების შეზღუდვამ მისი მომავალი პროფესია მკვეთრად განსაზღვრა – „მდგომარეობის სიმძაფრე და საკუთარი თვალით ნანახი უსამართლობა გახდა მიზეზი იმისა, რომ გავმხდარიყავი სამართალმცოდნე, რომელიც იბრძოლებდა კორუფციის, ნეპოტიზმის, კლანიზმისა თუ ნებისმიერი უსამართლობის წინააღმდეგ“ – გვეუბნება თამარი.

დანაპირებისთვის ნამდვილად არ უღალატია. ჯერ კიდევ სკოლაში ცდილობდა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებად ჩამოყალიბებას - სკოლა ოქროს მედალზე დაასრულა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა 70%-იანი დაფინანსებით. შემდგომ იყო კერძო რეპეტიტორობა, ადგილობრივი ჟურნალის, „სარკმელის“, რედაქტორობა, ინოვაციებისა და განვითარების ცენტრის პროექტის ლიდერობა, ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაზე დაუღალავი მუშაობა.

პრეზიდენტის ხუთგზის სტიპენდიანტი ზუგდიდში, ქალაქსა თუ სოფლად, აქტიურ ტრენინგებს ატარებდა ევროპისა და ნატოს შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, ევროატლანტიკური კოალიციის რეგიონალური ხელმძღანელის სტატუსით.

თამარი კორუფციას მთელი გამალებით ებრძვის. გასულ წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) სტიპენდიატიც გახდა, რომლის ფარგლებშიც კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკაციო კურსი გაიარა, მოამზადა მრავალი ანალიტიკური დოკუმენტი თუ საჭირო კვლევა. მისი მიზანდასახულობა ქვეყნის საზღვრებს გასცდა, დაგროვებული ცოდნით კი უწყვეტი განვითარება ისევ და ისევ ოკუპირებული გალისათვის დაიწყო, რომელიც მისთვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს: „იულიუს მაქსიმილიანის უნივერსიტეტის დეკანის ეკჰარტ პახეს მიწვევით, ევროპული სამართლის სტუდენტურ საზაფხულო სკოლაზე გახლდით, სადაც ისევ და ისევ ჩემი ქალაქის მერიის დაფინანსებით გავემგზავრე, როგორც ერთ-ერთი წარმატებული სტუდენტი. ამის შემდგომ იყო კიდევ ძალიან ბევრი პროექტი, ბოლოს კი ზაფხულში Konrad-Adenauer-Stiftung-ის ორგანიზებით, მონაწილეობა მივიღე პოლიტიკური განათლების აკადემიაში, რომლისთვისაც 30-მდე საუკეთესო სტუდენტი შეირჩა რამდენიმე უნივერსიტეტიდან“,– გიამბო მან.

როგორც თავად ამბობს, აფხაზეთში მცხოვრებ ახალგაზრდებს მხოლოდ ორი ალტერნატივა აქვთ - რუსეთი ან საქართველო. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მათთვის ლინგვისტურ ბარიერს ქმნის, მრავალია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაც, ამიტომაც თამარი შეეცადა, საკუთარი წვლილი შეეტანა ღირსეული პირობების შექმნისა და შესაბამისი განათლების მიღებაში და სიტყვა საქმედ აქცია – მან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, რუსლან აბაშიძის ინიციატივას დაუჭირა მხარი, და რამდენიმე წარმატებული დევნილი სტუდენტის დახმარებით, შექმნა ქსელი, სადაც აქტიურად იბრძვის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ სამოქალაქო თუ იუსტიციის აპარატებში, სადაც საქმე ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება, თამარის სახელს სტაჟიორად ამოიკითხავთ, თუმცაღა ადამიანი, რომელიც 22 წლის ასაკში ერთ დროს მოძმე ხალხს შორის „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენის გაუნელებელი სურვილით იღვწის, ვიმედოვნოთ, რომ წარმატების კვარცხლბეკზეც მალე მოგვევლინება.

ეძიო საკუთარ თავში ძალა, აკეთო და ისწავლო ის, რაც გიყვარს

ამ დევიზის მიმდევარია 21 წლის ცირა ჯობავა გალიდან, ამჟამად ბარსელონას საერთაშორისო ბიზნესსკოლის მენეჯმენტისა და კომუნიკაციების სტუდენტი, გოგონა, რომელსაც საკუთარ ქვეყანაში მუდმივად უწევდა სტერეოტიპების, ფესვებგადგმული სტიგმების ნგრევა და შესაძლებლობების მტკიცება: „რთულია ცხოვრობდე გარემოში, სადაც ქართული არ გესმის, სადაც უცხო ენებს არ აქცევენ ყურადღებას, სადაც არ ვითარდება შენი მსოფლმხედველობა. გალის რაიონს მუდმივად უწევდა რაღაცის დამტკიცება და ჩვენც თავდაუზოგავად ვამტკიცებდით, რომ ვსწავლობდით, რომ ჩვენც შეგვეძლო. ყველა საგნობრივი ოლიმპიადის გამარჯვებულები ყოველთვის ქართველები ვიყავით, მახსოვს, ინგლისურის ოლიმპიადაში რომ გავიმარჯვე, სიგელი სახლში მომიტანეს, ოღონდ იქ არ მივსულიყავი“,– იხსენებს ცირა.

განათლების მისაღებად კერძო რეპეტიტორებთან არასდროს უვლია. წარჩინებისათვის ოქროს მედალიც მიიღო, თუმცა ბუტაფორიულად - აფხაზურმა მხარემ ჩათვალა, რომ ეთნიკურად ქართველს მისი აღება არ შეეძლო, ამიტომ ეს ვალდებულებაც ქართულმა მხარემ იკისრა. ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში რუსეთში აპირებდა სწავლის გაგრძელებას, რადგან კვოტები განსაზღვრული იყო აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისთვის, თუმცაღა ისევ და ისევ ეროვნების გამო, საბუთების გაცემაზე უარი მიიღო. არ უდარდია, სამთვიანი მზადების შემდეგ „გაუ“-ს სტუდენტი გახდა. როგორც თავად ამბობს, აფხაზეთიდან დევნილებისთვის კომუნიკაციის, რესურსებისა და განვითარების ნაკლებობა ყველაზე მეტად იგრძნობა. პიროვნული წინსვლა, განვითარება, სიახლეების შეცნობა, მოგზაურობა ერთეულების ხვედრია, თუმცა უნივერსიტეტმა სხვაგვარი რეალობა დაანახა.

„აქ მოხვედრა წარმოუდგენელი ფუფუნება იყო, ვინაიდან დამხვდა გარემო, სადაც სიტყვისა თუ გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია. სტუდენტებსა და ლექტორებს შორის ჯანსაღი დისკუსიები იმართებოდა. სწორედ ლექტორმა შემომთავაზა მშვიდობის თემატიკაზე განსახორციელებელ პროექტში ჩავრთულიყავი, რომლის ფარგლებშიც აქტიურად დავიწყე წერა აფხაზ პოლიტიკურ მოღვაწეებზე“, – გვიამბობს იგი.

სულ მალე ცირა ლოკალურ მასშტაბებს არ დასჯერდა, მოინდომა და გლობალურ სივრცეში გადაინაცვლა, თუმცა, არა როგორც განვითარებადი ქვეყნის მოქალაქემ, არამედ მაღალი აკადემიური მოსწრებისა და შესაძლებლობების მქონე სტუდენტმა. ჯერ იყო ჩეხეთი – უშრეტი ცოდნის, ენერგიის დაგროვების წყარო, შემდგომ კი ესპანეთი: „როდესაც ესპანეთში სასწავლებლად მივდიოდი, შვება ვიგრძენი, რადგან მივხვდი, რომ ცოდნა, თავდაუზოგავი შრომა ყოველთვის ფასდება. აფხაზეთში დარჩენილი ბავშვები იმსახურებენ დაფასებას, იქ მყოფი მოსწავლე-მასწავლებლები ნამდვილად გმირები არიან“,– ახლა ასე აძლევს სტიმულს გალში მცხოვრებ მოსწავლეებს და საკუთარი მაგალითით უჩვენებს – თუ მოინდომებენ, შეუძლებელი არაფერია.

ცირა პატარა ასაკში მიღწეული წარმატებებით არ კმაყოფილდება. მოხალისეთა ჰაბთან ერთად მუშაობს მოხალისე ჟურნალისტისა და „ბერგჰოფის“ პროექტზე, სადაც მთავარი თემა ომში დაზარალებულთა ინტერვიუებია. მისი მთავარი მესიჯი ხიდს მიღმა მყოფი ადამიანებისთვის უცვლელია – არ დანებდნენ იმ უსამართლობას, რომელსაც წლებია პოლიტიკა აქტიურად თესავს, ხოლო მსხვერპლად კვლავ ახალგაზრდები ეწირებიან: „გაგრძელონ ბრძოლა, ეძიონ საკუთარ თავში ძალა, აკეთონ და ისწავლონ ის, რაც მათ უყვართ, რადგან სიყვარულის გარეშე არ კეთდება არც ერთი საქმე და, მით უმეტეს, წარმატებით არ გვირგვინდება“,– ჯიუტად მოუწოდებს ცირა.

მარიამ გრძელიშვილი

აფხაზური „ოაზისი“ ზღვისპირა ქალაქში





28 წლის წინ, მაშინ, როდესაც ყველა კავკასიონის თეთრმანდილწაკრულ მთებსა და შავი ზღვის ლაჟვარდოვან სანაპიროს შორის იყო მოქცეული, არც კი ფიქრობდნენ, რომ ერთ დღესაც განგება მათ ამ წალკოტიდან გადახვეწდა. წამოსვლა მტკივნეული იყო, თუმცა მშობლიური ეზო–კარის უნახაობით გამოწვეული ნოსტალგია – ორმაგად სევდიანი.

28 წელი გავიდა აფხაზთა და ქართველთა დაპირისპირებიდან, 28 წელია, მოყვრობა მტრობამ შეცვალა, მაგრამ არავის არასოდეს დაუსრულებია ფიქრი დაბრუნებაზე, ბავშვობის სანახებთან მიახლოებაზე...

აფხაზეთიდან წამოსული მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შეეხიზნა. ერთ–ერთი „ახალი რაიონია“ – ზღვისპირა ქალაქში მდებარე აფხაზური „ოაზისი“.

ახალი რაიონი ქალაქ ფოთში, მალთაყვის უბანში მდებარე დასახლებაა, ის აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას აერთიანებს. კომპლექტი კვარტალური ტიპისაა. საცხოვრებლები იდენტურია და ყველასათვის – ერთნაირი. აქ ცხოვრობს ფოთში გადმონაცვლებულ დევნილთა ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანს თავზე ჭერი აქვს, მათი ფუძე მაინც აფხაზეთს უკავშირდება. კორპუსების წინ გაშენებული ვარდები და პალმებიც კი ნოსტალგიურია – ადამიანები ცდილობენ, დროებით, მაგრამ მაინც, მოიწყონ ოაზისი, სადაც სიმწვანე ცოტაოი მაინც აგრძნობინებთ თავს შეჩვეულ გარემოში. აქ ვისაც არ უნდა ჰკითხო, აფხაზეთში დაბრუნდება თუ არა, პასუხი ერთი იქნება, რასაც დასახლების შესასვლელთან გაკეთებული წარწერაც მოწმობს - „მომავალ წელს სოხუმში!“

კოკა ქარდავა

„ყველგან ყველაზე ვგრძნობ თავს, გარდა აფხაზეთისა“

ყველა ადამიანს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს იმ ადგილისადმი, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ეს ემოცია კიდევ მეტად მძაფრდება, როცა საქმე აფხაზეთს ეხება – ტერიტორიას, რომლის მიწაზე ფეხის დადგმა აგერ უკვე 30 წელია, ოცნებად იქცა. იმ ადამიანებს, რომლებმაც წარმატებას საკუთარ სახლსგარეთ მიაღწიეს, ადგილის დედისთვის სიხარულის გაზიარება თითქოს შვებაა, მით უფრო მაშინ, როცა ეს წარმატება მეცნიერების მწვერვალებს ეხება. მინდა გაგაცნოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი უშანგი გოგინავა, მეცნიერი, რომლის ფესვებიც აფხაზეთშია.

უშანგი გოგინავა დაიბადა 1968 წლის 2 ოქტომბერს აფხაზეთში, გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩეში, პედაგოგების ოჯახში. დაამთავრა ვარჩეს საშუალო სკოლა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდოდა ჩაბარება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მიზანი ვერ განხორციელდა. შემდეგი ერთი წელი სოხუმის პროფსასწავლებელში სწავლობდა და დიდ ყურადღებას უთმობდა მათემატიკაში ცოდნის გაღრმავებას. 1987 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1993 წელს დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1995–2001 წლებში მუშაობდა თსუ-ის სოხუმის ფილიალის მათემატიკის ანალიზის კათედრაზე. 2001 წლიდან ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

1998-2006 წლებში იყო პრეზიდენტის სტიპენდიანტი.

არის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი სამეცნიერო კვლევები იბეჭდება მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე კრებულებში.

მისი კვლევის ძირითადი მიმართულებაა: ფურიეს მწკრივების კრებადობა და შეჯამებადობა.

– ბატონო უშანგი, როგორი იყო აფხაზეთში ცხოვრება და იქ გატარებული წლები, რა გახსენდებათ ყველაზე ხშირად?

– ჩემი ბავშვობა და სიჭაბუკე დაკავშირებულია აფხაზეთთან, რომელიც ზღვისპირეთში განსაკუთრებულია თავისი ბუნებით, კლიმატით და ადამიანებთან ურთიერთობებით. მთელი სოფელი ერთი ოჯახივით ვცხოვრობდით, უბნის ბავშვები დედმამიშვილებივით ვიზრდებოდით და ეს სიყვარული დღემდე მოგვყვება.

სტუდენტობა თბილისში გავატარე. მახსოვს, სწავლის პერიოდში როგორ მოუომენლად ველოდი სოფელში წასვლის შესაძლებლობას. უნივერსიტეტის დამთავრება კი აფხაზეთის ცნობილ მოვლენებს დაემთხვა და საკუთარი სახლიდან სვანეთის გზით გადმოვედი. სამწუხაროდ, აფხაზეთის დატოვება დიდი ხნით მოგვიწია, თუმცა დაბრუნების იმედი არ დაგვიკარგავს.

– თუ გახსენდებათ ისეთი ტრადიცია, რომელსაც მხოლოდ აფხაზეთში აღნიშნავდით?

– აფხაზეთი საქართველოა და, შესაბამისად, ტრადიციების უმეტესობა ემთხვევა, მაგრამ ყველა კუთხეს გააჩნია თავისებური წესი, რომლითაც განსხვავდება დანარჩენებისგან. ამ მხრივ, ჩვენთან შერწყმულია მეგრულ-აფხაზური ტრადიციები. განსაკუთრებით დამამახსოვრდა რამდენიმე მათგანი: არ შეიძლებოდა და დიდ სირცხვილად ითვლებოდა ქალბატონების თანდასწრებით უწმაწური სიტყვებით საუბარი, შენს სახლში მეზობლის პატარა ბავშვიც რომ შემოსულიყო, აუცილებლად ფეხზე ამდგარი უნდა მიჰგებებოდი და შემდეგ ჭიშკრამდე გაგეცილებინა.

– ამა თუ იმ საგნისადმი სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელთან ასოცირდება. თქვენს შემთხვევაში რა იყო მათემატიკით დაინტერესების საფუძველი?

– ჩემი ინტერესი მათემატიკის მიმართ, რა თქმა უნდა, სკოლიდან დაიწყო. ყოველივე ამაში დიდი წვლილი მიუძღვით როგორც პირველ მასწავლებელს – მარგო ჯიქიას, ასევე მათემატიკის პედაგოგებს: შაქრო გვაზავას, ნაზო ლაღიძესა და თამარ კოკაიას. მამა ისტორიკოსი იყო, მაგრამ ძალიან სწრაფად ხსნიდა ლოგიკურ ამოცანებს და ხშირად ვეჯიბრებოდი ამოხსნაში. ამ მოვლენებმა დადებითად იმოქმედა ჩემს სამომავლო გადაწყვეტილებაზე.

– დღევანდელ თაობაზე რას იტყოდით? რამდენად აქვთ ინტერესი ამ სფეროს მიმართ?

– მყავს ძალიან კარგი სტუდენტები. მაგალითად, ალექსანდრე საათაშვილი, რომელიც ბრაზილიაში მუშაობს. ის ქვეყნის მასშტაბით, ისტორიაში პირველად, მსოფლიო საუკეთესო ხუთეულში გავიდა და არის რეიტინგით მეორე მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის სტუდენტი. ასევე ზაურ მეშველიანი, რომელიც ახლა შვეიცარიაში მუშაობს. ვინც ენა იცის, ყველა უცხოეთში მიდის, რადგან აქ მეცნიერები არავის სჭირდება. ეს სამწუხარო რეალობაა. თუ მეცნიერებას გაყვები და გინდა ნორმალურად იცხოვრო, უცხოეთში უნდა წახვიდე. იქ პირიქითაა, ყველანაირად იზიდავენ წარმატებულ ადამიანებს და მათზე დაყრდნობით ქმნიან სახელმწიფოს.

– რას ურჩევთ მომავალ თაობას?

– აკეთონ ის საქმე, რომლის ნიჭითაც ღმერთმა დააჯილდოვა. მხოლოდ თავისი საქმის მცოდნე, თავისუფალი ადამიანები ქმნიან წარმატებულ ქვეყანას, ხოლო უცოდინართა კატეგორია მუდამ სხვებზეა დამოკიდებული და ვერ ქმნის წარმატებულ მომავალს.

– თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს საქართველოში მეცნიერების სამომავლო განვითარებისთვის?

– დიდი დრო სჭირდება და არ არის მარტივი, გახდე საერთაშორისო მეცნიერი. საჭიროა სამშობლოში მყოფი მეცნიერების ხელშეწყობა, რადგან ამ ადამიანებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ მომავალ თაობებს. ასევე ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს მოტივაცია, რომ დაადგეს ამ რთულ გზას.

რა არის მოტივაცია? მეცნიერი უნდა შეფასდეს საერთაშორისო სტანდარტებით და როცა ეროვნული ადამიანები თავიანთი პუბლიკაციებით ამ დონეს აღწევენ, საჭიროა ფინანსური ხელშეწყობა. თუ წაახალისებ ფსევდომეცნიერებას, შედეგად მიიღებ ფსევდომეცნიერებს, როგორც ჩამორჩენილ ქვეყნებში და ნამდვილი მეცნიერები უცხოეთში გაიქცევიან. მეცნიერს უნდა დაერქვას თავისი სახელი და ადამიანები, რომელთა გვარებიც არ იძებნება სამეცნიერო ბაზებში, არ შეიძლება ამ წოდებით სარგებლობდნენ.

– რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

– ჩემი გეგმები მხოლოდ მეცნიერებასთანაა დაკავშირებული. ჩემი წარმატებული მუშაობა პირდაპირ კავშირშია მაღალრეიტინგული ჟურნალების პუბლიკაციებთან. ვაგრძელებ არაბთა გაერთიანებული საამიროების უნივერსიტეტში მოღვაწეობას. უცხოელებთან ერთად ჩართული ვარ სხვადასხვა პროექტში.

აუცილებლად დავუომობ დროს ახალგაზრდა ქართველებისთვის ჩემი გამოცდილების გაზიარებას. ამ მომენტისათვის ვხელმძღვანელობ სამი ქართველი დოქტორანტის კვლევას. მომავალ წელს ეს ახალგაზრდები უკვე დისერტაციებით წარდგებიან.

არაბთა გაერთიანებული საამიროების უნივერსიტეტის ახალგაზრდებისთვის ვაპირებ სამეცნიერო სემინარის ჩამოყალიბებას.

– თქვენი შვილები თბილისში გაიზარდნენ, აქ ჰყავთ სამეგობრო წრე... აფხაზეთში დაბრუნება რომ შეგეძლოთ, თქვენი ოჯახის წევრებს რა პოზიცია ექნებათ?

– არა, მე ასე არ ვუყურებ ცხოვრებას. მე და ჩემი შვილებიც თავისუფლად მოაზროვნეები ვართ. ისინი იცხოვრებენ იქ, სადაც მოისურვებენ და საჭიროდ მიიჩნევენ.

ჩემთვის აფხაზეთში დაბრუნება პირველი სურვილია, რადგანაც ძალიან მენატრება სკოლა, სადაც მთელი ბავშვობა გავატარე, ჩემი სოფელი და ზღვის სანაპირო.

არ აქვს მნიშვნელობა, სად ვიცხოვრებ, მთავარია მომეცეს საშუალება, ჩავიდე სოფელში, როცა ეს მომინდება.

მეგი მიქაბერიძე

ქირსა ბზიადა, ჩაანბზიადა აშიყუს ჩიც!

ახალი წელი ახალ ოცნებებთან, ახალი იდეების ხორცშესხმის მოლოდინთან და უკეთეს მერმისთან ასოცირდება.

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ტრადიციული წლიური სადღესასწაულო ციკლი აფხაზეთშიც დეკემბრის მიწურულიდან იწყება. მართალია, აფხაზთა ნაწილი ისლამს მიიჩნევს თავის რელიგიად და საშობაო ღორს არ კლავს, მაგრამ შობა აფხაზეთში საერთო დღესასწაულივით აღინიშნება. აფხაზები ერთმანეთს შობას შემდეგი სიტყვებით ულოცავენ: ქირსა ბზიალა (ქირსე-ჯგირობუა, ქრისტე კეთილად გიმზერს)! და ეს ყველაფერი არის დასტური აფხაზების განსაკუთრებული სიახლოვისა მეგრელებთან. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ დეკემბერს - ქრისტეშობისთვეს, მეგრულად ქირსეთუთა, ხოლო აფხაზურ კალენდარში ქირსამხა ეწოდება.

ძველად აფხაზები შობის წინა ღამეს ადრე წვებოდნენ, რათა შუაღამით საშობაო ლოცვა შეესრულებინათ. ამის შემდეგ სახელდახელოდ კლავდნენ ღორს, თხას ან ხბოს, საკლავის გარკვეულ ნაწილს ხარშავდნენ, ღომს ჩახელდნენ და მიუსხდებოდნენ საშობაო სუფრას. დიასახლისები დილამდე განაგრძობდნენ მზადებას შობა დილის ლოცვისთვის, ღამითვე იკვლებოდა იმდენი ქათამი რამდენი წევრიც იყო ოჯახში, ცხვებოდა შესაწირი კვერები. ამას მოყვებოდა სალოცავი ხონჩის გაწყობა დილის საშობაო ლოცვისთვის. ლოცვას ასრულებდნენ სალოცავი ხის ძირას, უმეტესად თხილიანში ისე, როგორც მეგრელები „დოდგიმირს” - მუხის ჭალაში. მართალია, ეს ადათები უკვე მოდერნიზებულია, თუმცა რამდენიმე სოფელში მაინცაა შემორჩენილი.

ასევე, დღემდე გვხვდება მჭედელთა მხარ-მკლავის დალოცვის რიტუალი, რომელიც უკავშირდება მეგრულ ხეშხვამას. ამ დროს სახლიდან წასული ოჯახის ყველა წევრი ბრუნდება ძირ სახლში, რათა ოჯახურ დღესასწაულში მიიღოს მონაწილეობა, თუმცა საყურადღებოა, რომ სამჭედლოში ლოცვა სრულდება მხოლოდ მამის ხაზით ნათესავების მონაწილეობით. ისინი ანთებული სანთლებით ხელში გარს უვლიან გრდემლს, მლოცველი კი ლოცვას აღუვლენს შაშვს, რომელიც არის მჭედლების მფარველი ღვთაება. მსხვერპლად წირავენ თხას ან მამალს, ჯამში შეგროვებულ სამსხვერპლო სისხლს კი გრდემლს ასხურებენ. თავდახრილნი შემოუვლიან სანთლებით ხელში კიდევ ერთხელ გრდემლს, დალევენ თითო ჭიქა ღვინოს, შეაყოლებენ საზვარაკე ხონჩიდან თითო ლუკმას, ამის შემდეგ კი ბრუნდებიან სახლში, რათა მიუსხდნენ საახალწლო სუფრას.

სუფრაზე ძირითადად მშრალად მოხარშულ საქონლის ხორცს, ხაჭაპურს, წკირზე შემწვარ ქათამს, გებჟალიას, ინდაურის საცივს და ღომს შეექცევიან, ტკბილეულიდან აჯანჯუხს (ჯანჯუხა, ჩურჩხელა), აქლამიშს (ფელამუშს), თაფლიან და ნიგვზიან ქადებს, გოზინაყს, მანდარინს, ლიმონსა და ფორთოხალს დებენ, ღვინოებიდან უპირატესობას შინდაყენებულ ღვინოს ანიჭებენ, ამასთანავე, საახალწლო სუფრაზე უნდა იდოს წელში გატეხილი ზამთრის სიმბოლო, ენძელების თაიგული, რადგან ახალი წელი განახლების მომასწავლებელია.

საინტერესოა, რომ აფხაზები სახლის წინკარში, ჯარგვლის, ბოსლის, სათხებოს, ნალიის ღიობებში სუროსა და თხილს კიდებენ, რათა ხვავი და ბარაქა დაებედოს ოჯახს. აღსანიშნავია, ისიც, რომ თხილის ჩიჩილაკი აფხაზეთშიც იციან. მათი რწმენით, ეს მზის სადგომი წმიდა ხეა. თხილის ხეზე ისინი დღემდე ლოცულობენ და მას შესთხოვენ მფარველობას. თხილის ჩიჩილაკი და ყვავილედი საფერხო ტაბლაზე სწორედ თხილის თაყვანისცემას უკავშირდება. ისინი შესახლებულ კვერებს თხილის ჩიჩილაკსაც უცხობენ და საფერხესთან შემოუწყობენ.

რაც შეეხება მეალილოების რიტუალური მსვლელობის ძირითად ტრადიციას, მას ახალგაზრდები ასრულებენ. ხოლო ფერხობის რიტუალს, რომელიც ასევე ძალიან ჰგავს მეკვლეობას, მაკუჩხურობას, კუჩხიბედინერს, ასრულებს ოჯახის ერთ-ერთი წევრი, უპირატესად, უფროსი მამაკაცი ან უმცროსი ვაჟი, რომელსაც კარგი, ბედნიერი ფეხი აქვს.

აფხაზთა საშობაო-საახალწლო ტრადიციები ნათლად მიუთითებს ჩვენ შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობასა და განსაკუთრებულ სიახლოვეზე. არ არსებობს „ჩვენ” და „ისინი”. შობა-ახალი წელი განახლების იმედებით არის სავსე, მეც მჯერა, რომ უსაოუოდ დადგება დრო, როცა უხინჯო გულით ვეტყვით ერთმანეთს: ქირსა ბზიალა, ჩაანბზიალა აშიყუს ჩიც! (შობა-ახალ წელს გილოცავთ!)

მარიამ მებონია

წყარო: ოდიშინიუსი

თარბა თავის ცვიდს ძმის სიყვარულს არ დაავიწყებს...

- მერამდენე ახალი წელი მოდის და ვინ იცის, კიდევ რამდენი მოვა უშვილოდ და უაფხაზეთოდ? - ჩაილაპარაკა ბუხრის პირას მჯდარმა ილო ბაბუამ.

მამა ცეცხლს ჩააშტერდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ვიფიქრე, ახალი წლის ღამეს რა დროს ამაზე ლაპარაკია-მეთქი, მაგრამ მერე საკუთარი თავის შემრცხვა – შენ ახალი წელი გიხარია, დარდსაც გადაავადებ იმის გამო, რომ მხიარული შეხვდე მომავალს, მაგრამ ისეთი დარდებიც ხომ არსებობენ, დროს რომ არ ემორჩილებიან – არიან და არიან ახალ წელსაც, ძველსაც, აღდგომასაც, დილასაც და შუაღამესაც, ილო ბაბუას დარდიც ასეთი იყო – მუდმივი, ჩაუნავლებელი...

უხერხული სიჩუმე არ სრულდებოდა... ავდექი, ნაძვის ხეზე გაბმული პაწაწინა ნათურები ავანთე, მივედი ილო ბაბუასთან და დამჯკნარ ხელებში მანდარინები ჩავუყარე. მამასაც გავუწოდე ორიოდე ცალი.

საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ცეცხლზე ნავთს ვასხამდი...

ილო ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა მარტო. მისი ცოლი შვილის დაკარგვას გადაჰყვა. სხვა არავინ ჰყავდა, შორული ნათესავების გარდა. მამამ მითხრა ეს ადრე. რაც თავი მახსოვდა, საღამოობით ჩვენთან მოდიოდა და ერთ ამოჩემებულ სკამზე ჯდებოდა ბუხრის პირას. იშვიათად თუ იტყოდა რამეს, არც არაფერს შეჭამდა, არც არაფერს დალევდა, უბრალოდ, იჯდა და ჯიბეში ჩაყრილ ნიჟარებს აჟდარუნებდა. ყველამ ვიცოდით, ეს ნიჟარები სოხუმის სანაპიროდან იყო...

ილო ბაბუა მუჭში ჩატეულ ნარინჯისფერ ბურთებს დაჰყურებდა:

– იცი, როგორ დაცხრილეს ჩემი მანდარინები? - მკითხა ისე, რომ თავი არ აუწევია.

მხრები ავიჩეჩე.

– ერთხელაც მოვიდნენ და ჩემ ნაცვლად ისინი დახვრიტეს, - მითხრა და ისევ მანდარინებს ჩააჩერდა ზღვასავით ლურჯი, წყლიანი თვალებით. მე მელაპარაკებოდა, თითქოს ისეთ ადამიანს ეძებდა, ვისაც დიდხანს ემახსოვრებოდა ეს ამბავი.

– ერთი შვილი მყავდა, - გააგრძელა თავაუღებლად - თავის ბიძაშვილებთან ერთად ომში არ წავიდა, რომელ მხარეს ვებრძოლო, ორივეგან ჩემი ძმები დგანანო. ერთ საღამოს დაუძახეს. ფანჯრიდან გავხედე – ჭიშკართან აფხაზური საუბარი ისმოდა, ძლივსგასაგონად, თუმცა მაინც ირეოდა მასში რუსული ფრაზები... ჩემი ძმები არიანო, ჩაილაპარაკა და გავიდა. სამჯერ გაისროლეს! მას შემდეგ ჩემს ცოლს ხმა არ ამოუღია, ერთბაშად დამუნჯდა ქალი. გარეთ რომ გავედი, ჩვენი მეზობელი თარბა აფხაზურად, ქალივით დასტიროდა ჩემი შვილის ცხედარს. ამომხედა – სახლი უნდათ, დაბრუნდებიანო, მითხრა, მეტი რაღა უნდა წამართვან-მეთქი, გავიფიქრე და ვიგრძენი, ტირილიც არ შემეძლო. მე და თარბამ გავთხარეთ საფლავი ეზოს ბოლოში. მერე მისმა პატარა გოგონამ მოირბინა და ქრიზანთემები დააწყო ამობურცულ მიწაზე.

მამას შევხედე, სახეს მალავდა. სასწრაფოდ წამოვდექი და ნაძვის ხის ნათურები გამოვრთე. არასდროს მომესმინა ასეთი რამ ილო ბაბუასგან, ახლა კი ერთბაშად ალაპარაკდა...

> *ძმის ნასროლი ტყვიას სად გაექცევა კაცი?! რომც არ მოგხვდეს, მაინც კვდები.*

– თარბას სიტყვა ახდა. მართლა დაბრუნდნენ, - გააგრძელა საუბარი - ნაცნობი ხმა ახლა მე მემუქრებოდა მოკვლით. ამ ხმის პატრონთან ათასჯერ მაინც მილაპარაკია ძმურად. თარბამ უკანა კარიდან ძალით გაგვიყვანა მე და ჩემი ცოლი, მაგრამ ძმის ნასროლ ტყვიას სად გაექცევა კაცი?! რომც არ მოგხვდეს, მაინც კვდები. ბოლო წუთამდე მჯეროდა, რომ არ მომკლავდნენ და არ ვტოვებდი ეზოში საკუთარი ხელებით დამარხულ შვილსა და სახლს, რომელსაც მთელი ჩემი ცხოვრება ახსოვდა. ახლა კი ერთი ძმა მოსაკლავად მომდევდა, მეორე ჩემი გადარჩენისთვის იბრძოდა – თარბამ დამმალა თავისი სახლის სარდაფში. როდესაც ჩემი სახლის უკან მანდარინები დაცხრილეს, რადგან იქ ვეგულებოდით, ყველაფერი მიწყნარდა.

მერე დამნაშავესავით მოვიპარებოდი და ნაქურდალივით მომქონდა შვილის საფლავიდან აღებული მიწა. ბოლოს თვალი შევავლე განადგურებულ მანდარინებს და სუნი შევიგრძენი – დახვრეტილი მანდარინების სუნი, რომელიც ამ სამიოდ ბურთულასაც გამოჰყოლია... – ისევ დახედა მუჭში ჩაგორებულ მანდარინებს და გაჩუმდა.

მამას შევხედე. იჯდა და არ იცოდა, სად წაეღო თვალები, ხელები და სანახევროდ გაფცქვნილი მანდარინები...

- იქნებ მე ვერ დავბრუნდე... გთხოვთ, შენ გთხოვ, - თვალებში მიყურებდა - იქ რომ ჩახვალ, ეშბას 53-ში თეთრკედლებიან სახლს მიაკითხე, ეზოს ბოლოში, მანდარინის ხის ქვეშ ჩემი შვილის საფლავია, თუ ბალახი დაგხვდა ზედ, გამოდის, რომ თარბა აღარ ყოფილა ცოცხალი, მაგრამ მაინც მგონია, რომ მოვლილი იქნება, როგორ დავიჯერო, რომ თარბა თავის შვილს ძმის სიყვარულს დაავიწყებდა...

დიდხანს ვისხედით ჩუმად. მერე წამოდგა.

– მე ახლა წავალ, შენ გაანათე, ბაბუ, ეს ნაძვის ხე, მალე ახალი წელი მოვა! - ეს მითხრა, ძველებური მოსასხამის ჯიბეში ჩაიყო ხელი და ნიჟარების ჟღარუნით კარში გავიდა.

ბუხრის გვერდზე იმ ადგილს გავხედე, სადაც იჯდა. სკამზე მანდარინები და რამდენიმე ნიჟარა ეწყო...

იმ ღამეს ნაძვის ხე არ აგვინთია.

ნინო წულაია

ხსოვნაში
მაქვავები ნამი...

რედაქცია

სტუდენტური ჯგუფის ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე

ჩანართის რედაქტორი
ლიანა მარქარიანი

ჟურნალისტები
ნინო წულაია
მეგი მიქაბერიძე
მარიამ გრძელიშვილი
მარიამ მებონია
ფრიდონ (კოკა) ქარდავა

სპეციალურად ჩანართისთვის ფოტოსურათები შემოგვთავაზა **ენდი შვიცმა/Andy Schwets**

ჩანართზე მუშაობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტები

აფხაზეთზე ნახატებით მოყოლილი ისტორიები

მაია შონია

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტი, გალელი ილია გამსახურდია „გურული დღიურების ფონდის" სტიპენდიატი გახდა. ფონდი ეხმარება ნიჭიერ ახალგაზრდებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, რომელთაც პირველი ნაბიჯების გადადგმისას მხარდაჭერა სჭირდებათ. „გურული დღიურების ფონდის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე ახალგაზრდების ერთგვარი წახალისების მიზანს და მნიშვნელობას ასე ხსნის:

„ეს სტიპენდია იმ ახალგაზრდებისთვისაა, რომელთაც გარკვეული საჭიროება აქვთ და ამავდროულად ნიჭიერები არიან. ფონდის საქმიანობა საგანმანათლებლოა. ვეხმარებით სტუდენტებსა და მოსწავლეებს. ვცდილობთ მათ ცხოვრებაში თუნდაც სიმბოლური წვლილი შევიტანოთ. ჩვენი სტიპენდია უკვე არაერთხელ გახდა კარგი სტიმული და მოტივაცია ახალგაზრდებისთვის. ილია გამსახურდია, წლების წინ გავიცანი. ვენაში ქართული ბიბლიოთეკის გახსნაზე ორი გალელი მოსწავლე ჰყავდათ წამოყვანილი. ილია გალში გაიზარდა და იქვე დაამთავრა სკოლა. დიდი ოცნებების კაცია, არანაკლები ნიჭის მხატვარი და საოცარი პატრიოტი. მისი ერთი ნატვრა ახდა - თბილისში, სამხატვრო აკადემიაში სწავლობს, პირველკურსელია. ახლა „გურული დღიურების ფონდის" სტიპენდიატიც გახდა".

ილია გამსახურდია 2003 წელს ოკუპირებულ ზონაში, გალში დაიბადა და სკოლის დამთავრებამდე მშობლებთან ერთად იქ ცხოვრობდა. ოთხი წლის განმავლობაში გალის სამხატვრო სკოლის არც ერთ მეცადინეობას არ აცდენდა, რომ მიზნისთვის მიეღწია და თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გამხდარიყო. სწორედ ამ პერიოდში დაუკავშირდნენ და უთხრეს, რომ ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით ავსტრიაში, ქალაქ ვენაში, ქართული ბიბლიოთეკა იხსნებოდა, პარალელურად კი იგეგმებოდა გამოფენა თემაზე - აფხაზეთი. ილიას, როგორც აფხაზეთში მცხოვრებ ნიჭიერ მოსწავლეს, ამ გამოფენაში მონაწილეობა შესთავაზეს. ვენის ქართული ბიბლიოთეკის გახსნაში ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, მოძრაობა „ეკვილიბრიუმის" დამფუძნებელი, გიორგი კეკელიძე მონაწილეობდა. ილიამ გიორგი გზაში, ავსტრიაში მიმავალ ავტობუსში გაიცნო. ვენაში ქართული ბიბლიოთეკა გაიხსნა და აფხაზეთის თემაზე იქვე შექმნილი ნახატების გამოფენამაც წარმატებით ჩაიარა. მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. ამასობაში ილია გამსახურდიამ ბავშვობის ოცნებაც აიხდინა და ახლა უკვე სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. „გიორგის დავურეკე. ძალიან გაუხარდა. მითხრა, სასწრაფოდ უნდა მოხვიდე ჩემთან, ბიბლიოთეკაში, სიურპრიზი მაქვსო. მივედი თუ არა, „გურული დღიურების ფონდის" სტიპენდიატი გახდიო, მომახარა. გაოცებული დავრჩი. ჯოჯოხეთის მერე ასეთი რამ ვის არ გაუხარდებოდა. ძალიან ემოციური დღე იყო. ამისთვის დიდი მადლობა მას",- ამბობს ილია გამსახურდია.

ამ ემოციურ დღემდე მოსვლას დასჭირდა წლები, რომელსაც ილია ასე იხსენებს: „13 წლის ვიყავი, სამხატვრო სკოლაში რომ შევედი. გალში ძალიან ძლიერი და სერიოზული სამხატვრო სკოლაა, რომლის დირექტორია ია ქარდავა. ხატვა ბევრად ადრე 2006 წელს დავიწყე. სამი წლის ვიყავი, კარგად მახსოვს, ჩრდილში ვიჯექი, უცებ საშინელი ხმა მომესმა, გავიხედე, ჯავშანტექნიკა მოდიოდა ძალიან სწრაფად. მაშინვე შევვარდი სახლში, ჩემს დას ქაღალდი და ფანქრები გამოვართვი და ზუსტად ისეთი ჯავშანტექნიკა დავხატე. ზოგადად, მხატვრობა ილუსტრირებული ისტორიაა და ჩემს ნახატებშიც ჩემი მოგონებები ჩანს, რაც განმიცდია და მინახავს. ჩემი მეგობრები ხშირად მეუბნებიან, ძალიან მუქ ფერებში ხატავო. ამ სტილში, ალბათ, კიდევ რამდენიმე წელი დავხატავ. შიგნით იმხელა დარდია და ჯერ ბოლომდე დაცლილი არ ვარ. შეიძლება ნათელ ფერებში გადასვლა გამიჭირდეს, მაგრამ არა უშავს, მთავარია, ტილოზე ჩემი განცდა ჩანს. ყველაფერი წინაა".

ილია თავის წარმატებას ოჯახს, განსაკუთრებით დედას უმადლის. გალში სამხატვრო სკოლა სწორედ მან აღმოაჩინა. ილიას კარგად ახსოვს სახლიდან ავტობუსის გაჩერებამდე გასავლელი ტყე და საშიში გზაც, რომლის გავლა განსაკუთრებით რთული იყო ზამთარში, თოვლში, გაყინული ხელ-ფეხით, მაგრამ სიცივე და ხანდახან შიმშილიც მეორეხარისხოვანი ხდებოდა ხატვის გაკვეთილებთან შედარებით. ასე გაუვარჯიშდა ხელი ხატვაში და ამისთვის მადლობას სამხატვრო სკოლის ყველა პედაგოგს უხდის. რომ არა ისინი, ფიქრობს, რომ დღეს სტუდენტი არ იქნებოდა. ახლა თბილისში სტუდენტ დასთან და მშობლებთან ერთად ცხოვრობს და მომავალ გამოფენებზე ოცნებობს. აუდიტორიის წინაშე რამდენჯერმე უკვე წარსდგა. ავსტრიის გარდა, მონაწილეობდა სოხუმში, გალში, ზუგდიდსა და თბილისში გამართულ გამოფენებში. მომავალში ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გეგმავს პერსონალური გამოფენის მოწყობას. ამისთვის გალში დაგროვილი 50 ნახატის გადმოტანას აპირებს და ახალ ნამუშევრებსაც ქმნის. ქართველი მხატვრებიდან მისთვის მისაბაძი ლადო გუდიაშვილია, მსოფლიო მხატვრობიდან კი მოდილიანი.

ილია აპირებს, რომ საკუთარი შემოქმედება აფხაზეთს მიუძღვნას და მსოფლიოს, სანამდეც მიაწვდენს ხმას, მისი ოკუპირების ამბავი გააგებინოს...

„საბუნებისმეტყველო საგნები ყოველთვის მაინტერესებდა"...

ამბობს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიატი

მაია შონია

„აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიის" მისაღებ კონკურსში მონაწილეობა ჩემთვის თავის წარმოჩენისა და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნების კარგი საშუალება იყო. ამ სტიპენდიამ კიდევ უფრო დამაჯერა, რომ სწავლა და შრომა ყოველთვის ფასდება და ის უდიდესი მოტივაციაა შემდეგი წარმატებებისთვის. ვფიქრობ, ამგვარი სტიპენდიები მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის, რადგან უფრო მეტად ინტერესდებიან და ეძლევათ იმედი, რომ საბუნებისმეტყველო მიმართულება ფასდება",- ამბობს დარეჯან ირემაშვილი, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის 2020-2021 სასწავლო წლის სტიპენდიატი.

მოსწავლეებისა და სტუდენტების საბუნებისმეტყველო საგნებით დაინტერესება სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულად არის წახალისებული. ამ პოლიტიკის ნაწილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2017 წელს დაწესებული „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია". სტიპენდიატის შერჩევის პროცესს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო წარმართავს. შესაბამისმა კომისიამ 2020-2021 სასწავლო წლისთვის ეს სტიპენდია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ქიმიური ექსპერტიზის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტ დარეჯან ირემაშვილს მიანიჭა.

„აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია" ხელს უწყობს ახალგაზრდებში ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნების შესწავლის მოტივაციის ამაღლებას. პროექტი გათვალისწინებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე (70%) სტუდენტებისთვის. სტიპენდია 200 ლარის ოდენობით, ყოველთვიურად ერთი სასწავლო წლის განმავლობაში (ათი თვე) გაიცემა.

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის 2020-2021 სასწავლო წლის სტიპენდიატი დარეჯან ირემაშვილი საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნებით ბავშვობიდან იყო დაინტერესებული: „ყოველთვის მინდოდა, მეტი გამეგო მოვლენებზე, რომლებიც ჩვენ გარშემო ხდება. ვეცნობოდი მეცნიერთა აღმოჩენებს, კანონებს, რაც ინტერესს უფრო მიღრმავებდა. დამამთავრებელ კლასებში ძალიან შემიყვარდა ქიმიის გაკვეთილები, მინდოდა ჩამეტარებინა ექსპერიმენტები, დავკვირვებოდი და გამომეტანა შესაბამისი დასკვნები. ბევრი არ მიფიქრია და ჩავაბარე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში მივიღე დიდი გამოცდილება, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ საკითხებში. გამომიმუშავდა ლაბორატორიაში მუშაობის უნარ-ჩვევები. ვმონაწილეობდი სამეცნიერო კონფერენციებში, გამოფენებში. ამიტომაც გადავწყვიტე, გამეგრძელებინა მაგისტრატურა ამავე უნივერსიტეტში ქიმიური ექსპერტიზის მიმართულებით. ჩემი ინტერესი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი სულ უფრო იზრდება",- თქვა დარეჯან ირემაშვილმა.

ის ასევე ცდილობს საბუნებისმეტყველო მიმართულების პოპულარიზაციას მოზარდებშიც. „მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში საბუნებისმეტყველო დარგები უფრო და უფრო ვითარდება. ჩვენც ფეხი უნდა ავუწყოთ ამ ტენდენციას. ჩვენი უნივერსიტეტის სახელით ვმონაწილეობ განათლების გამოფენებსა და სამეცნიერო პიკნიკებში, რომლებიც საქართველოს ქალაქებში ტარდება და ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაციას. ვატარებ სახალისო ექსპერიმენტებს, ვხსნი მათ თეორიულ არსს და კავშირს ცოცხალ სამყაროსთან. ეს ყველაფერი ბავშვებისთვის იმდენად საინტერესოა, რომ უჩნდებათ სურვილი, თავადაც მიიღონ მონაწილეობა ამ ყველაფერში და იყვნენ პატარა მეცნიერები",- ამბობს მომავალი მეცნიერი. დარეჯან ირემაშვილი კარიერის გაგრძელებას სწორედ ამ მიმართულებით აპირებს.

ქირსამზა – ქირსეთუთა, ქრისტეშობისთვე

(აფხაზების საშობაო - საახალწლო მისტერიები)

ნონა ქობალიას
ბლოგიდან ,,მთვარის მოზაიკა“

ტრადიციული წლიური სადღესასწაულო ციკლი აფხაზეთშიც დეკემბრის მიწურულიდან იწყება. თავდაპირველად იგი ზამთრის ბუნიობას უკავშირდებოდა, შემდგომში კი შობის დღეს - ქირსეს - აფხაზურად - „ქირსას“.

ერთი შეხედვით, უცნაური ჩანს, რომ აფხაზეთში, სადაც ქრისტიანობამ ისე ვერ დაასუსტა წარმართული ზნე-ჩვეულებები, როგორც დანარჩენ საქართველოში (ამასთან აფხაზთა ნაწილი ისლამს მიიჩნევს თავის რელიგიად), შობა საერთო-სახალხო დღესასწაულივით აღინიშნება, მაგრამ ფაქტი სახეზეა - შობადღეს (მართალია, ოდნავ თავისებურად) აღნიშნავენ გუდაუთის თემშიც კი (იმ განსხვავებით, რომ საშობაო ღორს არ კლავენ), მაგრამ სხვა დანარჩენში აფხაზების საშობაო-საახალწლო რიტუალები და მისტერიები, ტერმინოლოგიისა და ლოცვის ფორმულების ჩათვლითაც კი, ძალიან ახლოა მეგრელთა წეს-ჩვეულებებთან.

საინტერესოა და მრავლისმეტყველი ისიც, რომ დეკემბერს – ქრისტეშობისთვეს, მეგრულად ქირსეთუთას, აფხაზურ კალენდარში ქირსამზა (ქირსა - ქირსე - შობა, ამზა - თუთა - თვე) ეწოდება. აფხაზები ერთმანეთს შობას ულოცავენ სიტყვებით: ქირსა-ბზიალა! (ქირსე - ჯგირობუა, ქირსე ჯგირ თოლით გიჯინე, სიტყვასიტყვით: ქრისტე კეთილად გიმზერს) და ეს ყველაფერი უსათუოდ არის დასტური აფხაზების სრულიად განსაკუთრებული სიახლოვისა მეგრელებთან, რომელთა გულებზე გადის მათი გზა ზოგადქართული სამყაროსაკენ.

ძველად აფხაზები შობის წინა ღამეს ადრე წვებოდნენ, რომ შუაღამით, შობის დადგომას ფეხზე შეხვედროდნენ. საშობაო ლოცვა და მისტერიებიც ამ დროს იწყებოდა, რადგან ხსნილი დგებოდა. აბჟუში - შუასოფელში შობის დადგომის შემდეგ კლავდნენ საშობაოდ ნასუქ ღორს, ბზიფის მხარეში - თხას ან ხბოს, საკლავის გარკვეულ ნაწილს, უპირატესად შიგნეულს, სახელდახელოდ მოხარშავდნენ, ღომს ჩაზელდნენ და სხვა კერძებით გაწყობილ საშობაო სუფრას მიუსხდებოდნენ. ამის შემდეგ ისევ წვებოდნენ და გამთენიამდე იძინებდნენ, თუმცა დიასახლისი და ოჯახის თავი დილამდე განაგრძობდნენ ფუსფუსსა და მზადებას შობა დილის ლოცვისთვის. საკლავის თავ–ფეხსა და სხვა ნაწილებს მთელი ღამით შუაცეცხლზე შემოდგმულ ქვაბში ჩატოვებდნენ, რომ დილისთვის კარგად ჩაქლამულიყო, ღამითვე დაკლავდნენ იმდენ ქათამს, რამდენი წევრიც იყო ოჯახში, დააცხობდნენ მაზვარებს - საწირ კვერებს, ჩამოქნიდნენ (აუცილებლად მამაკაცი) სანთლებს. ყველაფერს რომ მორჩებოდნენ, გამოაწყობდნენ სალოცავ ხონჩას დილის საშობაო ლოცვისთვის.

ლოცვას ასრულებდნენ საკრალური, სალოცავი ხის ძირას თავიანთ ეზოშივე ან ხატის ტყეში, უპირატესად, თხილიანში - თხინაში ისე, როგორც მეგრელები „დოდგიმირს“ მუხის ჭალაში. მთელი საწირი ანუ საშობაო სალოცავ ხონჩაზე ნადები ხორაგი ლოცვის ადგილზევე უნდა შეეჭამათ, ხოლო ნარჩენები ცეცხლში დაეწვათ, რომ ძაღლს, სხვა შინაურ ცხოველს ან ნადირს არ წაებილწა საღვთოდ განკუთვნილი. ეს ადათები ახლა მოდერნიზებულია, ტრანსფორმირებული და თავდაპირველი სახით კანტიკუნტად, მხოლოდ ღრმა სოფლებში და ტრადიციულ, კონსერვატიულ ოჯახებშია შემორჩენილი.

გარდამავალ ღამეს, ახალი წლის დადგომამდე მცირე ხნით ადრე, სრულდებოდა სამყაროს შექმნისა და განახლების რიტუალური მისტერია, რომელსაც შუასოფლის - აბჟუს (ოჩამჩირე - ტყვარჩელი) აფხაზები აჟირნიხვას, ხოლო ბზიფელი აფხაზები ხიჩხვამას, ხეჩხუამას უწოდებენ (ერთი ვერსიით, ეს ხეშ ხვამაა (ხელის დალოცვა), მეორით - ღეჯხვამა, ღეჯითხვამა (ღორით ლოცვა).

რა შუაშია სამჭედლო და მჭედელი ახალ წელთან? აფხაზებისა და მეგრელების საზრისით, ადამიანის გაჩენისას ცაზე მისი ბედის ვარსკვლავი ჩნდება, ხოლო სიკვდილის დადგომისას ცას წყდება, ციდან იშლება. (სხვათა შორის, ამას უკავშირდება მეგრული წყევლა - რინამოლასირი - სიცოცხლე წაშლილი, ვარსკვლავწაშლილი).

ამასთან არის დაკავშირებული რწმენა - წარმოდგენა, რომლის თანახმად, მჭედელთა მფარველი ღვთაება შაშვ არის სამყაროს შემქმნელისა და დამმაგრებლის (ქიანაშ გორჩქინუ დო დამარგებუ) ჰიპოსტასი, ხთონური თვისებების მატარებელი მითოსური პერსონაჟი, ხოლო სამჭედლო - სამსკნელიანი სამყაროს მოდელი, რომელიც დაკავშირებულია ციურ და მიწისქვეშა ცეცხლთან (გრდემლზე ურის დარტყმისას ატყორცნილი ვარსკვლავური ნაპერწკლები და ქურაში მოგიზგიზე ცეცხლი ზესკნელისა და ქვესკნელის სიმბოლოა, სამჭედლო - შუასკნელისა), მჭედელი - შაშვ არის შუამავალი ადამიანსა და ზეცაში და ქვესკნელში მობინადრე ღმერთებს შორის, ის აჭედებს ბედის ვარსკვლავებს ცაზე, მასზეა დამოკიდებული, რამდენად მყარად და დიდხანს დარჩება ეს ვარსკვლავი ცაზე, ახალი წლის ღამეს გრდემლზე ურის დარტყმის რიტუალიც ამას უკავშირდება. ამიტომ ლოცავს მთელი სოფელი მჭედლის მხარ-მკლავს, ამიტომ მიჰყავთ ვაჟები სამჭედლოში და შესთხოვენ მჭედელს კარგად მიაკრას ვარსკვლავი ცას, მის სახელზეც დაჰკრას ურო გრდემლზე, ამიტომ დარბიან ბავშვები კარდაკარ, რომ მოაგროვონ და სამჭედლოში მიიტანონ თითოეული ოჯახისაგან შემოწირული ხორაგი - სახეხუნჯო.

საინტერესოა, როგორ ხდება, რომ გუდაუთაში, რომელიც უფრო შორს არის მეგრელებით დასახლებული ადგილებიდან, ვიდრე ოჩამჩირე, საახალწლო მისტერიის საწყისის - მჭედელთა მხარ-მკლავის

აფხაზების საშობაო – საახალწლო რიტუალები და მისტერიები, ტერმინოლოგიისა და ლოცვის ფორმულების ჩათვლითაც კი, ძალიან ახლოა მეგრელთა წეს-ჩვეულებებთან და ეს უსათუოდ არის დასტური აფხაზების სრულიად განსაკუთრებული სიახლოვისა მეგრელებთან, რომელთა გულებზე გადის მათი გზა ზოგადქართული სამყაროსაკენ.



დალოცვის სახელი მეგრულ ხეშხვამას, ხეხუნჯობას უკავშირდება (ერთ-ერთი ვერსიით, ღეჯხვამას, ღორის საწირით ლოცვას) მაშინ, როდესაც შუასოფელში მისი სახელწოდებაა აჟირნიხვა - სამჭედლოს ლოცვა - ოჭკადურეშ ხვამა.

დღესასწაულის დადგომამდე მცირე ხნით ადრე ოჯახის ნაყარი (გუნორთი, გამნაჭყანი, გამნარყი), სახლიდან წასული ყველა წევრი ჯინჯუდეში, დიდმამისეულ, ძირ სახლში - ბუდეში ბრუნდება, რომ ოჯახურ დღესასწაულში დაიდოს წილი. ოჯახის თავს საგვარეულო სამჭედლოში მიჰყავს შესაწირი საქონელი. შაშვს - მჭედლების მფარველ ღვთაებას (წმინდა სოლომოს) მსხვერპლად თხას ან მამალს სწირავენ, ამასთან რიტუალური თხა უსათუოდ უნიშნო თეთრი უნდა იყოს). მამას უკან მიჰყვებიან შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ხოლო, თუ ფანიას (ოჯახის) უფროსი ახალგაზრდაა და ჯერ ასე არ გამრავლებულა, – ძმისშვილები, ბიძაშვილები, მათი შვილები (ბოლო დროს გამონაკლისის სახით - მამიდაშვილებიც, დისშვილებიც).

რადგანაც ხეჩხუამა - აჟირნიხვა ოჯახურ, საგვარეულო საკურთხეველში - სამჭედლოში, აჟირაში სრულდება მამის ხაზით ნათესავების მონაწილეობით, სხვა გვარის წარმომადგენლები - ოჯახის დედის, ცოლის და რძლების მხრიდან სახლში რჩებიან. სამჭედლოში ყველანი ქუდმოხდილნი და ქედდადრეკილნი შედიან და აუნთებელი სანთლებით ხელში გარს უვლიან გრდემლს. მლოცველი - მახვამერი ლოცვას აღუვლენს შაშვს.

ლოცვის გასრულების შემდეგ გარეთ გადიან, დაკლავენ შესაწირ პირუტყვს, უპირატესად თხას, აქვე დაკლავენ თითო ყვინჩილას ყველა მაკაცისთვის, და ისევ სამჭედლოში შედიან და ჯამში შეგროვებულ სამსხვერპლო სისხლს გრდემლს შეასხურებენ. მლოცველი მარცხენა ხელში იღებს ხარგას - თხილის წკირს, ზედ ჩამოცმული სამსხვერპლოს ნეკნებით, გულითა და ღვიძლით, პურის ნატეხით, მარჯვენა ხელში დაიჭერს ჭიქა ღვინოს და თავიდან წარმოთქვამს ლოცვას შაშვისადმი თხოვნით შეინიროს ზვარაკი. თითოეული მამაკაცი ანთებს სანთელს, რომელიც ოჯახის მამას წინასწარ აქვს მათთვის ჩამოქნილი, კიდევ ერთხელ შემოუვლის წრეს გრდემლის გარშემო და მორჩილად თავდახრილი დგას, სანამ სანთელი ჩაიწვება. ყველა დალევს თითო ჭიქა ღვინოს, შეაყოლებს თითო ლუკმას საზვარაკე ხონჩიდან და მხოლოდ ამის შემდეგ ბრუნდებიან სახლში, რომ საახალწლო სუფრას მიუსხდნენ.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ ღამეს ხდება შეგირდების კურთხევა ოსტატებად, ესეც შემოქმედის მარადიული ახალგაზრდობისა და განახლების ძალის სიმბოლური გამოხატულებაა.

შობის დილას, სამჭედლოში გამართული რიტუალის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, აფხაზები საახალწლო სუფრას უსხდებიან და პირველი ჭიქით, ჯამით (ატარით) ახალ წელს ულოცავენ ერთმანეთს: ჭაანბზიალა აშყუს ჭიც! სუფრაზე ძირითადად მშრალად მოხარშულ ან ბოლში გამოყვანილ საქონლის ხორცსა და ნკირზე შემწვარ ქათამს, ხაჭაპურს, ღვეზელს (აჩაშვ), შებოლილ და ახალ სულუგუნს, არიცვმგვალს (ნიგვზიანი მჭადი), აკვაკვარს (რიტუალური კვერი), აშვჩაპანს (გებჟალია, გადაზელილი ყველი), აბისთას (ღომი), აგვამჩაფას (საკლავის ნაცარწყალში გარეცხილი და მოხარშული, სიგრძივ დაჭრილი ნაწლავებისა და ფაშვის ნასერისაგან დაწნული გრეხილი), აჯიკას (მარილში ასვრემილი წიწაკის ფხვნილი), ტკბილეულიდან – აჯანჯუხს (ჯანჯუხა, ჩურჩხელა), აქალამიშს (ფელამუში), მაზვარს (თაფლიანი და ნიგვზიანი ქადა) დებენ. ღვინოებიდან უპირატესობას ანიჭებენ შინ დაყენებულ ღვინოს, წითელსაც და თეთრსაც… ამ ღამეს თავს ხდიან ახალ წელზე შესახელებულ რიტუალურ ქვევრს.

აფხაზური ტრადიციით, უწლოვანებს საუფროსო ტაბლაზე არაფერი ესაქმებათ, მათ ცალკე ტაბლასთან სვამენ და უფროსებზე ადრე აწვენენ. სხვათა შორის, საშობაო, საახალწლო და საერთოდ ზამთრის გრძელ ღამეებში ბავშვებს აფხაზური ზღაპრებიდან და ლეგენდებიდან ძირითადად უყვებიან ამბებს აცანებზე - ქონდრისკაცებზე, აცანგვარაში - ქონდრისკაცების სოფელში მოსულ ბამბის თოვლზე და თოვლის კაცზე, ეს უფრო ბიცოლების, ოჯახის რძლების საქმეა, რადგან ბაბუებს ასეთ ღამეებში ამისათვის არ სცალიათ, აფშუმარეი-ასასრეი (სტუმარ-მასპინძლობის) მთავარი პერსონაჟები არიან.

რაც შეეხება ახალგაზრდებს, ოჯახური სადღესასწაულო ვახშმის შემდეგ კარს გარეთ გადიან, რომ სხვებსაც მიულოცონ უკვე შემოსული ახალი წელი. სწორედ ახალგაზრდები შეადგენენ „მეალილოების“, მალანურების რიტუალური მსვლელობის ძირითად მონაწილეებს. დილით ოჯახის ერთ-ერთი წევრი, უპირატესად, უფროსი მამაკაცი ან უმცროსი ვაჟი, ბავშვი, რომელსაც ბედნიერი ფეხი აქვს, ასრულებს ფერხობის რიტუალს, რომელიც სხვადასხვა ვარიაციით იმეორებს მეგრელებისა და სხვა ქართველი ტომებისათვის დამახასიათებელ მსგავს რიტუალებს - ფერხვას, მეკვლეობას, მაკუჩხურობას, კუჩხიბედინერს.

აფხაზებში იციან სუროსა და თხილის ყვავილედის გამოკიდება სახლის წინკარში, ჯარგვლის, ბოსლის, სათხებოს (მარაკას), ნალიის ღიობებში, რომ ხვავი, ბარაქა და მარადმწვანე, უჭკნობი სიცოცხლე დაებედოს ოჯახს. რადგანაც ახალი წელი განახლების მომასწავებელია, საახალწლო რიტუალებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ენძელას, წელში გატეხილი ზამთრის სიმბოლოს, აუცილებელია საახალწლო სუფრაზე იდოს ენძელების თაიგული, ენძელებს მიმოფანტავენ ფაცხის მიწურ იატაკზეც, ზუსტად ისე, როგორც ბაიას – ბაიობისა და მიზიტხუს (მინდორთ-ბატონის) ობაზე (მეგრულად – დღარ ბაიობას). ახლადამოწვერილი ენძელების გამოძებნა თოვლში მოზარდებს ევალებათ. დეკემბრის მიწურულისთვის ბარის აფხაზეთში ენძელები იშვიათი არ არის, რადგან ზამთარი აქ არცთუ ძლიერ მკაცრია.

თხირიშ ქუჩუჩი - თხილის ჩიჩილაკი აფხაზებმაც იციან, მათი საზრისითაც ეს მზის სადგომი წმიდა ხეა, იქ დღემდე ლოცულობენ არასაზე - თხილის ხეზე, ბოლო დრომდე არსებობდა საღვთო თხილნარები. თხილის ხის თაყვანისცემა - აჯნიხვას, ამშაპის (მუხის ლოცვის) დონეზე იყო აყვანილი, საგანგებოდ აცხობდნენ მასზე შესახელებულ კვერებს, რომელთაც საწირი ხონჩითა და ანთებული სანთლებით დგამდნენ ხის ძირას და ისე შესთხოვდნენ მფარველობას. თხილის ჩიჩილაკი და ყვავილედი საფერხო ტაბლაზე სწორედ თხილის თაყვანისცემის გადმონაშთია, სხვათა შორის, შესახელებულ კვერებს ჩიჩილაკსაც უცხობენ და საფერხესთან შემოუწყობენ.

ამბობენ, რომ ახალი წლის საკრალურ ღამეს მიცვალებულთა სულები შინ ბრუნდებიან… (იქ, ჩვენს გადაბუგულ ნასახლარებზე ვიგულვოთ ახლობლები?)

აფხაზების ცხოვრებაში უმთავრესი მორალური კოდექსის - აფსუარას პოსტულატი არის პატიოსნება და თავის დაცვა აფხაშიარა - სირცხვილისაგან. შობა-ახალი წელი განახლების იმედებით არის სავსე. ფხაშაროუპ - სირცხვილია, რომ ესოდენ ახლობელმა ადამიანებმა უცხოს მივეცით ჩვენს შორის ჩადგომის უფლება. მაგრამ ალბათ დადგება დრო, როცა უხინჯო გულით ვეტყვით ერთმანეთს: ქირსა ბზიალა, ჭაანბზიალა აშყუს ჭიც! შობა-ახალ წელს გილოცავთ! ბედნიერებას გისუვებთ: ჰაიცგირგიოუ ჰნეილააიტ!

„ოდიშინიუსი“.

ვთხოვთ გულრიფშის ციმერებს თვითხილოვი ფენილ შეკვეთოთ!

ნოდარ დუმბაძე

ამას წინათ შოთა ნიშნიანიძის ლექსი „აფხაზური კანტატა“ წავიკითხე. ჩემი ბავშვობა, ყმაწვილკაცობა, კარგადმყოფობა და ავადმყოფობა გამახსენდა. ლექსმა ჯერ სიხარულით ამავსო, შემდეგ სევდა მომგვარა, სულ ბოლოს – შური. დიახ, კეთილი შურით ვწერ ამ წერილს.

– დალოცვილო, ეგრე როგორ უნდა გამოართვა კაცს სათქმელი სიტყვა პირიდან?!

„ჩემი მორდუ აფხაზეთში
იზრდებოდა თარბებთან,
ბადეს შლიდა და შვილდისრით
ტყეში ნადირს არბევდა…
ხვიჩას ზრდიდნენ აფხაზები
ჩაუქად და რაინდად,
ბეჭზე ორბი შეუფრინეს
„ურაიდა-რაიდა “.

ეს ხომ ჩემზეა დაწერილი, ეს ხომ მე ვარ?! ნესტორ ლაკობა, მისი ლამაზი მეუღლე სარია და მათი მერცხალივით ბიჭი რაუფი გამახსენდა. ჩემზე უფროსი იყო ცოტათი რაუფი. ფეხბურთის თამაშს მასწავლიდა ქუჩაში. ასფალტზე მუხლგადაყვლეფილს იოდს როგორ მასხამდა შეწუხებული სარია, ის მახსოვს. ისიც მახსოვს, როგორ მითათუნებდა ლოყაზე ხელს ნესტორი და როგორ მაწყნარებდა – გაჩუმდი, ვაჟკაცის ტირილი ვინ გაიგონაო. რაუფის დამნაშავე თვალებიც მახსოვს.

აფხაზი ბიძაჩემის, ზოსიმეს ხმამაღალი სიცილი და დეიდაჩემის, მაროს საყვედურიანი ხმა მესმის: ბიჭო, როდემდე უნდა იძახო სულ სარა ბარა ბზია ბზბოიტი (მე შენ მიყვარხარ), სხვა რამეც ისწავლე აფხაზურადო. თავად, ქმრის ხათრით ისეთი აფხაზური ისწავლა, რომ აფხაზურად საბავშვო მოთხრობა დაწერა და გამოაქვეყნა.



გულრიფშში

ცოდვას ვერ ვიტყვი, ბიძაჩემიც კარგი მოქართულე გახლდათ და აფხაზს ვერ ნახავთ, მეგრული რომ არ იცოდეს.

„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი
მოყმის გამზრდელო,
ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი
უსაქართველოდ.
მაგ ტკბილ კალთაში თავს ჩაგიდებ
და გავყუჩდები,
ლოცვით, მადლობით,
აღსრულებით მითრთის ტუჩები…“

მკვდარი მიმიტანეს სოხუმის მეორე საავადმყოფოში. თვალს ვახელ: ებრაელი, ბერძენი, სომეხი, რუსი, აფხაზი, ქართველი – ყველა ერთად მადგას თავზე. არ მეგონა, სიკვდილი თუ ასეთი ინტერნაციონალისტი იყო. ბურანში წასული გულიებს ვხედავ, შინკუბებს ვხედავ, პაპასკირებს ვხედავ, თარბებს ვხედავ… ლასურიების, ახუბების, ლომიების, კაპბების, ანჩაბაძეების, გოგუების ხმებს ვარჩევ… თბილისიდან გადმოცვენილ ექიმებს ვხედავ, ნათესავებს ვხედავ, სისხლსა და ხორცს ვხედავ ჩემსას, ვიცი, ამათი ბახალა ვარ და ამათ უნდა მიტირონ, მაგრამ ამათ რაღა უნდათ, უზარმაზარ ამრასავით (აფხ. მზესავით - ს.კ.) რომ მადგანან თავზე და მათბობენ?! ცოტა რომ მოვიკეთე, მოწყალების დები მიამბობდნენ რიგრიგობით:

– რომ მითხრეს, ნოდარ დუმბაძეაო, სულ დამეკარგა ვენა, ვერაფრით ვერ მივაგენი და ნემსი ვერ გაგიკეთეთ!

– რომ მითხრეს, ნოდარ დუმბაძეაო, იმ წუთში ვიპოვე ვენა და გაგიკეთეთ ნემსი, თორემ მაგას რა იპოვიდა, სულ არ გქონდათ წნევა!

ნოდარ დუმბაძე და მერაბ ბერძენიშვილი, გულრიფში

ამ რამდენიმე წლის წინათ გუდაუთაში ერთი კაცი ამიხირდა „ბენზოკალონკასთან“, გინდა თუ არა ურიგოდ უნდა გამიშვაო.

– რატომ? – ვეკითხები.

– იმიტომ, რომ აქაური ვარ და მე ასე მსურს, – ვატყობ, ნასვამია, აშკარად შარზეა და ჩხუბი უნდა, თან ვხედავ, მხარზე მარტო ჭინკა უზის, ანგელოზი არსად ჩანს. რა თქმა უნდა, არ წავეჩხუბე, ურიგოდ გავუშვი…

მოსკოვში ვარ, რესტორანში ვსხედვართ მე და ერთი იქაური ჩემი ნაცნობი. ოფიციანტმა შამპანური და შოკოლადი მოიტანა.

– ეს მოგართვეს! – მეუბნება.

– ვინ? – ვეკითხები.

– ვინაობა არ უთქვამს, აი, იმ ახალგაზრდამ! – გამახედა ოფიციანტმა.

რესტორნის კართან ლამაზი, ახოვანი ვაჟკაცი დავლანდე. ვხედავ, მხარზე ამასაც ჩემი ჭინკა და ანგელოზი უზის. მეღიმება.

– ვინ იყო? – მეკითხება თანამოსაუბრე.

– ჩემი აფხაზი მეგობრის ვაჟი! – ვუპასუხე.

– მერე რატომ თვითონ არ მოვიდა? – უკვირს ჩემს მეინახეს.

ახლა ამას როგორ ავუხსნა, რატომ არ მოვიდა აფხაზურ ოჯახში აღზრდილი ვაჟკაცი მამამისის ტოლ კაცთან, რატომ არ მომიჯდა გვერდით, რატომ არ გადადო ფეხი ფეხზე, რატომ გამომიცხადა ასე შორიდან სიყვარული და უხმოდ რატომ წავიდა?!

– ალბათ, ეჩქარებოდა! – ვუთხარი როყიოდ.

კიდევ ორი ოჩამჩირელი მოსწავლე გოგონა მაგონდება: ერთი – აფხაზი, მეორე – ქართველი. სანატორიუმში მინახულეს ავადმყოფი, თავიანთი ბაღის ფორთოხალი და ლიმონი მომიტანეს თანაკლასელების სახელით. ვიდრე ჩემთან იდგნენ, ძალიან ყოჩაღად ისხდნენ, მაგრამ თვალები ცრემლით ჰქონდათ სავსე. რომ წავიდნენ, აივნიდან გადავხედე. ამათ მხრებზე მხოლოდ ანგელოზები ესხდნენ და თავჩაქინდრულნი მიდიოდნენ, ჩემი ნახვით დაზაფრულებს, ალბათ, იმედი გადაუწყდათ, – ამას რა გადაარჩენსო?!

– გადავრჩი, ჩემო ძვირფასო გოგონებო, და თუ დამიჯერებთ, ის თქვენი მოტანილი ლიმონი და ფორთოხალი იმ ყველა ამერიკულ და გერმანულ წამალზე უფრო მომიხდა. მადლობელი ვარ, თქვენ შემოგევლოთ ჩემი სიცოცხლე.

სულ ახლახან ერთ ჩემს ისტორიკოს მეგობარს ვთხოვე, ჩვენი ისტორიული წარსულიდან აფხაზთა და ქართველთა ძმობის რაიმე ლამაზი ამბავი გაიხსენე-მეთქი. დიდხანს იფიქრა, მერე უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

– რა იყო? – ვკითხე გაკვირვებულმა.

– არძმობის ამბავი ვერ გავიხსენე და ის როგორღა გავიხსენო?! – ასე მიპასუხა.

ან ბრძენი კაცის მოგონილი სიცრუეა, ან მართლაც ასე იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა ასე უნდა იცოდნენ… და უნდა იცოდნენ ჩვენგან.

მე სულ მუდამ მახსოვს აკაკი წერეთლის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელისა და სხვათა შემდეგ კაცი როგორი სიფრთხილით უნდა შეეხოს აფხაზთა გულის სიმებს. ეს ჩემს აფხაზ ძმებსაც უნდა ახსოვდეთ, ქართველთა გულის სიმებს რომ შეეხებიან ხოლმე.

მიხარია, შოთა ნიშნიანიძე ეგზომ ლამაზად რომ შეეხო ჩვენი გულების საერთო სიმებს. მე რომ ახლა ამ წერილს ვწერ, უფრო თავისუფლად და ლაღად ვგრძნობ თავს, რადგან მწერალთა კავშირში აფხაზეთის საბჭოს თავმჯდომარე ვარ, უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აფხაზეთიდან გახლავართ არჩეული, აფხაზეთში მოვკვდი და დავიბადე ხელმეორედ, ლენინური პრემია რომ მივიღე, ათასი დეპეშა მომივიდა და აქედან ნახევარზე მეტი აფხაზეთიდან იყო. სხვა რომ არაფერი, სამადლობელი მეკუთვნის და ვამბობ კიდევაც. და ასეც რომ არ იყოს, სულაც შავი ზღვის პირას, აფხაზეთში მიდგას ოდა.

„ჩანს ოდაზე კოლხთა ღერბი,
ღერბი სიმინდ-ჯიქურის,
და აფხაზურ ცხენის ნალი
ავგაროზად მიკრული“.

შოთა ნიშნიანიძის ლექსის კითხვა რომ ჩავთავე, გულში უსაშველო სითბო ჩამეღვარა, ავდექი და ჩემს სიცოცხლეში პირველად მოვძებნე ლექსიკონში გულის განმარტება.

გული – უმთავრესი ნაწილი ცხოველთა შინაგანი აგებულებისა, რომლისაგანაც მოიქცევის სისხლი ყოველთავე ძარღვთა შინა, – ასე წერია ლექსიკონში.

აუ, რა დიდი ფერება და გაფრთხილება სჭირდება თურმე გულს.

„ჩემოდანი“

ჩვენ აფხაზეთი არ დაგვიწყებია და დღემდე ვოცნებობთ იქ დაბრუნებაზე...

ნატო კორსანტია

„ჩემოდანი“, ასე ჰქვია გიგა ლაპიაშვილის მოკლემეტრაჟიან ფილმს, რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტურმა კინოსტუდიამ (ხელმძღვანელი: ბორგატ მუტი) გადაიღო. „ჩვენ - კინოსტუდიას და სტუდენტებს არ დაგვიწყებია აფხაზეთი და დღემდე ვოცნებობთ იქ დაბრუნებაზე“, - ამბობს გიგა ლაპიაშვილი.

ფილმის პრეზენტაცია ამ ზაფხულს გერმანიაში უნდა გამართულიყო და ევროპას კიდევ ერთხელ უნდა გაეგო, რომ „ჩვენ დღემდე არ დგვიწყებია აფხაზეთი და დღემდე ვოცნებობთ იქ დაბრუნებაზე“ (და არა მხოლოდ ვოცნებობთ)...

ფილმის მთავარი „პერსონაჟი“, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემოდანია, რომელსაც ხანშიშესული ქალის ხელი (კადრში თავად ქალი არ ჩანს) დროებითი თავშესაფრის მისაღებში მიიტანს და ერთ კედელთან დადგამს... ქალს ხელზე ძველებური, როგორც კადრშიც ისმის - ბებიის ნაქონი - ბეჭედი უკეთია...

ჩემოდანიც ძველებურია, რამდენი ადამიანი გამორბოდა აფხაზეთიდან ზუსტად ასეთი ჩემოდნით... ვის რა მოჰქონდა და ვის რა....

ახლა კი ნეტა რა დევს ამ ჩემოდანში?

ჩემთვის მაგალითად იქ აფხაზეთიდან დევნილი რომელიმე ოჯახის ნივთები კი არა მხოლოდ, მთელი აფხაზეთის ამბები, მოგონებები, იქაური სული, სურნელი, ხმა, ფერი... და ზღვის შრიალია გამომწყვდეული...

მერე აქ, გამოღმაც რამდენი ფოთოლცვენა, წვიმა და ქარი გადაივლის მის თავზე, რამდენი მტვერი დაეყრება...

ფილმში მთელი მოქმედება მთავარი პერსონაჟის „ჩემოდნის“ ფონზე ვითარდება, სხვა პერსონაჟებისა კი მხოლოდ ფეხები გაკრთებიან... სწორედ „ფეხები“ გვიყვებიან ამ ოჯახის სიხარულსა თუ მწუხარებაზე - ქორწილი იქნება ეს, გასვენება თუ დაბადება... და კიდევ ძაღლი, რომელიც იმას, რაც ამ ოჯახში ხდება, ყეფით, წკავწკავით ან წკმუტუნით გამოხატავს (იმის მიხედვით, თუ რა ხდება)...

აქ დროებით იცხოვრებთო და იმ დღიდან დრო გაჩერდა თითქოს...

დრო გაჩერდა იქამდე, ვიდრე ერთ დღესაც ჩემოდნის სახელურზე პატარა ხელმა ისევ იმ ნაცნობი ძველებური ბეჭდით, არ გაიელვა...

„მატარებელი თბილისი-სოხუმი გადის მეორე ლიანდაგიდან“... ისმის ხმა და ახლაღა გამოჩნდება იმ ჩემოდნით მიმავალი პატარა გოგონას მთელი სილუეტი, რომელიც უკან მოიხედავს... და უზარმაზარ იმედს დაგიტოვებს... ან სულაც თან გაგიყოლიებს...

***P.S.** რეჟისორმა ფილმში ალბათ ბევრი სხვა ქვეტექსტიც ჩადო... რაც მე ასე დავინახე, თქვენ თქვენებურად დაინახავთ... საბოლოოდ კი მადლობა მას, რომ კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა და აგვალაპარაკა ასე მონატრებულ აფხაზეთზე...*

რას გვიყვება ნიკო ნიკოლაძის არქივში

მაია შონია

ჩვენამდე შემონახულ არქივებში ფოტოების, წერილებისა თუ ოფიციალური დოკუმენტების სახით მიმობნეული აფხაზეთის ისტორია ბევრ უცნობ ამბავს, პიროვნებას, ან ცნობილი მოვლენებისა და ადამიანების შესახებ აქამდე დაფარულ დეტალებს ინახავს. მათი შესწავლა აფხაზეთის წარსულის სურათებს სრულიად განსხვავებულად აღადგენს.

როგორ შენდებოდა აფხაზეთში ულამაზესი ქალაქები, როგორ იგეგმებოდა იქ გზების გაყვანა და ცნობილი შენობების აგება, როგორ იქცა იქაურობა ყველასთვის მიმზიდველ საკურორტო ზონად, ან როგორ ცხოვრობდნენ იქ არისტოკრატები, საზოგადო მოღვაწეები, მთავრები - ამ ამბებისადმი განსაკუთრებულ ინტერესზე, რომელიც, როგორც ჩანს, მაშინაც არსებობდა, ჩვენამდე მოღწეული არაერთი ფოტო, წერილი თუ მიმოწერა მეტყველებს. ამ მხრივ გამორჩეულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული დიდი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის, აღმშენებლობის განსაკუთრებული ნიქით დაჯილდოებული პიროვნების - ნიკო ნიკოლაძის უნიკალური არქივი. .

ნიკო ნიკოლაძე

რესტორანი გაგრიფში

რესტორანი გაგრიფში

წყლის მილების გაყვანა ჟოეკვარის ხეობიდან გაგრაში

წყლის მილების გაყვანა ჟოეკვარის ხეობიდან გაგრაში

პირადი არქივი და ბიბლიოთეკა, რომელიც ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეებმა ეროვნულ ბიბლიოთეკას 1942 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, დროებით, მტრისგან დასაცავად შეაფარეს, 1970 წელს საჩუქრად გადასცეს. „ჩვენი მშობლების მდიდარი არქივი მოვათავსეთ დიდ სკივრებში. იგი მიიღეს საჯარო ბიბლიოთეკის ფონდის სეიფში. როგორც კი მტერი კავკასიას დაემუქრა, ჩვენმა შემცირებულმა ოჯახმა ზემდგომი ორგანოებისაგან მიიღო ცნობა, რომ მამის არქივი პირველი კატეგორიის კულტურულ ღირებულებად იყო მიჩნეული და ამიტომ ომის საშიშროებისაგან მისი დაცვის მიზნით, წინადადება გვეძლეოდა, იგი ჩაგვებარებინა სახელმწიფოსათვის. ბედნიერები ვიყავით, რომ ჩვენზე ბევრად უფრო სანდო და ერთგულმა მომვლელებმა ჩაიბარეს ჩვენი მშობლების ძვირფასი განძი. ესენი იყვნენ ამ არქივის მომავალი დამმუშავებელნი და ნამდვილი „ჭირისუფალნი“. როცა ომი დამთავრდა, ჩემი მშობლების მემკვიდრეებმა გადავწყვიტეთ, ჩვენი არქივის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ნაწილი გადაგვეცა საყოველთაო გამოყენებისათვის ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ფონდში სამუდამოდ. შინ დაგვებრუნებინა მხოლოდ ვიწრო-ოჯახური მნიშვნელობის მასალა“,- წერს თავის მოგონებებში ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი რუსუდან ნიკოლაძე.

მას შემდეგ არქივმა სამუდამოდ დაიდო ბინა ქვეყნის მთავარი წიგნსაცავის ფონდში და უნიკალური მასალის დამუშავებაც დაიწყო.

„ფონდის დამუშავება და დაცვა ქართველოლოგიის განყოფილების მთავარ ბიბლიოგრაფს, ეროვნული ბიბლიოთეკის გამორჩეულ თანამშრომელს, თამარ მაჭავარიანს დაევალა. მან ფონდი აღწერა და კატალოგი გამოსაცემად მოამზადა. 1954 წელს დაიბეჭდა არქივის კატალოგის პირველი ნაწილი (1829-1917 წ.წ.), ხოლო მეორე ნაწილი (1917-1931 წ.წ.) - 1964 წელს. ეს გამოცემები საეტაპო მნიშვნელობის იყო, რადგან ეს იყო პირველი, მეცნიერულად დამუშავებული პირადი არქივის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა ქართულ ენაზე. ნიკო ნიკოლაძის არქივის ნაწილი საბჭოთა პერიოდში დამალული იყო, რადგან ის დემოკრატიულ რესპუბლიკას ეხებოდა. ბიბლიოთეკაშივე შენახული ეს ნაწილი 90-იან წლებში აღმოვაჩინეთ. აქ სხვა დოკუმენტებთან ერთად ფურცელზე დაბეჭდილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიც კი ვიპოვეთ. აქვე იყო აკაკი ხოშტარიას მიერ აკაკი წერეთლის პანაშვიდზე მისატანად დამზადებული ვერცხლის გვირგვინი. არქივი თავისი მნიშვნელობით მართლაც გამორჩეული და ყოვლისმომცველია, რადგან ის მეფის რუსეთის დროიდან საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდამდე მონაკვეთს, თითქმის მთელი საუკუნის ისტორიას მოიცავს. ამ ისტორიის ერთ-ერთი მთავარი გმირი კი თავად ნიკო ნიკოლაძე იყო“,- ამბობს ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი.

ნიკო ნიკოლაძის არქივი თემების მიხედვით ასე შეიძლება დაიყოს: „ლიტერატურული არქივი“„ფოთის ნავთსადგურის არქივი“„ნავთობის არქივი“„შავი ქვის ძველი არქივი“„სამადნო არქივი“„საბანკო არქივი“„ამიერკავკასიის რკინიგზის არქივი“„საგამომცემლო საქმიანობა“ და სხვ.

არქივი მრავალფეროვანია იმდენად, რამდენადაც საინტერესო და მრავალფეროვანი იყო თავად ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გეოგრაფია: ქუთაისი, დიდი ჯიხაიში, თბილისი, ფოთი, სანკტ-პეტერბურგი, პარიზი, ჟენევა, ბერლინი. ასევე მრავალრიცხოვანი

დაცული ფოტოები აფხაზეთზე

იყო მისი უაღრესად საინტერესო მეგობრებისა და ნაცნობების წრე, რომელთა შორის იყვნენ საქართველოსა და რუსეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები, ასევე დასავლეთ ევროპის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები: ეკატერინე გაბაშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, ვასილ პეტრიაშვილი, ნ. ჩერნიშევსკი, ნ. მოროზოვი, ლუი შოდენი, გუსტავ ლეფრანსე და სხვები. არქივის დიდი ნაწილი სწორედ მათთან მიმოწერის ამსახველი მასალებისა და ფოტოებისგან შედგება. ნიკო ნიკოლაძის მეუღლე ოლგა გურამიშვილი შვილებს, რუსუდანს და თამარს, საოჯახო არქივში დაცულ ფოტოებზე ასახული ადამიანების შესახებ უყვებოდა და ასე აცნობდა მათ არაერთ ცნობილ პიროვნებას. რუსუდანი და თამარი კი ამ ცნობებს ფოტოებს აწერდნენ. ასე აღმოჩნდა არქივში ფოტომასალა, რომელსაც ახლავს უაღრესად საინტერესო მინაწერები, ავტოგრაფები, ნაჩუქრობის წარწერები, რომლებიც მთელი ეპოქის ისტორიას ყვებიან.

არქივში დაცულ გამოჩენილ ადამიანთა და მოვლენათა ამსახველ ფოტოებს შორის არის აფხაზეთიც. ნიკო ნიკოლაძე, როგორც შემონახული მასალებიდან ჩანს, დაინტერესებული იყო აფხაზეთში მიმდინარე აღმშენებლობითი პროცესებით. მის არქივში დაცული ფოტოები სწორედ იმ პერიოდს ასახავს, როდესაც პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგი, რუსეთის მეფის ფინანსური მხარდაჭერით, გაგრის, როგორც საკურორტო ზონის მშენებლობას იწყებს. ამ პერიოდში აშენდა თავად ოლდენბურგის სასახლე, ცნობილი სასტუმრო და რესტორანი „გაგრიფში“,რომელიც დაშლილი სახით ნორვეგიიდან ჩამოიტანეს. არქივში ინახება „გაგრიფშის“ მშენებლობის პროცესის ამსახველი ფოტოები, რომელთაგან ერთერთს ნიკოლაძის მინაწერებიც კი ახლავს. ის თითქოს შენობის ცალკეული დეტალების ზომებს არკვევდა და რაღაცის გამოთვლას ცდილობდა. ასევე ინახება გზებისა და წყალმომარაგების სისტემის გაყვანის ამსახველი ფოტოები. ქალაქ ფოთის დამგეგმარებლისა და მშენებლისგან აფხაზეთში მიმდინარე მშენებლობებისადმი დიდი ინტერესი გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო.

ნიკო ნიკოლაძის არქივში ინახება ასევე აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის ვაჟის, პოეტისა და დრამატურგის, გიორგი შარვაშიძის მეუღლის, ელენე (ელო) ერასტის ასულ ანდრიევსკაიას (1846-1913 წ.წ.) ფოტო. ელენეს მამა, ერასტი სტეფანეს ძე ანდრიევსკი იყო მედიცინის დოქტორი, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო საბჭოს წევრი, სახელმწიფო მრჩეველი. ელენეს დედა კი იყო ქართველი თავადის, გიორგი თუმანოვის (თუმანიშვილი) ასული ბარბარე.

ნიკო ნიკოლაძის არქივში დაცულია ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია გიორგი შარვაშიძის ბიძაშვილი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის ძმის, ალექსანდრე შარვაშიძის შვილი ელისაბედ ალექსანდრეს ასული შარვაშიძე, რომელიც ცოლად გაჰყვა რევოლუციური საქმიანობისთვის მსჯავრდებულ მიხეილ (მიშო) ყიფიანს. 1878 წლის ივნისის ბოლოს მათ ჯვარი ქუთაისის საპატიმროს ეკლესიაში დაიწერეს. თითქმის მაშინვე მიშო ყიფიანი ეტაპით გაგზავნეს ციმბირში. მას თან გაჰყვა თანამოაზრე და ერთგული მეუღლეც. ფოტო საპატიმროში ჯვრისწერის შემდეგაა გადაღებული.

ნიკო ნიკოლაძის არქივში დაცული ფოტომასალა ამჟამად გაციფრებისა და შესწავლის პროცესშია. ამ მასალების შესწავლის აუცილებლობა კი სულ უფრო აქტუალური ხდება, რათა ენგურს გაღმა დარჩენილ საქართველოსთან დამაკავშირებელი ძაფები არ გაწყდეს. „თუ ჩვენ გვსურს ერთმანეთთან დაბრუნება და ერთად ცხოვრება, წარსულიდან საუკეთესო უნდა ვისწავლოთ. უნდა ვეძებოთ მნიშვნელოვანი და კარგი წუთები ერთად ყოფნისა და არა პირიქით - ეს არქივებიც ამაზე მოგვითხრობენ. ამიტომაც არის მათი გამომზეურება ასე მნიშვნელოვანი“,- ამბობს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე.

კაბინეტი ოლდენბურგის სასახლეში

კაბინეტი ოლდენბურგის სასახლეში

ელენე ანდრიევსკაია (გიორგი შერვაშიძის მეუღლე)



მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს-ძე ყიფიანი, ელისაბედ ალექსანდრეს ასული შერვაშიძე ქუთაისის ციხეში, 1876

აფხაზური ენის დღის აღსანიშნავად

ნინო გრიგოლია

2007 წლიდან ყოველ 27 ოქტომბერს საქართველოში აფხაზური ენის დღე აღინიშნება. საქართველოს კონსტიტუციით აფხაზურ ენას, ქართულთან ერთად, აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მინიჭებული. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება მის დაცვასა და განვითარებაზე მუდმივად ზრუნავს. 2015-2016 სასწავლო წლიდან აფხაზეთის რამდენიმე საჯარო სკოლაში აფხაზური ენა არჩევითი საგნის სახით ისწავლება.

ამავე სკოლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაფინანსებით, მოქმედებს აფხაზური ენის სასწავლო ჯგუფები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით, ამ დღის აღსანიშნავად აფხაზეთის საჯარო სკოლები 21-27 ოქტომბერს აფხაზური ენის კვირეულს ატარებენ. მიუხედავად პანდემიისა, ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა, კერძოდ: ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის №3 საჯარო სკოლაში აფხაზური ენის კვირეული გაიხსნა გამოფენით - ,,აფხაზეთი ჩვენი ტკივილი და მონატრება“. სკოლაში ნაწილობრივ ონლაინფორმატში, შემეცნებითი თვალსაზრისით, საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ჩატარდა საუბრები თემაზე „აფხაზური ენის დიალექტები“ და გაიმართა ვიქტორინა - „ყველაფერი აფხაზური ენის შესახებ“. აფხაზური ენის კვირეულის დახურვის დღეს კი გაიმართა შემოქმედებითი საღამო - „პოეზიის 5 წუთი აფხაზურ ენაზე“ და აფხაზური ენის შემსწავლელი ჯგუფის წევრებმა აფხაზურ ენაზე წაიკითხეს ცნობილი აფხაზი პოეტების ლექსები.

აფხაზეთის №2 საჯარო სკოლაში ონლაინფორმატში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები „აფხაზური და ქართული ლიტერატურის“ თაობაზე. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა დახატეს ნახატები თემაზე - „ჩემი აფხაზეთი“.

აფხაზეთის №5 საჯარო სკოლაში აფხაზური ენის დღის აღსანიშნავად სკოლის მოსწავლეებმა თემატური პრეზენტაციები წარმოადგინეს. ამასთანავე, კვირეულის ფარგლებში სკოლაში მოეწყო ნახატების გამოფენა - „ეომავლის აფხაზეთი“.

აფხაზეთის №1 საჯარო სკოლაში აფხაზური ენის კვირეულის ფარგლებში მოსწავლეებმა წარმოადგინეს ჩანაწერები და ნახატები მოტივით - „ჩვენ დავბრუნდებით“.

აფხაზეთის №14 საჯარო სკოლაში, კვირეულის ფარგლებში, მოეწყო აფხაზური ენისა და ისტორიის კვლევის ამსახველი მასალების გამოფენა. ამასთანავე, მოსწავლეებმა, ნაწილობრივ დისტანციურად, მიიღეს ინფორმაცია აფხაზური დამწერლობის, მისი ისტორიისა და ქართულ-აფხაზური საერთო წარსულის შესახებ.

ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის №11 საჯარო სკოლაში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მონაწილეობით მოეწყო აფხაზური კალიგრაფიის კონკურსი. ამავდროულად, ყველა კლასში, ნაწილობრივ დისტანციურად, ჩატარდა კლასის საათი თემაზე - „აფხაზურ-ქართული ურთიერთობები ისტორიულ წარსულში“. პედაგოგებმა მოსწავლეებს მიაწოდეს ინფორმაცია აფხაზური ენის წარმოშობასა და განვითარებაზე. კვირეულის შემაჯამებელ ღონისძიებაზე აფხაზური ენის ჯგუფის წევრებს შორის აფხაზური ენის ცოდნის შეფასების მიზნით მოეწყო კონკურსი.

თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლაში აფხაზური ენის კვირეული გაიხსნა ფილმის „გაღმა ნაპირის“ ჩვენებით. სკოლის ბიბლიოთეკაში გაიმართა მოსწავლეთა კონფერენცია თემაზე: „ქართულ-აფხაზური ურთიერთობები“. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით სკოლაში მოეწყო ნახატების გამოფენა - „შემოდგომა აფხაზეთში“. კვირეულის ბოლოს გაიმართა კონცერტი ღია ცის ქვეშ, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ანსამბლი „ოცნება“ და აფხაზური ენის ჯგუფის წევრები, რომლებმაც ქართველ პოეტთა შემოქმედება ქართულ-აფხაზურ ენაზე წაიკითხეს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ აფხაზური ენის კვირეულს აფხაზეთის თითქმის ყველა საჯარო სკოლა გამოეხმაურა.

ჰეპლის მსგავსი ნიჟარები უხვადაა მიმოფანტული შავი ზღვის სანაპიროებზე, მაგრამ ავტორი ამ წიგნსაც მშობლიური აფხაზეთით იწყებს, იქაურ დონაქსებს გულისხმობს. უკმარისობაშიც იმედია უმთავრესი: მიწის წვეთოვანია წვიმა, გადაღებილია ოთახის კედლები და გაზაფხულის მოსვლას ველით. ათი წლის წინ დაწერილ ლექსებს აერთიანებს კვირბი.
NARCOSIS – რობერტ მესხის ახალი პოეტური კრებულია მკითხველის წინაშე, ახალი ლექსებით, ახალი სახეებით, ახალი პალიტრით...
წიგნის რედაქტორია ნუკრი ბერეთელი



რობერტ მესხი

***

ყველა იმედმა მიმატოვა –
(მოერღვა სიზმარს აბრეშუმის მკრთალი არშია),
მეც მივატოვე, ამიტომაც
ბარი ბარში ვართ!

შემინდე, ცაო, ვერ ვიპოვე ჩემი სამერცხლე,
ხელს ნუ გამიშვებ, თუ არ გინდა,
ძვლები დამემსხვრეს!

***

როგორ მძლავრობენ საათები –
გამაყრუებლად რაკუნობენ მწვანე ოთახში,
ეს სანთელიც როგორ შიშინებს!
მექანიკურად ვფურცლავ ალბომს,
წაშლილ თარიღებს...
შენ გიჭირავს თეთრი შინშილა
და ხმას არ იღებ.

***

შენი ბრაილი, –
ნაპირთან ახლოს გაბნეული ცერასტოდერმა.
რა იცის ხელმა
ამ უძირო,
უძღებ სტომაქზე? –
ხან გემებს ყლაპავ,
ხან დედოზარს ლურჯი მონასტრის.
ჩემი ქალაქი,
ჩემი ერთი ციცქნა დონაქსი,
რომ მიუგდე ტალღის ეშაფოტს,
დამიბრუნე, შავო ვეშაპო!

***

მზესუმზირებიც არსებობენ,
ომს და გრიგალს გარიდებულნი,
ძირფესვიანად ამოთხრილნი
(მე, მაგალითად),
გადარგვის მერე მოგრძო ჯოხს რომ შეუყენებენ,
ვინძლო, წელში არ გადატყდესო,
გულუხვად რწყავენ,
(არის წყალი – წყურვილს არ გიკლავს!)
ფოთლები რატომ გაყვითლდაო ბაიასავით,
ანდა, ტანს რად ვერ იკავებსო,
ჯერ ხომ ამდენი ხანიაო ფოთოლცვენამდე?!
და ძალად, ძალად,
მონოტონურად – გამოფიტულ გულისფიცარზე...
თვალი თითქოს ოდნავ იღება
და მნათობს მისდევს.
(ყველა მნათობი ზღვაში ჩადის დედამიწაზე.
ხმელეთი მხოლოდ ის ბელტია,
რომელზეც დგახარ)
და შენი ღერძი – გამრუდებული ხერხემალი –
მზეს რომ გახედე დასავლეთით
და ვერ მობრუნდი!
...ახლა კი თვალებს აგიხვევენ თავისკვეთამდე,
რომ ჭილყვავებმა არ დაკორტნონ,
რომ არ დაცვივდეს.
დაცვენილ თვალებს რა მოძებნის?! –
ვხედავ აგერ და,
მაინც დავალ
ხელისცეცებით.

***

გავკადნიერდი, რა ხანია ურცხვად გიცქერი,
გატყდება ყელზე გულსაკიდი – მწუხრის გიშერი.

ჩამოვიპარე, როგორც იქნა, მხოლოდ სამი დღით,
ავად ვარ – მარჯნის სამელნეში ნავი დამიდის.

ვინ ორაკულმა შეგვაჩვენა ასე, ევქსინოს,
შენ სულ შორს იყო, მე კი სული კბილით მეჭიროს!

***

„ქვა ძძინარე ღმერთია"
(ოშო)

ბრტყელ ქვას ვეძებდი, –
მეგონა, ცურვით მიაღწევდა თეთრ ხომალდამდე,
ჩამავალ მზეს გადაუსწრებდა!
(იქ ახლა ბაბუს მარმარილოც მისაგნებია...)
ასე ყოფილა – ქვის ძებნაა მხოლოდ და მხოლოდ,
მადლის დასადებ ქვას რომ ნახავ,
დადე,
წადი,
სხვა ქვა ეძებე!

რენე

არიან ლამაზი მიცვალებულები –
არანაირი მაკიაჟი და ბალზამი,
შუბლი, როგორც ღუზა,
მძიმე ჯაჭვით ლაჟვარდოვანი ხომალდებისკენ,
წვერი – გადახნული მინა –
ჩათესავ სიმინდს და ამოვა.

ასე იწვა რენე –
პირით ვლაქერნის ღვთისმშობლისკენ
და ღვთისმშობელი იყო მწუხარე,
ჯვარცმის დღესავით მწუხარე და
„გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ,
უფალი შენთანა,
კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის
და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა..."
და კიდევ რამდენ შვილს გაგიკრავენ ჯვარზე!..
ასე იწვა რენე და ვიფიქრე:
ჩაიცვამდა ამ პიჯაკს თუ არა?
წაიღებდა ბერეტს თუ არა?
შემნიშნავდა გზაზე თუ არა?..

და გზა იყო ჩხრიალა ასპიტის მსგავსი
და ქვაფენილი – აჯაგრული ხორკლი!

*

არიან მშვიდი მიცვალებულები –
ვითომც არაფერი მომხდარიყოს,
ოფლი შეიშრეს და... დანვნენ.

სასრიყვა

სასრიყვა, ქვა ხარ და... (მუხლი და მარწუხი),
მიეგდე კუთხეში, ძმებს და დას აწუხებ.

გინდ გულით გაათბე, გინდ ცხელი ვარსკვლავით,
ხომ ხედავ, შენები ძუის ყულფს ნასკვავენ.

შენ კი, ქვად ნაშობო, ძმაც გიყვარს, დაც გიყვარს,
სიყვარულს ქვის მეტი რა მოაქვს, სასრიყვა?

რას მეტყვი მიწაზე, ათანეᲂ გვაშაზე,
დედაა – დაგლოცავს, დაგწყევლის! – მაშ ასე:

იფხიზლე! მოჭიმეს ნართებმა ისრები –
ქვის ძეო, ქვა ხარ და ქვით გაისრისები!

მაგრამ სხვა ძალა აქვს ავ სიტყვას, გესლიანს,
და გუნდაც დღეიდან ფუტკრების მწყემსია.

ვის უნდა, სასრიყვავ, ეგ შენი სიკეთე?! –
წაიღე სტვირი და... შიშველ მუხლს მიხედე!

ვანკუვერი

ვნახე კუნძული ვანკუვერი –
ორაგულები,
სიზიფესავით რომ ადიან წყალვარდნილებზე
და იქვე შავი ბარიბალი ანუ სიკვდილი.
ვნახე კუნძული ვანკუვერი
და მომაგონდა მერხეული,
ჩემი კოდორი,
სათავისკენ გაბმული ჯაჭვი...
განა ერთი დღით,
მთელი კვირით,
თორმეტი კვირით,
გზადაგზა რომ ყრის
ძვირფას საგნებს,
ვითომ ამ ქვირითს
არ აკენკავენ ფასკუნჯები,
არ შეჭამს დალი...
ვნახე კუნძული ვანკუვერი
და ისე მკრთალი ალი შერჩა ნაპირთან ფოსფორს –
მომსპო!

***

დიდი ხანია არ გწვევივარ,
რა დამახვედრე? -
შარშანდელი ნეშო და ხავსი,
უცხო ხავერდი,
ბილიკები, ფარდაგის მსგავსი.

ნეტავ, ცის სინზე
შეერწყას ცისკრის მინანქარი
ღამის მელქიორს...
მე ქარვად ვიქცე, -
შიშველ ყელზე შემოგეხვიო.

***

მეგონა, ჩანდი ჰორიზონტზე, მაგრამ განქარდი
შენც მირაჟივით. ჩანს, მღალატობს ინტუიცია,
და დავრჩი ასე, ფურცელთან და
დახრულ ფანქართან
და ისევ ლექსი არ მასვენებს... შინ თუ იციან,
მხოლოდ ის, რომ ვარ ერთადერთი ასოთამწყობი
ამ ძველ სტამბაში... (კალენდარზე –
ზღვა და „გაგრიფში"),
ვისაც დაზგისთვის აღარ შერჩა ტყვია, სამყოფი,
რადგანაც გულში ჩაიღვარა, როგორც ყალიბში.

ევკალიპტები

ის, რაც წლების წინ გავასხვისე, ევკალიპტები,
დღეს ფოთოლ-ფოთოლ უნდა ვიყიდო.
– რა ბრძანეთ? – უცებ მეკითხება აფთიაქარი.
მე შორს ვარ (ფიქრით), ის კი – აქ არის
და რჩევას მაძლევს:
მოვხარშო ორთქლზე,
ჩაის კოვზით ვასვა პატარებს...
– გმადლობთ, – ვპასუხობ, –
ამ ხმელ ფოთლებს ჯიბით ვატარებ.

***

ფიქრით გადავწვდი სანაპიროს დიოსკურების,
თუ ვცდილობ, ნამი მაცოცხლებელ
წყაროდ ვაქციო?
აღსრულდა თითქოს საიდუმლო
მღვდელმსახურება –
კურთხევის ლოცვა, ომფორი და ბოლოს
– „აქსიოს"!
დიდხანს ვიდექი ჩაბნელებულ სატრაპეზოსთან,
როგორც ნაღვენთით ავსებული
ვერცხლის შანდალი,
მერე დავტოვე სასაფლაო, ტაძრის ეზო და
ზღვის მლაშე ბილიკს დავადექი
მუხლის კანკალით.

ნონა

მივიღე შენი საჩუქარი,
ორთავე ხელით,
ტყუპებივით წამოვიყვანე –
„ამრა" და „ამზა".

გავხსენი ერთი, ჩამოვასხი,
განა ჭიქებში,
სათითეში,
როგორც მირონი.
რა ძუნწი ხარო, – მეგობრებმა,
ტუჩები მაინც გავისველოთ,
გაიმეტეო!

ეს ჩემი, შენი, ჩვენი, ნონა,
ჩვენი აფსნია
და მენანება!

მეორე ბოთლი შევინახე –
ჩემი მკერდისთვის,
ჩემი ძისთვის,
ჩემი დედისთვის!

და აღარ ვიცი,
კიდევ რამდენით დაძველდება –
თვეობით,
წლობით...
იმ შემთხვევაშიც,
თუ ვერ დავხვდი ნაპირთან ხომალდს,
გახსოვდეს დობილს,
მესხები რომ ვართ!

სიკრიალური ქარი

„გაუცხოება ჰაერის გაიშვიათებასავითაა,
თანდათან გახრჩობს და ბოლოს
მოგგუდავს კიდეც..." (მესიჯიდან)

რა ხდება შენს თავს? – მეკითხება
ახლა ფანჯარა,
სადაც ტექსტი უნდა ავკრიფო.
ღმერთო! მაშრიყით მაღრიბამდე
რაც არ მომხდარა, რა უნდა მოხდეს?!
უბრალოდ, ხორხთან... რკინის მარწუხს
რომ წაგიჭერენ
და ვერ ამოთქვამ, იმგვარად მადგას ორი სიტყვა –
„ჩემი ქალაქი" – და ვიცი,
როცა ცას ავხედავ უკანასკნელად,
იტყვიან, ბოლო მოუღოო უმკარისობამ.
ქალაქის? – არა!
მას სხვა გრაფის გასწვრივ ჩაწერენ.

მაგული

მაგული წავიდა და ვიფიქრე,
რომ მოჯარდებიან საცაა მისი
ფოტოალბომებისა და
მითაჟამინდელი ჟურნალების პერსონაჟები,
ცოცხლებთან
და ჯერ კიდევ ცოცხლებთან ერთად,
აავსებენ სადარბაზოს
(ვიწრო კიბეზე შექმნილი საათნახევრიანი საცობი)
და მოჰყვებიან ერთმანეთის კოცნას
შუა ოთახში,
და მხოლოდ ზოგიერთი მათგანი შენიშნავს
ულურჯეს ღიმილს,
რომლითაც სოხუმელი მიცვალებულები იღიმიან.

მაგული წავიდა და ვიფიქრე,
რომ უკვე სრულიად ზედმეტია მომვლელის
დაქირავება,
„მაგთიფიქსით" რეკვა
და ელექტროგამათბობლის დღედაღამ ჩართვა,
პირიქით – ახლა სიცივეა საჭირო.

ხეში წყალი ჩადგაო და, გულშიც წყალი ჩადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო და, გულმა მეტი სადღაო?!
სეპტუაგინტა –
ხეებს რომ კათეტერები აქვთ და დრენაჟები,
ხეებმა რომ წყლის ამოტუმბვა იციან!
(ქირურგების სიზმარი!)

მაგული წავიდა და ვიფიქრე,
რომ კარგი იქნებოდა მის საფლავზე
ერთი ევკალიპტის,
ცისფერი ნაძვის ან ბიჭვინთის ფიჭვის დარგვა,
თუკი იხარებდა...
დღეს ხომ ხეების ახალი წელია.

მიწა

მოკვდა და...
მთელი დანაზოგი მიწაში მისცა.
ეკლესიასთან,
იქ, სადაც საძმო საფლავია.
სადაც ხშირად ქარი ამოდის,
მარტია თუ სექტემბერია,
არ არჩევს ქარი საფლავის ქვებს
– მტვერი მტვერია!
ალალი იყო სამი პეშვი ენგურს გაღმიდან,
ვიღაცა რომ გულზე აყრიდა.
.....
ასეთია მიწის თვისება –
ზოგჯერ უფასო ფასიანში აიგლისება.

სიყვარული ყოველთვის

როი აბუსელიძე

მიწის პოეტის მსხვერპლი

I

მიწის პოეტი იყო მამაჩემი, კრიალოსანით ხელში,
კავით ხელში, ხელში წერაქვით...
ყოველ გაზაფხულს ის თესდა ლოცვებს,
ყვავილებს, სიმინდს, ხორბალს და ხეხილს...
მიწის პოეტი იყო მამაჩემი, პოეტი – გლეხი.
იცოდა მამამ მიწის ფასი,
მისი ცრემლით და მისი ოფლით მორწყული ბაღი
მუდამ ყვაოდა.
ხოლო მზის შუქზე სულ ბრწყინავდა ეზო, სანახი,
კარგად იცნობდა სავსე მთვარეს,
ნახევარმთვარეს
და რგავდა ვენახს მთვარის კარნახით.
იცოდა მამამ ღვინის მადლი, იცოდა გემო,
მშობლების გამო სულ სხვა გზებს
და ფიქრებს უსმინა,
თუმც ვერავინ ვერ დაასწრებდა
სადღეგრძელოს თქმას მამას, მუსლიმანს.
ის ახარებდა ჩვენს ეზოში თითქმის ყველა ხილს,
მხოლოდ მსხალმა ვერ გაიხარა და სულ ამბობდა,
მსხვერპლს მოითხოვსო...
მწველ და უნაზეს – მზის სხივს ნაწნავში
მოიმწყვდევდა იმ დროს ვენახი
და ვსაუბრობდით, დუმბაძეზე, „ხაზარულაზე“.
მზის ამოსვლამდე იღვიძებდა მამა ყოველთვის,
სიმინდის მარცვლებს ამოკრეფდა თხელი
ვარცლიდან
და სანამ ირგვლივ მოაპნევდა
ასი წლის ფოცხით,
მზისგან დაკოჟრილ, დამწვარ მიწას
ზურგს უვარცხნიდა.

II

„მეც ვბერდები და ძაღლიც ბერდებაო,
ჰაუ, რანაირად თენდებაო“ – შეხე,
ვიტყოდი ლებანიძეს და მიპასუხებდა,
– შვილო, რიჟრაჟით ვერ გააოცებო გლეხებს...
მიწის პოეტი იყო მამაჩემი,
მისი ბელტივით დამსკდარი ხელებიდან
ამოდიოდა შემოდგომა,
მის თითებს ჰქონდა ყურძნის სუნი და ფიჭის გემო,
ბრწყინავდა ეზო, სექტემბრებით, ვაზით, ნიათით,
შემდეგ იწყებდა მამა ლოცვას, მეც ვლოცულობდი...
და ხის ოდაში ეტეოდა – სახარება და აიათი...
მოჭრილი სიმინდის ორთქლით გაბრუებულ
ჩიტებს ენკენისთვე
ფრთხილად მიჰქონდათ თბილი ქვეყნებისკენ.
მიწის პოეტი იყო მამაჩემი,
ყოველ გაზაფხულს ის იწყებდა წერას სულ რაღაც
ასიოდ წყრთაზე...
წერდა უფლისთვის, წერდა თავისთვის,
ჩვენ გამო წერდა,
რომ წაგვეკითხა მიწის ლექსი მამის ხელებში,
რომ მოგვეყოლა თავად მამებს
შვილებისთვის და
ეს პოეზია ყოფილიყო უპირველესი.
პოეტი იყო მამაჩემი!
მისი სიკვდილი არ ყოფილა საყოველთაო,
არც ტყე ტიროდა, არც ცა ქუხდა, არც გასცდენია –
პატარა სოფელს ეს სიკვდილი,
ცრემლი, გლოვის ხმა,
მაგრამ მიწამაც აღიარა, ალბათ, პოეტად –
ჩვენთან, ეზოში, მსხლის ხემ მოისხა...

ბექა ახალაია

ძველ წნული

რას მოყვებიან?! მხოლოდ იმას, რაც არ ყოფილა,
არ შეჰყვებიან გამოუვალ ხსოვნის ლაბირინთს,
სადაც ყველა ქვა სიმართლეა, თუმცა ნაპირი
არ მოსჩანს, მაგრამ საიდანაც ცივმა ორპირმა
ყალბი ბგერები მოხვეტა და გარეთ გაფანტა.
ჩვენ კი ვერასდროს გავიხსენებთ უემოციოდ,
როგორ ჩამოდის ფერდობიდან ცალი გზაწვრილი,
დგანან ხეები, ერთურთისკენ ხელებგაწვდილი,
არის კედელიც, რომ მიეყრდნო და რომ მოწიო,
მერე ბარბაცით გაიარო ღამის ქალაქში.
რას მოყვებიან?! მხოლოდ იმას, როგორ გვიყვარდა,
როგორ ვტიროდით მაშინაც კი, როცა ვმღეროდით,
როცა ვწერდით და არაყს ვსვამდით, როგორ ველოდით
რაღაც სასწაულს, ვისხედით და ვსვამდით დილამდე,
სასწაული კი არასოდეს გამოჩენილა.
რას მოყვებიან?! მხოლოდ იმას, როგორ გვიყვარდა,
როგორ შეგვეძლო ცხოვრება და თავდავიწყება,
იმას არავინ გაიხსენებს, როგორ იწყება
დაშლა და ერთხელ სული როგორ გადაიკარგა
სამოგზაუროდ და კარგა ხანს აღარ დაბრუნდა.
ჩვენ კი ვერასდროს დავივიწყებთ,
როგორ ვიწექით,
ამორთმეული სიცოცხლით და ამორთმეული
სიყვარულით და ყველაფრით მკვდარი სხეული
ჯერ კიდევ გრძნობდა გადალახულ
მანძილს მიწამდე,
რომელსაც ისევ ემჩნეოდა სისხლის ლაქები.
რას მოყვებიან?! მხოლოდ იმას, რაც არ ყოფილა.

„რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია",- გვასწავლიდა ბრძენი წინაპარი.

„სიყვარული აგვამაღლებსო, ეუვანივით რეკდა ქართველი კაცის სულში მრავალი საუკუნე. სიყვარულმა ანუ უფალმა გამოატარა ქართველი ერი ჟამთა ქარტეხილებს და დღემდე მოიყვანა.

სამშობლო, მისი წარსული და მომავალი, ტკივილად ქცეული აფხაზეთი და სამაჩაბლო, მშვიდობა, სიყვარული - აი, ახალგაზრდა პოეტთა საკონკურსო ლექსების თემა. ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, უთუოდ მოიხიბლება ახალგაზრდების თავანკარა პოეზიით, ახალგაზრდებისა, დიდი ქართული პოეტური ტრადიციების ერთგულნიც რომ არიან და ამავდროულად, ახერხებენ, სიახლეთა ძიებით, საკუთარი, მხოლოდ მათთვის ჩვეული გზებით სიარულს.

მაყვალა გონაშვილი

ივდითი კვიტია

(ივდო ოტობარი)

I. ***

წელს ალბათ ვერა, გაისად მოვალ,
დავპირდი ფუძის ერთგულ მურიას
დამელოდება, დაბერდა თორემ,
დღეები დღეებს ფერხულს უვლიან,
ანუ მესამე წელი სრულდება,
რაც ყურმილს მიღმა მოწყენით მიყეფს
და ქართველობას არ აქვს უფლება,
მტკაველი მიწაც რომ უცხოს მისცეს.
ზეცა წვიმისგან არ გახუნდება,
თუმცა ღრუბლები ცაზე რჩებიან,
ასე შორიდან მელაციცება ჩემი ბებია...
და ძილის წინაც მოსაყოლ ზღაპრებს
ბაბუა გულში დარდად ინახავს,
ბავშვობა, როგორც უეკლო ვარდი
გონებამ მაინც შემოინახა.
ცხოვრების სკოლა მავიწყებს ღიმილს,
მონატრებისგან ცრემლით ვმარხულობ,
არ მინდა მერქვას ოდესმე დიდი,
თუკი დავრჩები უგაზაფხულოდ.

2. ბაბუას

ბა, ისევ ის ვარ, ის სოფლელი პატარა გოგო,
სულ აღმა-დაღმა რომ დასდევდა
ჩიტებს და პეპლებს,
ბაბუაწვერას ჩაუთქვამდა ხანდახან სურვილს
ასრულდებაო, გულუბრყვილოდ სჯეროდა მერე.
ბა, ახლა ხშირად მესიზმრება ჩვენი სოფელი,
ნუგეშად რჩება ეს მზისგული ბაღის ბაია
და ძველებურად არ კითხულობ, რით ვერ მოვედი,
შენთან, ვერ ვნახე ჩემი თბილი ოტობაია.
სადაც ვისწავლე სიყვარული ასე გიჟურად
გაღმერთებამდე, ამავე დროს გლეჯამდე ნერვის,
ვტირი, ამ ცრემლებს სიტყვებივით პირში ვიგუბებ
ზღაპრებს, რომლებსაც მიყვებოდი
შეცვლიათ ფერი.
გავზრდილვარ, ბაბუ, ტკივილებზე
ვეღარ გიამბობ,
ადრე ხომ შენთან მოვდიოდი წაქცევის მერე,
შენ მუდამ კოცნით მიამებდი მუხლზე იარებს,
თვალებში სხივებს მიბრუნებდი წვიმების შემდეგ,
ახლა კი ქალაქს ვეგუები ყრუს, თან შფოთიანს,
სადაც არავის არ ვჭირდები ასე უბრალო.
ჩემი ყვირილი ენგურამდე ქარებს თუ მიაქვთ
იქნება შეძლო ფუძის უფალს ჩემზე უთხრა, რომ:
უძღებ შვილივით დამაბრუნოს, თორემ საცაა,
შორი-შორ სუნთქვას რთულად, მაგრამ
მაინც ვეჩვევით
და ეს ცხოვრება მონატრების გარდა არც რაა,
რომ ვაღიაროთ, ვეღარ შველის ტკივილს ლექსები.
ბა, ისევ ის ვარ, მიყვარხარ და მალე შევხვდებით.

3. ბებოს

ბებო, ხომ იცი, რომ დედაზე უფრო ტკბილია,
ვისაც განგებით დაერქმევა შენი გამზდელი.
ჰოდა, ამიტომ, ენგურს გაღმა მიწის შვილი ვარ,
სამეგრელო კი მუდამ რჩება ერთით ნაკლები,
რადგან არასდროს მოუცია სუნთქვაზე მეტი,
ვერ შემიყვარა, როგორც მისი ერთ-ერთი პირმშო
აფხაზეთი კი დღემდე არის ჩემი საყრდენი,
თუმცა ღიმილის გარდა მაინც არაფერს ითხოვს

ჩემგან და ამით გემსგავსება, გზები შორია
მე ჩუმად ვკინძავ სამკაულად მოსვლის იმედებს
სულ კარს ვუყურებ, შემოაღებ ასე მგონია
თეთრ ღამეებზე უძილობას მოვიმიზეზებ.
რათა დავმალო თვალს მომდგარი ცრემლის კოცნები,
ვაი, თუ დედამ შემინიშნოს, არ მსურს აღელდეს,
მას საფიქრალად უცნაური შვილიც ეყოფა,
ათასში ერთხელ ტკივილებს რომ გადმოალაგებს
ზის და დუმს, სანამ არ
დარეკავს ბებო სოფლიდან
ვგრძნობ, რომ ჩემს ხმაში თითო
ბზარის მიზეზებს ეძებ.
გულში ჩამიკრავ ჩვეულებრივ
წასვლა-მოსვლისას,
ათასნაირად მლოცავ, ზრუნავ, ხან წუხარ ჩემზე,
რომ არ ვისვენებ, ავად ვარ თუ არა მიშავს რა
გაფორიაქებს, როცა სახლში გვიან ვბრუნდები
ვხვდები კედლების განგრევაა დიდი ,,მიქარვა“
გადავიტყავე ხელისგული, შუბლი, მუხლები...
მაგრამ ავიტან ოღონდ კიდევ დიდხანს გავიგო,
,,ქუგგალე“ თუნდაც ყურმილს მიღმა
აფხაზეთიდან,
ვიტყვი წაქცევა მტკივნეული სულაც არ იყო,
სანამ ხარ, ჩემო, და ერთმანეთს ვყავართ, ბებია.

ქეთევან ნათელაძე

შენ რომ გყვარებოდი

იქნებ ამ დილითაც მზე უჩანდეს
ცას და ისე დათბეს – რომ გიყვარდა...
შენ რომ გყვარებოდი, ჩემს ქუჩამდე
ერთი ქუჩა მაინც მოგიყვანდა.

ქალაქს დეკემბერი შემოჰქონდა,
მე ვარ ისეთივე აზიატი,
მახსოვს ჭორფლიანი შემოდგომა,
იყო ზამთრისწინა ხასიათი

ჩვენი... ჰოდა, ახლა დანანებით
გულში აღარყოფნის სურვილია,
რადგან ეს ხიდებიც, მანქანებიც,
მთელი ეს ქალაქიც ტყუილია!

რადგან შემაზიზღეს სახელები
უშნო სულებმა და ეზოებმა...
წავალ უსიტყვებოდ და ხელები
შენი სამუდამოდ მეხსომება.

გწამდეს, ძნელია, რომ სულ მახსოვდე,
აქ ხომ ეჭვი ღმერთშიც ეპარებათ,
მე ნუ გამიხსენებ ნურასოდეს
ქალთან, რომელიც შენ გეყვარება...
სისხლიც აღარ მოდის მაჯებიდან,
როცა ყველა განცდა ნული არი,
დუმილს ახმოვანებს ფანჯრებიდან,
ნლობით ხელუხლები როიალი.

და მხოლოდ ფოთლების ხმაურია,
ჩემი აქ დარჩენა მერთულება,
უმწეოდ სუსტი და ქალურია,
ჩემი ყოვლისშემძლე ერთგულება

შენთვის უანგაროდ გაღებული.
ნლები წარმოდგენებს შეგიცვლიან,
დროს ხომ წესები აქვს ახლებური,
ვწუხვარ – არაფერwი შემიძლია.

ბოლო გაჩერება, შეიცადე
შეგხედო... კარები იხურება...
შენ რომ გყვარებოდი, ღმერთს იცნობდი,
ჩემი სულიდან რომ გიყურებდა.

ვიდრე ყველა გრძნობას წამიშლიდი,
ლოდინს ამ მოთმენით ვაოცებდი,
შენ რომ გყვარებოდი, ასე მშვიდად
სიკვდილის უფლებას არ მომცემდი...

ოთარ ფალიანი

ქუჩა, ბავშვები, შოშა, თოვლი, თოვლის ბაბუა

მოდის და შობა ვიდრე მოვა, ქარი აბრუებს,
ქალაქს, რომელსაც მზე მოპარეს ყინვის ქარავნით,
ელოდებიან ეს ბავშვები თოვლის ბაბუებს...
ლაპლანდიიდან, მაგრამ მაინც მოდის არავინ...
ელოდებიან, რადგან ალბათ მოვლენ ოდესღაც,
სიზმრებში მაინც, გაუმხელელ ხსოვნის ბათქაშში
და ამ ყოფაში გამოკეტილ, სახლში, სარდაფში
დიდი ხანია მარტოობამ ფრთები მოკეცა,
რადგან ბავშვობა სხვა ბავშვებმა გაითამაშეს...
და კვლავ იმღერეს მიტოვებულ
თოვლის ორკესტრთან
და ეს ბავშვები ყოველ დილით წერენ ბარათებს,
ერთი წლის მარაგს აგზავნიან სითბოს „სანტასთან“
ელოდებიან „სანტაკლაუსს“ და ცივ ზამთარსაც
და თოვლს, რომელსაც გრძელ
კისრებთან გაიბალთავენ,
რომ ის ლოდინი სამუდამოდ მაინც დამთავრდეს,
რადგან ლოდინი, როგორც ყოფა ისე მობეზრდათ....
და ეს სამყარო გარეგნული ყოფის ფასადი,
სადაც ბავშვები ჩვილ გულებში იმედს ნასკვავენ,
ქუჩა, ბავშვები და ბაბუა, რომელიც თოვლს ჰგავს,
რომელიც ხშირად სიზმრებიდან აპირებს მოსვლას,
იგვიანებს და აღარ მოდის, არ ჩანს არსაით...
მოდის და შობა ვიდრე მოვა, ქარი აბრუებს
ქალაქს, რომელსაც მზე მოპარეს ყინვის ქარავნით,
ელოდებიან ეს ბავშვები თოვლის ბაბუებს –
ლაპლანდიიდან, მაგრამ მაინც მოდის არავინ...

სულხან წულუკიძე

ჩემს ძმას ანდრიას

ახლა ვარ თითქოს მშობლიური კერის ტუსაღი,
საბნის მაგივრად მოხურული შენი პალტო მაქვს,
მაინც რაგვარად გაგიმართლა, შე ყურუმსაღო,
ჩვენში პირველი შენ გაისვრი ნამდვილ ავტომატს.

ახლა ვარ... თითქოს სინანულის რბილი წვიმა ვარ,
მოსული დედის სანუგეშოდ,როგორც უსტარი.
სირცხვილი! რით ვერ მოგისწარი ჯარში მიმავალს.
სირცხვილი! ღამის მატარებელს ვერ მივუსწარი.

ქუჩაში გარბის შემოდგომა, აღარ აყოვნებს,
შენსავით ბაძავს ოქტომბერი რიგით ფორესტ გამპს,
მე კი არ ვიცი რაღა ვუყო, შევინახო თუ
ღია ფანჯრიდან მოვისროლო შენი „პოვესტკა“.

რადგან, როგორც ვთქვი, ტუსაღი ვარ და ვარ შაჰიდი.
თავსაც მოვიკლავ უსათუოდ, დაუფიცებლად,
რადგან ჩვენ ჩვენმა საქართველომ უკვე გაგვყიდა
და დაგვამთქნარეს ცოფიანმა ჰაუბიცებმა.

როგორც სოხუმი,როგორც გაგრა, როგორც ბიჭვინთა.
ოჩამჩირესთან თუ ფერდობზე დაწვა გუმის მთის
ოცი წლის წინათ, სულ ოცი წლის ბავშვი ბიჭი და
აქ გუშინწნინაც კითხულობდნენ - რისი გულისთვის?

თუმცა სამშობლო სამშობლოა, ცოდვას გამხელა
უნდა, რომ მერე პირნათელმა ცამდე იარო.
სიცოცხლე? უნდა დაივიწყო, ჩემო ტანხმელავ,
ქრისტეს მცველად რომ გაღიაროს საქრისტიანომ.

ახლა ვარ... ახლა სინანულის სუსტი წვიმა ვარ,
მოსული დედის სანუგეშოდ, როგორც უსტარი.
შემინდე! რით ვერ მოგისწარი ჯარში მიმავალს,
ბოდიში! ღამის მატარებელს ვერ მივუსწარი.

ამირან ჯანჯღავა

გაგრა

ზღვაზე ტალღების მოლურჯო პლისე,
ცაზე ღრუბლების ფარდები, სადა,
ბავშვობა ახლაც იქ იცდის ისევ,
სულს ვატოლებდით ერთმანეთს სადაც...
პალმების ფრთები გვეფინა მხრებზე,
ჩვენ ვაპირებდით ერთად გაფრენას...
ვგრძნობ, იმ ქალაქში ხეები ხმება,
ცრემლს ვერ იშრობენ მზეშიც აფრები...
სულზე ვიმაგრებ ლექსიან მჭიდებს
და ცას ვუმიზნებ, ციდან რომ გაქრა...

სენი

- ბავშვობა, რომელიც მჭირდა,
დიაგნოზი კი - სოხუმი, გაგრა,
სამყაროს მიმართ შედგენილ სარჩელს,
უფრო ჰგავს, ვიდრე სიგიჟის მოტივს.
მზად ვარ, გაგიყოფ მე სულის სარჩულს,
ზღვას გამოჰყევი, შენ ოღონდ მოდი...
მკერდზე მიბნეულ იმ მზიან ფოთოლს
ვიცი, შემორჩა ნამი იმ ღრუბლის.
ვერგადაღებულ დავსტირი ფოტოს
და მამაჩემის ნაოჭებს შუბლის...
ზღვაზე ტალღების მოლურჯო პლისე
მორჩა, შეხორცდა, სიზმრებშიც გაქრა...
დიაგნოზია უცვლელი ისევ,
განუკურნებელ სენს ვებრძვი - გაგრას.

დედა

საქართველოში ორ ცას უვლიან,
ერთი ცა მხოლოდ ვარსკვლავებს ჭედავს.
მეორე ცა კი - უცნაურია -
აკვანში მზესთან მჯდომარე დედა.
სულს უსხეულოდ სად არ უვლია,
ვერ შეელია მშობლიურ ამბორს,
თვითონ სამშობლოც სასწაულია,
ერთი სიტყვა რომ სამ მშობელს ამბობს.
ზოგჯერ კი რაღაც მაშინებს ისე,
თავხედი ფიქრი ამდენს რომ ბედავს,
რატომ ხვდა წილად
მარიამს ქრისტე?!
თვითონ ღმერთს სურდა, ჰყოლოდა დედა!

აფხაზეთში დარჩენილი თოჯინების მონატრება

მაია შონია

რიტა შამუგიას ხატვა და ძერწვა ბავშვობიდან უყვარდა, თუმცა სამხატვრო სასწავლებელში არასოდეს უვლია. ვერც ხატვის ნიქით დაჯილდოებულ წინაპრებს იხსენებს, რომ მისი ეს გატაცება გენეტიკას „დააბრალოს". მშობლებთან ერთად პრაგმატული მოსაზრებით არჩეული სპეციალობა - საქონელმცოდნეობა - თავიდანვე არ მოსწონდა და ამ სფეროში არც უმუშავია. თავისუფალ დროს კი, მაშინაც, როცა ოჯახის საქმეებითა და შვილების აღზრდით იყო დაკავებული, თაბახზე ესკიზებს აკეთებდა და ახლობლების მოწონებას იმსახურებდა. თოჯინების ძერწვა კი სულ რაღაც ერთი წლის წინათ დაიწყო.

რიტა შამუგიასთვის ხატვა წლების განმავლობაში ჩვეულებრივ ყოველდღიურობად იქცა. რამდენჯერ გადაუგდია ქაღალდის ფურცლები ლამაზი ესკიზებით. მოგვიანებით კი ეს ესკიზები ზეთითა და აკრილით ტილოზე გადატანილ ნატურმორტებად და პეიზაჟებად ქცეულა. მისი შემოქმედებით აღფრთოვანებულმა შვილებმა ერთი წლის წინათ, დედის დღეზე, ყვავილების ნაცვლად სახატავი კომპლექტი აჩუქეს - ახალი გატაცებაც ასე დაიწყო. კომპლექტში ფუნჯებთან და საღებავებთან ერთად პოლიმერული თიხაც იყო. რიტამ ბავშვობის გატაცების, ძერწვის გახსენება გადაწყვიტა, თანაც ადრე პორტრეტებსაც ხატავდა. ასე გამოძერწა პირველი თბილი, კეთილი, მოსიყვარულე გოგონა. ნაკვთები რომ გამოიკვეთა, თვალებიც დახატა და მაკიაჟი გაუკეთა. შემდეგ მიხვდა, რომ სხეულიც უნდა გამოეძერწა, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი შეეკერა. კერვა ბავშვობაშიც უყვარდა, მაგრამ ფეხსაცმელი აქამდე არასოდეს შეუკერავს. ეგონა, გაუჭირდებოდა, თუმცა იმდენად უნდოდა, ნამუშევარი სრულყოფილი გამოსულიყო, მოინდომა და ესეც გამოუვიდა. ასე მოულოდნელად შეიქმნა პირველი თოჯინა.

ახალი გატაცება საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა. რიტას თოჯინები 70 სანტიმეტრიდან ერთ მეტრამდე ზომისაა. ერთი თოჯინის გამოძერწვას, მოხატვასა და ჩაცმას

უმეტეს, რომ საქმე შრომატევადია და დიდ დროს მოითხოვს.

- როგორც ვიცი, პერსონალურ გამოფენაზე ოცნებობთ?

- ღმერთმა ქნას, მალე დამთავრდეს ეს ცუდი პერიოდი და მერე აუცილებლად ვიფიქრებ გამოფენაზე. მეორე მხრივ, პანდემია შემოქმედებისთვის კარგი დრო აღმოჩნდა. მასალა უკვე შევიძინე და მალე ახალი თოჯინას კეთებას ვიწყებ.

- თქვენი შთაგონების წყარო რა არის? ფერებს, ფორმას, მაკიაჟს, ტანსაცმელს როგორ არჩევთ? წინასწარ ფიქრობთ ამაზე, თუ მუშაობის დროს, თავისთავად ლაგდება ყველაფერი?

- როგორც კი პოლიმერულ თიხას ხელს ვკიდებ, იმ წუთიდან დადებითი ემოციები მიჩნდება და ვცდილობ, ასეთივე განწყობის მომგვრელი თოჯინა გამოვძერწო. მუშაობისას სიმარტოვე, სიმყუდროვე და სიმშვიდე მჭირდება. ხშირად მეკითხებიან, თოჯინებს ხომ არ გაყიდიო. ჯერჯერობით არა, ვერ ველევი, ძალიან მიყვარს თითოეული მათგანი, იმდენი შრომა და ფიქრი დევს ყველა მათგანში. თანაც, პერსონალური გამოფენისთვის მინდა ყველა ჩემთან იყოს. სოციალურ ქსელში, ხელოვანთა ჯგუფში, რამდენიმე ნახატი და თოჯინა გამოვაქვეყნე, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ძალიან ბევრი ადამიანი დამიკავშირდა, ბევრი გავიცანი და დავიმეგობრე. მიმოწერაც გვაქვს და პანდემიის შემდეგ ჯგუფურ გამოფენაზეც შეიძლება ვიფიქრო. ხელოვნება ისეთი რამე აღმოჩნდა, რომელმაც შეიძლება ფართო ასპარეზზე გაგიყვანოს. ხატვით და თოჯინების ძერწვით ჩემთვის მოულოდნელი და წარმოუდგენელი ახალი სამყარო აღმოვაჩინე. მომავალში ვოცნებობ, მქონდეს ჩემი

თითქმის მთელი თვე სჭირდება. თუმცა პროცესი იმდენად სასიამოვნოა, დაღლილობას საერთოდ ვერ გრძნობს. ამ პროცესს მეთოჯინე რიტა შამუგია ასე აღწერს:

- როცა ხელში პოლიმერულ თიხას ვიღებ, სულ იმაზე ვფიქრობ, რომ თბილი, საყვარელი სახე გამომივიდეს, რომელიც დადებით ემოციას გამოიწვევს. თითოეულ დეტალს ჩემი ხელით ვაკეთებ, თვალებსაც მე ვხატავ. თოჯინების გამოძერწვამ ისე გამიტაცა, რომ ძირითად დროს მას ვუთმობ. ახალი თოჯინა რომ შეიქმნება, სამოსს შევუკერავ და საბოლოო სახეს მიიღებს, ვერ გადმოვცემ, ეს როგორ სიამოვნებას მანიჭებს. ჯერჯერობით 7 თოჯინა მყავს - 6 გოგო და 1 ბიჭი. ეს არც ისე ცოტაა. მით

სახელოსნო, სადაც მსურველებს შევასწავლი ამ საქმეს.

- აფხაზეთს რა ადგილი უკავია თქვენს შემოქმედებაში?

- ბავშვობაში, როცა აფხაზეთში, გალში ვცხოვრობდით, თოჯინების მოზრდილი კოლექცია მქონდა, უამრავი ლამაზი თოჯინა მყავდა. ჩვენი სახლის დატოვებამდე დედაჩემი, გადარჩენის მიზნით საოჯახო ნივთებს, ჭურჭელსა და ტანსაცმელს ყუთებში ალაგებდა თურმე. დედას ჩემი თოჯინებით სამი დიდი ტომარა აუვსია და ავტოფარეხში შეუნახავს. მე და ჩემი ძმა ამ დროს უკვე ენგურს გამოღმა ვიყავით გადმოსული. მას მერე ის თოჯინები არ მინახავს, რამაც ცხადია, ძალიან დამწყვიტა გული. როგორც ჩანს, მოგვიანებით თოჯინების ძერწვით გატაცება იმ თოჯინების ნოსტალგიამაც გამოიწვია.

რა თქმა უნდა, ვხატავ კიდევაც, ძირითადად ნატურმორტებს და პეიზაჟებს. ამას წინათ ჩვენი სოფლის (მეუღლის სოფელია), ჩხორთოლის პეიზაჟი დავხატე. იქ არის ასეთი ადგილი, არკვანი (აკვანი) ჰქვია. აფხაზეთის ხალხმა იცის, ულამაზესი ადგილია, რომლის სანახავად ბევრი დადიოდა. იქაურ პეიზაჟებს დღესაც სიამოვნებით დავხატავდი, მაგრამ ბოლო დროს ვერ ჩავდივართ, რადგან საზღვრები ჩაკეტილია. მანამდე, ყოველი ზაფხულის ერთ თვეს იქ ვატარებდით. ჩხორთოლში, ჩვენს სახლში, დღემდე ინახება ჩემი იქ დახატული პეიზაჟები.

რიტამ აფხაზეთში, გალში 21 წელი იცხოვრა და მშობლიური მხარიდან გამოყოლილ მოგონებებს ვერასდროს წაშლის მეხსიერებიდან. ყველაზე მეტად იმდროინდელი მეგობრები და ახლობლები ენატრება, რომლებიც ომის შემდეგ მიმოიფანტნენ და ვერ ნახულობს.

რიტას მეუღლე და ორი შვილი ჰყავს - გიორგი და თორნიკე თორდუები. გიორგიმ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის წარჩინებული სტუდენტია. თორნიკე კი ჯერ სკოლის მოსწავლეა და ისიც ოქროს მედლის კანდიდატია. მართალია, შვილები არ ხატავენ, მაგრამ დედას ძალიან გულშემატკივრობენ და ამით მას ახალი შემოქმედებითი იდეებით აღავსებენ.

სონეტები

ჯენეტ ვეკუა

ჯენეტ ვეკუა დაიბადა ქ. სოხუმში. წერს მხოლოდ სონეტებს. თავიდან პლაკატების სახით წერდა, ფერადი ფლომასტერებით, ციდა და მტკაველა ასოებით. აქვს საკუთარი ინტონაცია, უნარი საქირო სიტყვების მოხელთებისა, ალღო კომპოზიციისა, აზროვნებს სიმბოლოებით,
ჯენეტ ვეკუა ავტორია სონეტების არაერთი კრებულისა, რომელთაგან რამდენიმე თარგმნილია რუსულ ენაზე. დაჯილდოებულია ახალგაზრდული პრემიით.

რეკვიემი

მსურს დავივიწყო, გული ვერ ძლებს მაინც ფუშნოდ,
დღეთა თამაშით განვიცხული ვეკვარ მუმიას,
ბარათი დავწვი, დავანარცხე გრძნობა ფენო,
სიბრალული ვერ დავამარცხე, დრო წარსულია..

აქ ჩემს წინაშე გარდაცვლილი ღმერთის სულია,
ხუთგზის ჯვარცმული, დატანჯული და განდეგილი,
აუხდენელი ოცნებები გარდასულია,
თითქოს სულს ღაფავს სამოთხიდან გამოდევნილი.

მივდივარ, ვტოვებ, სვედამწვარი და გულნატკენი,
ოჰ, არასოდეს ეს ზეიმი აღარ შესდგება,
ბედნიერება - რასაც ჭქვია წუვდიადს განდევნის
და მარადიულ სიბოროტეს შეუერთდება...

დრო სამარეა, ოფელია! თეთრად თენდება...
წუთისოფელი არასოდეს არ გამრთელდება...

***

დგას სასოება, ზღვის დუმილში ხედავს წამებას.
ოქროს ნაპირის წასალეკად აგორდა ზვირთი...
თითქო ოცნებამ მოიშორა ძვირფასი ტვირთი
და ფუფლისწული შორეული უხმობს არსებას...

თითქოს წარსულ ბედნიერებას თოლია კივის...
ქათქათა ფრთებით ვეღარ შეკრავს ცაში კამარას...
თუ სინანული შერჩენია სიყვარულს ფარად
და ტრაგედია განუყრელი უსაზღვრო სიერცის.

იმედის ნაპირს მოაყენეს დარდის ხომალდი....
უფსკრულის ჭირთან სიცოცხლეს და სიკვდილის ზღვარი,
შენ, მიჯაჭვულო ცხრაკლიტულში- მუდამ მტანჯველი,

იყავ სულ მარტო, აღარ გყავდა არავინ ქვეყნად,
ქარიშხლის ჯალათს გაატანე ბედი საზარი...
ჭექა და ელვა - განუყრელი ლანდად რომ ვსდევდა...

ლოლვილი მუზა

ვერ დავივიწყებ, ვეღარ მივცემ სიმულვილს შენს თავს,
თუ გინდ მსოფლიომ სასიკვდილო ძელზე გამაკრას.
მე მოვიგონებ ჩვენს ფეიერვერკს, ჭარიზს, სამარეანდს,
ო, მკვდარი გული სიყვარულით თუ კიდევ ფეთქავს...

თუ გადაურჩი ვერაგობას, ელდას და სეტყვას,
ბედნიერების შემოვხაზავ ცაში კამარას,
და მოგიძებნი დაჭრილ სულში მცირე სამალავს,
დუმილის კართან დამსხვრეული შეგყურებ ერთხანს.

მე შენში ვეძებ სინატიფეს, დღეა სჭეტაკი,
იქნებ გამოჩნდე ცივ საკანში, ბნელა ნეტავ კი?
რომ გავიფინო მოსასხამი ცრემლის მძივისგან...

შევკრავ ნაფოტებს სანაოსნოდ დარდის ტივისგან,
და მაშინ ნახავ, რომ წუვდიადში დარჩენილ ნუგეშს
უკანსკნელად განწირული ლტოლვილი უმღერს...

ცისფერი თოჯინა

ომში დაღუპული ვაჟკაცის
გოჩა ყარყარაშვილის ხსოვნას

ცისფერ თოჯინას ეთხოვები უკანასკნელად
და განშორებას ჩამორეკავს ცისფერი ზარი,
როცა გაჩნდება გაშლილ მკერდზე ელვა და ბზარი,
იქნებ არავინ არ გამოჩნდეს შენს გვერდით მხსნელად.

აღარც ვარდები, სასაფაღო, არსაით შველა...
თითქოს ზეცაა და განგება შენზე გამწყრალი,
მიტოვებული ბრმოლის ველზე მხედართმთავარიც
ახლა არ ხედავს ავგონიის უმძიმეს სევდას....

ძმის შეპახილზე გადმოსცქერენ გოდებას კლდენი,
ვერც მტრედისფერი გარიჟრაჟი დაგხვდება მცველად,
ნუთუ ნაცნობი მოღალატე გიგზავნის წყევლას...

თეთრი არწივი გადაეკლო ხეობას ფრენით...
შემოეხვევა მიწის ნესტი გაბარცყულ სხეულს-
და მიატოვებს იმედების ცისეს დანგრეულს...

საცხენოსნო შეჯიბრი აფხაზეთის თასზე

ნინო გრიგოლია

კაჭრეთის „ამბასადორში" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ და საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნულმა ფედერაციამ აფხაზეთის თასზე საცხენოსნო შეჯიბრი გამართა. ეს იყო აფხაზეთის თასზე გამართული პირველი ასპარეზობა და მისი ჩატარების იდეის ავტორი და ორგანიზატორი იყო აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ დევნილი და არადევნილი მხედრები. ასპარეზობამ ძალიან საინტერესოდ ჩაიარა და შეჯიბრის გამარჯვებული და აფხაზეთის თასის მფლობელი გახდა ნატალია მიშკოვა („კაჭრეთის ამბასადორი"), მეორე ადგილზე გავიდა თეონა ლაშხია („მუხრანი"), ხოლო მესამე ადგილი დაიკავა აფხაზეთის სახელით მოასპარეზე ახალგაზრდა მხედარმა ნინო ჯახაიამ. შეჯიბრში აფხაზეთის სახელით კიდევ ერთი მხედარი - ნიკოლოზ ვეშაპიძე მონაწილეობდა.

გამარჯვებულებს წარმატება მიულოცეს და აფხაზეთის თასი და სხვა პრიზები გადასცეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ რუსლან აბაშიძემ, საცხენოსნო ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ცირეკიძემ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა როლანდ ნიჟარაძემ, მინისტრის მოადგილემ მარინა შენგელიამ და ამავე სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ვიტალი ბენდელიანმა.

შეჯიბრის ბოლოს რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ ფხაზეთის სახელით, ცხენი „სილვერით" მოასპარეზე, მესამე ადგილზე გასულ ახალგაზრდა მხედარს ნინო ჯახაიას. ნინო წარმოშობით გალის რაიონის სოფელ საბერიოდანაა. მან საჯარო სკოლა ზუგდიდში დაამთავრა და ამჟამად კავკასიის უნივერისტეტში, საჯარო მმართველობის მიმართულებაზე სწავლობს.

- ნინო, რამდენი ხანია გატაცებული ხართ ცხენოსნობით?

- ცხოველები ბავშვობიდანვე მიყვარდა, მაგრამ მოგვიანებით განსაკუთრებით ცხენი შემიყვარდა, რატომღაც ყველასგან გამოვარჩიე. მერე კი როცა ამ სპორტის შესახებ გავიგე, დავიჟინე, რომ მეც მიმეღო მასში მონაწილეობა და გამარჯვება მომეპოვებინა. მალე სურვილი ავისრულე და მესამე წელია უკვე, რაც ცხენზე ვზივარ და საცხენოსნო შეჯიბრებებში ვმონაწილეობ. აფხაზეთის თასზე გამართულ ასპარეზობაში პირველად ვმონაწილეობდი და მიხარია, რომ გამარჯვება მოვიპოვე. შევეცდები, მომავალში უკეთესი შედეგი მივიღო.

- თქვენი აზრით, რა თავისებურება ახასიათებს ცხენოსნობას?

- ეს არ არის ადვილი. შენს ცხენთან განსაკუთრებული ურთიერთობა უნდა გქონდეს: მას გულისყურით უნდა უსმენდე და თვითონაც გრძნობდეს ამას. უმთავრესია, მშვიდად იყო და ისიც მშვიდად იქნება. თუ ნერვიულობ, ისიც იგრძნობს და სათანადოდ მოიქცევა.

- რამდენი ხანია, რაც ცხენი „სილვერი" გყავთ?

- სამი წელია, რაც ჩემთან არის და ძალიან მივეჩვიეთ ერთმანეთს. ის ყოველთვის გრძნობს საკუთარ პატრონს, სხვათაგან ადვილად გამოარჩევს. დღესაც ჯირითის დაწყების წინ ზურგზე ხელი მოვუთათუნე, ყურში ერთი, მხოლოდ ჩვენთვის ცნობილი სიტყვა წავუჩურჩულე და ისიც თავდაუზოგავად გაიჭრა...

...გაიჭრა და წარმატება მოუტანა ახალგაზრდა მხედარს, რომელსაც ვუსურვებთ მსგავსი ჯადოსიტყვით კვლავაც არაერთი გამარჯვება მოეპოვებინოს ყველგან და მათ შორის მალე ცხენოსნობით ცნობილ მშობლიურ აფხაზეთშიც.

„დინამო" სოხუმი გოგონათა საფეხბურთო აკადემიას ქმნის

არც ისე დიდი ხანია, რაც საფეხბურთო გუნდ „დინამო" სოხუმთან შეიქმნა ქალთა საფეხბურთო გუნდი, რომელიც უმაღლეს ლიგაში უკვე წარმატებით ასპარეზობს. „დინამო" სოხუმის გენერალური დირექტორის დავით თაქთაქიშვილის თქმით, საფეხბურთო კლუბ „დინამო" სოხუმის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა ქალთა ფეხბურთის განვითარება. სწორედ ამ მიზნით კლუბი იწყებს გოგონათა საფეხბურთო ცენტრების ჩამოყალიბებას და მათ ბაზაზე სოხუმის „დინამოს" აკადემიის შექმნას.

„ჩვენი გეგმის მიხედვით, - აღნიშნა დავით თაქთაქიშვილმა, - 2021 წლის ბოლომდე „დინამო" სოხუმის გოგონათა საფეხბურთო ცენტრები გაიხსნება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ყველა გოგონა უზრუნველყოფილი იქნება საჭირო სავარჯიშო ინვენტარით და ივარჯიშებს უფასოდ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მსგავსი პროექტი არათუ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაშიც არ არის. ამ პროექტის განხორციელებას, რა თქმა უნდა, მარტო ვერ შევძლებდით. ჩვენ მას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, აფხაზეთის ა/რ მთავრობის, აფხაზეთის ფეხბურთის

ფედერაციის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სხვა ქალაქების მუნიციპალიტეტებისა და მაჟორიტარი დეპუტატების, ასევე, ჩვენი გენერალური სპონსორის - საქართველოს ეროვნული ლატარიის კომპანიის თანადგომით შევეჭიდეთ".

ამ განცხადებიდან მალე „დინამო" სოხუმის აკადემიის გოგონათა პირველი საფეხბურთო ცენტრი გაიხსნა ფონიჭალაში (მთავარი მწვრთნელი თამაზ კალანდაძე, დირექტორი მირზა სამხარაძე), სადაც 30-მდე მოზარდი ვარჯიშობს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დახმარებით, პატარა ფეხბურთელებს ბურთები, ფორმები და სხვა საჭირო ინვენტარი გადაეცათ.

დავით თაქთაქიშვილი იმედოვნებს, რომ წინ ბევრი სიურპრიზია და მალე ქალთა ძირითადი გუნდი სწორედ „დინამო" სოხუმის გოგონათა საფეხბურთო აკადემიის წევრებით დაკომპლექტდება.

საჩოგბურთო ფესტივალი „სპორტი და მშვიდობა"

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ და საქართველოს ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაციამ ქ. თბილისში, ლელა მესხის სახელობის ჩოგბურთის კორტებზე სამოყვარულო ღია საჩოგბურთო ფესტივალი „სპორტი და მშვიდობა" გამართეს.

ფესტივალის ორგანიზატორი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

ფესტივალში მონაწილეობდნენ აფხაზეთიდან დევნილი, აგრეთვე ქუთაისის, გორის და რუსთავის მოყვარული ჩოგბურთელები. საჩოგბურთო ფესტივალი ჩატარდა ოლიმპიური სისტემით მამაკაცთა და ქალთა ერთეულთა და მამაკაცთა წყვილთა თანრიგებში.

ჩოგბურთის ფესტივალი მიზნად ისახავს ჩოგბურთის, სანახაობრივად ლამაზი სპორტის სახეობის განვითარებასა და პოპულარიზაციას დევნილ მოსახლეობაში, მოზარდი თაობის ჩაბმას ამ სპორტში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

ფესტივალის ჩემპიონები და პრიზიორები ფულადი პრიზებით, თასებით, მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ანონსი

„რობაის ქოხში" შეხვედრამდე!..

საკუთარი ინფორმაცია

პანდემიამ ბევრი ჩვენი გეგმა და მიზანი შეცვალა ან გადადო. პანდემიამ ჩაშალა ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის" ქართული ბრენდების ტრადიციული დაჯილდოება, რომელიც 2003 წლიდან მოყოლებული ყოველი წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

სააგენტო „პროფილის" გენერალურ დირექტორს მანანა გეგიძეს, რომელიც აფხაზეთიდანაა, და მის მეუღლეს, სააგენტოს თანადამფუძნებელს, პოეტ და რობაისტ ელგუჯა მარღიას ეს იძულებითი პაუზა უქმად არ გაუტარებიათ. მათ მთელი ენერგია და ფანტაზია, „ჰოტელ-აივანის" მესაკუთრე ციცინო ფუტკარაძესთან ერთად, „არტ-ბურიანის" მშენებლობას შეალიეს, რომლის განუყოფელი ნაწილი გახდება „რობაის ქოხი" ანუ „პოეტის ქოხიც".

მანანა გეგიძე:

- „რობაის ქოხის" ანუ „პოეტის ქოხის" შექმნის ისტორია თითქმის „არტ-ბურიანის" იდეასთან ერთად გაჩნდა. ჩვენი ოცნება იყო ქოხი ტყეში, შიგნით შეშის ღუმელით, რკინის ძველებური საწოლით და რაც მთავარია, ბევრი წიგნით; და აქ სტუმრის გამასპინძლება შეშის ღუმელში გამომცხვარი ღვეზელით, ცხელი ყავითა და ჩაით და საუბარი ლიტერატურასა და ხელოვნებაზე...

გარდა ამისა, „არტ-ბურიანში" დაიდებს ბინას ჩემს მიერ დაფუძნებული ქრიზანთემების ფესტივალი, რომელიც აფხაზეთს ეძღვნება და თბილისში იმართება ყოველ შემოდგომაზე, სწორედ იმ დროს, როდესაც იქ, ჩვენს ეზოებში ნაირფერი ქრიზანთემები იშლებიან. ქრიზანთემების ფესტივალს თითქოს ჩვენამდე აფხაზეთის ფერი და სურნელი მოაქვს.

ელგუჯა მარღია:

- დიდი ხნის ოცნება ამიხდა: „რობაის ქოხში" მწერლებთან, მხატვრებთან, შემოქმედ ადამიანებთან საინტერესო შეხვედრები გაიმართება, შედგება ახალი წიგნების წარდგენა-პრეზენტაციები. დარწმუნებული ვარ, აქაურობა ხელოვნების სავანედ იქცევა და ბევრ დაუვიწყარ დღეს გვაჩუქებს.



„რობაის ქოხი" „არტ-ბურიანთან" ერთად აფხაზეთისადმი მიძღვნილ საღამოებსა თუ საუბრებსაც ხშირად უმასპინძლებს.

ნატო კორსანტია

„ჩემი სახლი ჩემთვის მეგობარიც იყო, დარდისა და სიხარულის მოზიარეც, რა თქმა უნდა, ნავსაყუდელიც. იგი თითქოს შვების კუნძული იყო ამ უნუგეშობის ქვეყანაში და მეჩვენებოდა, რომ ის შემთხვევით არ გარიყულიყო მთების ყყვეობაში მოქცეულ ცაში ნახევარკუნძულივით შეჭრილ სოფელში.

...ჩემი სახლი თბილისში ყოფნისას თუ თბილისამდე გაწოლილ გრძელ გზაზე გაწბილებულ ოცნებებს იფარავდა და გაწბილების შემდეგაც ცდილობდა მათ გამოზამთრებას. ის ჭვავდა ზოვის ჟირას ალმართულ შუქურას, რომელიც ნებისმიერი მანძილიდან მკაფიოდ მოჩანდა და მშველოდა, რომ ამ რთულ, მართლაც წუთის სოფელში „ჩემს სულს გზა არ აბნეოდა". ყველაფერის მიუხედავად, ეს დღემდე ასეა.

ბუ - ლამის მხმობელი

ჩემს სოფელშიც, ისე როგორც ბევრგან, ბუ სევდისა და მარტოობის სიმბოლოდ (მისტიურ ფრინველად) იყო მიჩნეული...

ირიჟრაჟებს თუ არა, დიდი, გაფართოებული თვალებით ჩამოჯდება ბებერი ხის ფუღუროში და დაბინდებას დაელოდება.

ზის ოცნებებში წასული, გაყუჩებული, ჭია-ღუების ფუთ-ფუთით აკლებული - ზოგი ბრჭყალებამდე შებუმბლულ ფეხებზე გადაუვლის, ზოგი თავზე, ზოგიც ზედ მოღუნულ ნისკარტზე.

მთელი დღე ძილ-ბურანშია ჩიტების სტვენით გაყრუებული. ხანაც ზემოთ, ტოტებში ფრთოსნები აქოთქოთდებიან, შეიბმებიან, ფოთლებში მოქუჩებულ მტვერს აშლიან და თავზე ჩამოაყრიან. ის კი, მეღამური ცხოვრებისგან დაბრძენებული, ჩუმად იტანს ყველაფერს, უძლებს ნათელს და ელოდება სიბნელეს (თუ უძლებს სიბნელეს და ელოდება ნათელს)...

ბინდი მოატანს თუ არა, ახლად შეღვიძებული თვალს გაახელს, ფრთებს შეისწორებს, მტვერს შეიფერთხავს, სწრაფად აფრინდება და სადღაც სხვაგან, რომელიმე სახლთან ახლოს მდებარე ხეზე გადაჯდება. მერე მთელი დღის მოთოკილ, ნათმენ ემოციებს ნებაზე მიუშვებს და სასოწარკვეთილად აკივლდება.

აკივლდება და... კიდევ უფრო ღრმა სევდითა და შიშით ამოავსებს ისედაც ბნელეთში ჩანთქმულ სივრცეებს. აკივლდება და... სახლებთან მიყუჟულ იმედს დააფრთხობს.

- ნეტავ, რას უნდა გვიქადდეს, ვის უბედურებას უნდა იცხადებდესო! -ავისმომასწავებლად ენიშნებათ და ერთმანეთს დარდიანად შეავლებენ თვალს ოჯახის წევრები. თუ უკვე წვანან და კიდევ უფრო ღრმად შერგავენ თავს ლოგინში. ასე იყო ადრეც და ასეა ახლაც...

არადა, დილიდან დაღამებამდე სიბნელეში მთვლემარე, ლოდინისა და თმენისაგან გადაქანცულ, დღის სინათლითა და ტყის ხმაურით თავგაბეზრებულ, სიბრძნის სიმბოლოდ მიჩნეულ ბუს, ჩვენი - ადამიანების გამოც რომ არ ინუხოს, თავისი რამდენი რამ აქვს შესაცხადებელი?!

ნინო ჩაკვეტაძე

ტბის პირას, ამირან ყუბრავა.

რედაქტორი
ნატო კორსანტია
მისამართი: ქ. თბილისის, დ. უზნაძის 68
ტელეფონი: 577 09 22 42

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია შონია
შალვა ბერიანიძე